პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ.-ფეების და მასწავლებლებ-სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

— დამთავრდა ბელგიის კომპარტიის ყრილობა.
— უთანხმოება სეიმსა და პილსუდსკის შორის.
— კომუნალური არჩევნები კოპენჰაგენში.
— შეთქმულება ქემალ-ფაშას წინააღმდეგ.
— სამსახურიდან გადააყენეს გენერალი ნობილე.
— საზღვაო სახელმწიფოთა კონფერენცია.
— მოსკოვში ჩამოვიდა ავსტრიის მუშათა ბანკის დელეგაცია.

პარასკევი, 15 მარტი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 59 (2405)

საქ. კომპარტიის (ბ) ა.-ბ. საოლქო კომიტეტის
მორიგი პლენუმი,
რომელიც დანიშნული იყო 17 მარტისათვის,
გადადებულია და შესდგება 20 მარტს

თვითღირებულების შემცირებისათვის

უმნიშვნელოვანეს საშუალებას სოციალისტური მშენებლობის საქმეში უთუოდ წარმოადგენს თვითღირებულების შემცირება ჩვენს მრეწველობაში. პარტიამ ეს დაადასტურა მრავალი თავისი დადგენილებით, ხოლო საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობამ თავის რეზოლიუციაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ თვითღირებულების შემცირების ამოცანის წარმატებით გადაჭრა წარმოადგენს „მრეწველობის ცენტრალურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტასაც უნდა დაექვემდებაროს ყველა დანარჩენი ამოცანა".

და თუ ამჟამად ჩვენ „პრავდა"-ს ფურცლებზე ერთხელ კიდევ ვსვამთ ამ საკითხს და ხაზგასმით აღვნიშნავთ ამ პრობლემის უდიდეს მნიშვნელობას მთელი ჩვენი მუშაობისათვის, ამას სწორედ იმიტომ ვჩადივართ, რომ თვითღირებულების შემცირებას ამჟამად ეძლევა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ჩვენი მრეწველობის მიერ გეგმებით ნავარაუდევ დავალებათა შეუსრულებლობის გამო, აგრეთვე იმიტომ, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, პროფკავშირები და ქვედა საფეხურის სამეურნეო მუშაკები ჯერ კიდევ სათანადოთ არ ამოძრავებულან. ისინი ჯეროვან ანგარიშს ვერ უწევენ თვითღირებულების შემცირებისათვის წარმოებული ბრძოლის გადამწყვეტ ხასიათს და მათ ჯერ კიდევ საკმაოდ არ გარდაუქმნიათ თავიანთი მუშაობა ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანასთან შეფარდებით.

ს.მ.უ. საბჭოს მიერ ადგილებზე დაგზავნილმა კომისიებმა აღნიშნეს, რომ მრავალ შემთხვევაში სამეურნეო მუშაკები სუსტ ყურადღებას აქცევდნენ თვითღირებულების სისტემატიური შემცირების ამოცანას. ამ კომისიებმა აღნიშნეს შრომის დისციპლინის შესუსტება მუშათა შორის, რაც ყოველმხრივ გაშუქებულ იქნა ჩვენს პრესაში. კომისიებმა არა მარტო ეს აღნიშნეს, არამედ ისინი იძულებულნი გახდნენ აღენიშნათ ის გარემოებაც, რომ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ქარხნებში და ცალკე ცეხებში საკმაოდ არ გამოურკვევიათ თვითღირებულების შემცირების შესაძლებლობანი და ის რეზერვები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან და გამოყენებულ უნდა იქნან კიდეც თვითღირებულების შემცირებისათვის. ამიტომაც იმ კომისიებმა, რომლებიც გაგზავნილნი იყვნენ უკრაინის ზოგიერთ საწარმოო-დაწესებულებებში გეგმებით ნავარაუდევ დავალებათა შესრულების პირობების გამოსარკვევად, დასვეს საკითხი ამ დავალებათა არა თუ შესრულების, არამედ გადიდების შესახებაც. ამრიგად, თვითღირებულების შემცირების უფართოესი კამპანიის ცხოვრებაში გატარებისათვის ჩვენ სრულებითაც არ ამოგვიწურავს ყველა შესაძლებლობა. საკითხი იმაშია, რომ უმოკლეს ვადაში შევქმნათ მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები ამ კამპანიის ცხოვრებაში გასატარებლად.

თვითღირებულების შემცირებისათვის მთელი ბოლშევიკური ენერგიით უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა ორი მიმართულებით: ერთის მხრივ — იმ ხაზით, რომ განვახორციელოთ მთელი რიგი სავსებით კონკრეტული ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ თვითღირებულების შემცირებას ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში, მეორეს მხრივ —მართლაც ახალი ენერგიით შევუდგეთ მასიურ აგიტაციას თვითღირებულების შემცირების საკითხების ირგვლივ და მოვაგვაროთ მუშების სათანადო საწარმოო განათლების საქმე, აგრეთვე ხელი შევუწყოთ მასების შემოქმედებით მონაწილეობას ამ ღონისძიებათა განხორციელებაში. უწინარეს ყოვლისა ფართოდ უნდა დავრაზმოთ მუშები და ქვედა საფეხურის ტექნიკური პერსონალი წარმოების ცალკე ელემენტების თვითღირებულების შემცირების გეგმების ირგვლივ, ამავე დროს ცეხების და საფაბრიკო-საქარხნო ადმინისტრაციას უნდა დავაკისროთ მთელი პასუხისმგებლობა თვითღირებულების შემცირების დასახული გეგმების შესრულებისათვის.

ამ უკანასკნელ დროს ჩატარებული გამოკვლევები და ადგილებიდან მიღებული ცნობები სავსებით თვალსაჩინოთ მოწმობენ იმას, რომ თუ მუშებმა და ტექნიკურმა პერსონალმა მთელი თავიანთი ყურადღება არ მიაქციეს საწარმოო პროცესის რაციონალიზაციის პრობლემებს და თუ ჩვენი ქვედა საფეხურის სამეურნეო მუშაკების კადრს სათანადო უფლებები არ მიეცა, საეჭვოა, რომ საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრას.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ შრომის ნაყოფიერების არასაკმაო ზრდა, ცალკე საწარმოო პროცესების შეუთანხმებლობა, საწარმოო პროცესების ბრუნვის არასაკმაო სისწრაფე წარმოებებში, შეფერხებანი მიწოდების საქმეში და სხვ. — ყოველივე ეს უაღრესად უარყოფით გავლენას ახდენს თვითღირებულების შემცირებაზე და ყოველსავე ამის წინააღმდეგ უნდა გავილაშქროთ ჩვენი რაციონალიზატორული მუშაობის დროს. თვითღირებულების შემცირებისათვის ხელის შეწყობის საქმეში, განსაკუთრებით დიდი ენერგია უნდა გამოიჩინონ ჩვენმა პროფკავშირებმა, რომლებმაც ბევრ შემთხვევაში საკმაოდ ვერ გაშალეს სათანადო მუშაობა, ხოლო მათი ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციები აფერხებდნენ კიდეც საწარმოო პროცესების რაციონალიზაციის საქმეს, ხელს უშლიდნენ საწარმოთა განთავისუფლებას ზედმეტი მუშა ხელისაგან ან საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ მუშა-მოსამსახურეთა მუშაობის ხარისხს.

თვითღირებულების შემცირების კამპანიის საკითხებს მცირე ყურადღებას აქცევენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციებიც. ამიტომაც ყოველმხრივ აღსანიშნავია საკავშირო კომპარტიის (ბ) ჩრდილო-აღმოსავლეთის საოლქო კომიტეტის დადგენილება, რომელიც მიღებულ იქნა სპეციალურად თვითღირებულების შემცირების საკითხების შესახებ. დადგენილება აღნიშნავს სხვადასხვა მნიშვნელოვან მომენტებს, რომელნიც უზრუნველჰყოფენ თვითღირებულების შემცირებას, აგრეთვე აღნიშნავს, იმ მიღწევებსაც და დეფექტებს, რომლებიც აქვს ამ მხრივ ლენინგრადის მრეწველობას, და სრულიად მართებულად ავალებს „ქვედა საფეხურის პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს — სავსებით უზრუნველჰყონ იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომელნიც დასახულნი არიან თვითღირებულების შემცირებისათვის".

თვითღირებულების შემცირების საქმეში უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მუშათა უფართოესი მასების ჩაბმა შემოქმედებით მუშაობაში მაღალ თვითღირებულებასთან საბრძოლველად. ამ მიზნით უნდა გაიშალოს მასიური აგიტაცია და პროპაგანდა თვითღირებულების შემცირების საკითხების ირგვლივ. ამ ფრონტზე ჩვენ ჯერ კიდევ მეტად ცოტა რამე გვაქვს გაკეთებული.

ამავე დროს კი პარტიულმა და მით უმეტეს პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა საწარმოო განათლების საკითხი ამჟამად უნდა დასახონ თავიანთი მასიური საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხად. საწარმოო თათბირები, ბოლოს და ბოლოს უნდა გადაიქცნენ ცენტრალურ პლაცდარმად იმისათვის, რომ მუშათა უფართოეს აქტივში გაწეულ იქნას პროპაგანდა მთელ საწარმოოს მუშაობისა და საწარმოო ამოცანებისადმი შეგნებული სოციალისტური დამოკიდებულების სასარგებლოდ. აქ, საწარმოო თათბირში, უნდა ხდებოდეს საწარმოო დაკავშირება მუშასა, ტექნიკოსსა, ინჟინერსა და ადმინისტრატორს შორის.

შემდეგ საჭიროა ფართოდ გაიშალოს მუშათა მასებს შორის ტექნიკური განათლების საქმე. ორგანიზაციები „ტექნიკა მასებს" ნამდვილად უნდა გადაიქცნენ მასიურ ორგანიზაციებად, რომლებიც მჭიდროთ უნდა დაუკავშირდნენ ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებს. დასასრულ, უდიდესი მუშაობა უნდა ჩატარდეს აგრეთვე ჩვენი ქარხნების ხელმძღვანელი პერსონალის კვალიფიკაციისა და ტექნიკური ცოდნის აწევის საქმეში, აგრეთვე მუშებისა და ტექნიკური ძალების კვალიფიკაციის აწევის საქმეში.

თვითღირებულების შემცირების ამოცანასთან დაკავშირებით ჩვენ არ შევეხებივართ მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მრეწველობის ტექნიკურ რეკონსტრუქციასა და რაციონალიზაციასთან. აგრეთვე არ შევეხებივართ მრეწველობის მუშაობის მეთოდების დაახლოვებას დასავლეთ-ევროპის საუკეთესო ნიმუშებთან. მრავალ საფაბრიკო-საქარხნო საწარმოში ზოგჯერ შეიძლება აღინიშნოს ფრიად თვალსაჩინო საწარმოო ტექნიკური მიღწევები, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ამ მიღწევების გვერდით ხშირად ვხედავთ მუშაობის უაღრესად პრიმიტიულ, ჩამორჩენილ ფორმებს, რომლებსაც ადგილი აქვს იმავე საწარმოებში; ეს კი თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს საერთო მიღწევებზე.

თვითღირებულების შემცირების პრობლემა მარტო მიმდინარე წლის უმნიშვნელოვანესი პრობლემა როდია. იგი მოითხოვს ახალი ტექნიკის, ახალი ცოდნის შეთვისებას, მუშა ხელის კვალიფიკაციის აწევას და თვითღირებულების შემცირების საქმეში მუშათა უფართოესი აქტივის ჩაბმას. იგი მოითხოვს გეგმიანი მეურნეობის პირობებს და პარტიული, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციების სისტემატიურ და მედგარ მუშაობას გაშლილი ფრონტით.

„პრავდა", 14 მარტი.

იმპერიალისტები გაურბიან გან არაღების საბჭოთა პროექტის განხილვას

ინგლისში დიდ იმედებს ამყარებენ მრეწველთა დელეგაციის გაგზავნაზე საბჭ. კავშირში

ამერიკის ახალი პრეზიდენტი ნავთის მრეწველთა ინტერესების სადარაჯოზე

პოლონეთის მთავრობას განზრახვა აქვს ისარგებლოს სეიმის ოპოზიციით ,,სერიოზული პოლიტიკური დასკვნებისათვის"

ერთა ლიგის საბჭოს სესიის შემდეგ

ომი—განუსაზღვრელი პასუხისმგებლობის საქმეა

ლონდონი, 13 მარტი. „დეილი ტელეგრაფ"-ის დიპლომატიური მიმომხილველი ეხება ერთა ლიგის საბჭოს მიერ მიღებულ ფინეთის პროექტს ფინანსიური დახმარების აღმოჩენის შესახებ იმ სახელმწიფოსათვის, რომელსაც თავს დაესხმიან. გაზეთი აღნიშნავს პროექტისა და ჟენევის ოქმის მსგავსებას და ამბობს: ერთა ლიგას შეუძლია განსაზღვროს ფინანსიური დახმარების რაოდენობა და ანგარიში არ გაუწიოს ინგლისის წინააღმდეგობას. ამის გამო მიმომხილველი სწერს: ომი განუსაზღვრელი პასუხისმგებლობის საქმეა. ამიტომ შეუძლებელია გავითვალისწინოთ იმ სახელმწიფოს ხარჯების მაქსიმუმი, რომელსაც თავს დაესხმიან, ან წინდაწინვე ვიცოდეთ, თუ რა ფინანსიური დახმარება დასჭირდება. გარდა ამისა, ფინანსიური დახმარება წააქეზებს ამ სახელმწიფოს, რომ მოლაპარაკების დროს გადაჭარბებული მოთხოვნები წარმოადგინოს მეორე მხარის. ჩვენის აზრით, ფინანსიური დახმარების დაპირება არა თუ არ შეაჩერებს სახელმწიფოს, არამედ უფრო წააქეზებს საომრად".

მეთაურში გაზეთი სწერს: „რაკი ლიგა იკისრებს ფინანსების მიწოდებას ომის ხარჯებისათვის, იგი დახმარებას ვერ მოუსპობს თავის პროექტს, თუ ომის სიმძიმე მისი ძალღონის შეუფერებელი გამოდგება. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ინგლისის მთავრობა წინააღმდეგი იქნება ამ პროექტის მიღებისა". (ადს).

მინისტრების არაოფიციალური მოლაპარაკება

ჟენევა, 13 მარტი. ჟენევის პოლიტიკურ წრეებში იუწყებიან: ახლახან დამთავრებულ ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე ის საკითხები რომლებიც შეეხებიან განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მომავალ სესიას, განხილულ იქნენ საგარეო საქმეთა მინისტრების არაოფიციალური მოლაპარაკებების დროს. მინისტრებმა, სხვათა შორის, შეეხნენ საკითხს—როგორ აიცილონ თავიდან საქმიანი განხილვა საბჭოთა პროექტისა ნაწილობრივი განიარაღების შესახებ; გამოირკვა, აგრეთვე ხელმძღვანელი სახელმწიფოების განზრახვა—გადასდონ საზღვაო შეიარაღებათა და ხმელეთის ჯარების რეზერვების სადაო საკითხების არსებითი განხილვა. (ადს).

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

იზრდება ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი

რეველი, 13 მარტი. როგორც გაზეთ „პაევალეხტ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, იზრდება ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი ინგლისში. კორესპონდენტი დაწვრილებით ეხება საბჭოთა კავშირში ინგლისის დელეგაციის გაგზავნის საკითხს და ფიქრობს, რომ ეს დელეგაცია ბევრად უფრო სერიოზული იქნება იმ დელეგაციაზე, რომელიც როდისმე გაგზავნილა საბჭოთა კავშირში. კორესპონდენტის აზრით, დელეგაციის დასკვნები დიდ როლს ითამაშებენ, ინგლისის მომავალ არჩევნებში და ახალმა მთავრობამ უნდა გადასწყვიტოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხი (ადს).

ინგლისელი მრეწველნი შეშფოთებულნი არიან

ლონდონი, 13 მარტი. გავლენიანი კონსერვატორი ჰენრი მეტკალფი, საბჭოთა კავშირში სავაჭრო დელეგაციის გაგზავნის მომხრე „მანჩესტერ გარდიან"-ში აქვეყნებს წერილს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ „სიტიში შეშფოთებულნი არიან იმის გამო, რომ მოლაპარაკება სესხის შესახებ რუსეთთან ამერიკელ ბანკირებს უფრო ხელსაყრელ პირობებში შეუძლიათ, ვიდრე ინგლისელ ბანკირებს". მეტკალფი სწერს, რომ ამ ფაქტმა საგრძნობლად უნდა შეუწყოს ხელი ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობის განვითარებას" (ადს).

ჰუვერი იცავს ნავთის მრეწველთა ინტერესებს

ნიუ-იორკი, 13 მარტი. პრესის ცნობით პრეზიდენტმა ჰუვერმა განაცხადა, რომ იგი განახორციელებს ნავთის წყაროების სასტიკი მომჭირნეობის პოლიტიკას. გაუქმებული იქნება ნებართვის გაცემა ნავთიანი ადგილების კერძო ექსპლოატაციისათვის. აღნიშნავენ, რომ ჰუვერი ხელს უწყობს ნავთის იმ მრეწველებს, რომლებიც სცდილობენ პროდუქციის შემცირებას და ფასების აწევას. ამას წინად „ნავთის დამცველმა ფედერალურმა პალატამ" ამერიკის კაპიტალისტები გააფრთხილა— შესაძლებელია გამოილიოს ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ნავთის მარაგი. ამიტომ შეიძინეთ უცხოეთის ნავთის წყაროებიო (ადს).

უთანხმოება სეიმსა და პილსუდსკის შორის

ვარშავა, 13 მარტი. მთავრობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა ზედმეტი დანახარჯის გამომჟღავნებამ. დამახასიათებელია, რომ მთავრობის პრესა, რომელიც ჩვეულებრივად სეიმს ემუქრებოდა დათხოვნით, როცა ეს უკანასკნელი მთავრობის წინააღმდეგ გამოდიოდა, ამ შემთხვევაში ასეთ მუქარას აღარ მიმართავს.

პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ მთავრობისათვის არ არის ხელსაყრელი სეიმის დათხოვნა ფინანსიური კონტროლის თავიდან აცილების მიზნით. მეორეს მხრივ, მთავრობის პოზიციას ამ შემთხვევაში ასუსტებს პოლონეთის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, ხმა დადის, რომ მთავრობის ზოგიერთ წრეებს განზრახული აქვთ ისარგებლონ სეიმის ეხლანდელი გამოსვლით „სერიოზული პოლიტიკური დასკვნებისათვის". ამიტომ მოელიან სერიოზულ ღონისძიებებს საშინაო პოლიტიკის სფეროში, მაგრამ 19 მარტზე არა ადრე. 19 მარტი პილსუდსკის სახელწოდების დღეა და წელს იგი განსაკუთრებული ზეიმით უნდათ ჩაატარონ. (ადს).

ბელგიის კომპარტიის ყრილობა

პარიზი, 13 მარტი. ბელგიის კომპარტიის ყრილობის საბოლოო სხდომაზე ყველა ხმით ერთის წინააღმდეგ (სამმა თავი შეიკავა) მიღებულ იქნა რეზოლიუცია პარტიის საარჩევნო პლატფორმისა და ტაქტიკის შესახებ. რეზოლიუცია იწონებს ცეკას თეზისებს კამპანიის გამოყენების შესახებ პარტიაში წევრების მისაღებად. ერთხმად (ორმა თავი შეიკავა) მიღებულ იქნა პოლიტიკური რეზოლიუცია, რომელიც მთლიანად იწონებს კომინტერნის კონგრესის დადგენილებებს და ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლას კომინტერნის ცალკე სექციებში.

მუშათა პროფკავშირების საკითხზე ყველა ხმით ერთის წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ საჭიროა პროფმუშაობა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას რეზოლიუციამ უარჰყო ახალი პროფკავშირების შექმნის იდეა, რადგან ეს ეწინააღმდეგება კომინტერნის ხაზს და უდრის კაპიტულიაციას რეფორმისტების წინაშე. (ადს).

ორლოვის საქმის გარშემო

ბერლინი, 13 მარტი. როგორც „ველტ ამ აბენდ" (მემარცხენე) და „როტე ფანე" (კომპარტიის ორგანო) იუწყებიან, შესაძლებელია ორლოვი გადაასახლონ მხოლოდ პრუსიიდან, რის შემდეგაც იგი ბავარიას შეაფარებს თავს. ორლოვის დამცველი ადვ. ყოველნაირად ცდილობს—დააჩქაროს გადასახლება და მოსპოს სისხლის სამართლის ძიება ორლოვის წინააღმდეგ, იმით იცავს ამ თვალსაზრისს, რომ არ შეიძლება უცხოელი მიეცეს პასუხისგებაში, მხოლოდ იმისთვის, რომ ის მოქმედებდა უცხო სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში შეერთებული შტატების) ინტერესების წინააღმდეგ. რაც შეეხება გერმანიის სახელმწიფოს ინტერესებს, ორლოვს მისთვის მხოლოდ სარგებლობა მოჰქონდა.

შემდეგ „ველტ ამ აბენდ"-ი იუწყება, რომ ცნობილი თეთრგვარდიელი თეთრგვარდიელთა ემიგრაციის ბელადი გერმანიაში, მეფის ყოფილი დიპლომატი ბატკინი საფრანგეთში წავიდა სწორედ იმ დღეს, როცა დააპატიმრეს ორლოვი. იმავე დღეს მოულოდნელად ავად გახდა და საფრანგეთში გაემგზავრა თეთრგვარდიელი ოფიცერთა ბელადი გენერალი ფონ-ლამპე. თეთრგვარდიელთა გაზეთის „რულსკაია პრავდა"-ს რედაქტორი კოლეგა სადღაც მიიმალა. ყოფილ რუს [illegible] კავშირის თავმჯდომარემ ფონ-შლიპემ გაჰყიდა თავისი ვილა ბერლინის მახლობლად და საფრანგეთში წავიდა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ავადმყოფობისა და გამგზავრების ეპიდემია გავრცელდა სწორედ მაშინ, როცა ორლოვი დააპატიმრეს. გაზეთის აზრით, შეიძლება ბევრი საინტერესო ამბავი გამოირკვეს, თუ გერმანიის ხელისუფლება არ გაუწევს ანგარიშს შეერთებული შტატების სურვილს.

როგორც „როტე ფანე" აღნიშნავს, ორლოვი იმუქრებოდა თურმე, რომ გამოაშკარავებს თავის კავშირს პოლიციასთან, თუ მის წინააღმდეგ პროცესი იქნება აღძრული.

ბერლინი, 13 მარტი. პოლიცია-პრეზიდიუმი უარყოფს ზოგიერთი გაზეთის ცნობას იმის შესახებ, რომ ორლოვს, თუ მან ერთი კვირის განმავლობაში ვერ მიიღო რომელიმე ქვეყანაში შესვლის ნებართვა, გადაასახლებენ საბჭოთა კავშირში. ცნობაში ნათქვამია, რომ ორლოვის გაძევების შესახებ ზედმეტია ლაპარაკი, ვინაიდან ის პოლიტიკური ემიგრანტია. (ადს).

საზღვაო სახელმწიფოთა კონფერენცია

პარიზი, 13 მარტი. „ევრ"-ის ცნობით, განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სესიის დროს საზღვაო სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის გაიმართება მოლაპარაკება ხუთი საზღვაო სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევის შესახებ. კონფერენციის მოწვევა განზრახულია ჟენევაში, ივნისში, როცა ინგლისის პარლამენტის არჩევნები დამთავრდება.

ლონდონი, 13 მარტი. როგორც „დეილი ტელეგრაფ"-ი იუწყება, ჩემბერლენმა და ბრიანმა ჟენევაში განიხილეს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის შესაძლებელი საზღვაო სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევა ინგლისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. (ადს).

ჩინეთში

ჩინეთის ბელადების დავა

შანხაი, 13 მარტი. სამსახურიდან გადადგა ხუნანის პროვინციის გუბერნატორი ხოვენი (გუანსის დაჯგუფების მომხრე), რომელმაც ხუნანის გუბერნატორის თანამდებობიდან გადააყენა ჩან-კაი-შის კანდიდატი ლიუ ტი-პინი). ლი ტი-სინი (კანტონის დიქტატორი, გუანსის დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი) და სხვა ცნობილი გომინდანელები წავიდნენ ნანკინში ჩან-კაი-შისთან სათათბიროთ. ლი ტი-სინს იმედი აქვს, რომ მოახერხებს ინციდენტის მშვიდობიანად გადაჭრას. (ადს).

სუნიატ-სენის გარდაცვალების წლის თავი

პეკინი, 13 მარტი. სუნ იატ-სენის გარდაცვალებიდან ოთხი წლის თავის გამო, ქალაქის სხვადასხვა ნაწილში მოხდა სადღესასწაულო კრებები. ცენტრალურ მიტინგს დაესწრო 30 ათასი მუშა, სტუდენტი, მოხელე და ვაჭარი. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია პროტესტი გომინდანის ცენტრალური აღმასკომის მიერ ყრილობის დელეგატების დანიშვნის წინააღმდეგ. (ადს).

პარტიული კომიტეტის გადაყენება

შანხაი, 13 მარტი. გომინდანის ხუნანის ორგანიზაციის კომიტეტი გადააყენეს „აღმასკომის მოქმედების დაუშვებელი კრიტიკისათვის და მის გადაწყვეტილებათა აუსრულებლობისათვის". ცნობილია, რომ ხუნანის კომიტეტმა პროტესტი განაცხადა გომინდანის აღმასკომის მიერ მესამე ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების დანიშვნის წინააღმდეგ. ტოხოს სააგენტოს ცნობით, გომინდანის ხანკოუს განყოფილებამ, რომელიც გამოვიდა ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების დანიშვნის წინააღმდეგ, მოწოდებით მიმართა პარტიის სხვა განყოფილებებს, რომ მათ ამ მიმართულებით მხარი დაუჭირონ ხანკოუს განყოფილებას. (ადს).

აჯანყება მექსიკაში

ნიუ-იორკი, 13 მარტი. როგორც „ასოშიეიტედ პრეს"-ი იუწყება, მთავრობის ჯარმა შეუტია მექსიკის მეამბოხეთა ბელადს ესკობარს და უკან დაახევინა ქალაქ სალტილოდან. მექსიკის მთავრობა აცხადებს, რომ სონორას შტატში 1.200 მეამბოხე გადავიდა მთავრობის მხარეზე და დაიჭირა ქალაქი ნაკო. როგორც მეამბოხენი იუწყებიან, ხალისკოს შტატის ჯარების სარდალი მათ მხარეზე გადავიდა.

შრომის რეფორმისტული ფედერაციის ლიდერმა მორენსმა გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ იგი მხარს უჭერს მთავრობას მეამბოხეთა წინააღმდეგ (ადს).

საეჭვო ურთიერთობა

ნიუ-იორკი, 13 მარტი. მიუხედავად კელოგის განცხადებისა, რომ შეერთებული შტატების მთავრობას არ შეუძლია მექსიკის აჯანყებულნი იცნოს მეომარ მხარედ, შეერთებული შტატების წარმომადგენლებს ზოგიერთ რაიონში ურთიერთობა აქვთ აჯანყებულებთან. როგორც იუწყებიან, ამერიკის სანაპირო ჯარის სარდალი ნოგალესში (არიზონის შტატი) გადავიდა საზღვარს და მექსიკის ნოგალესში (სონორის შტატი) ინახულა აჯანყებულთა გენერალი მანცო. გაზეთების სიტყვით, ამერიკის ჯარის სარდალმა გააფრთხილა აჯანყებულნი—ხელი არ ახლონ შეერთებული შტატების მოქალაქეებს და მათ ქონებას.

„ივნინგ პოსტ"-ი იუწყება, რომ გენერალმა მანცომ აღუთქვა სარდალს ამერიკელი კაპიტალისტების ინტერესების დაცვა (ადს).

ტყვეების განთავისუფლება აჯანყებულების მიერ

ნიუ-იორკი, 13 მარტი. შეერთებული შტატების კონსულმა დურანგოში (მექსიკა) საგარეო საქმეთა სამინისტროს ტელეგრაფით აცნობა, რომ ახლო მომავალში აჯანყებულნი განათავისუფლებენ მაღაროების გამგეს (შეერთებული შტატების ქვეშევრდომი) და ერთ ინგლისელს. ესენი აჯანყებულებმა გაიტაცეს და მოითხოვდნენ სასყიდელს მათი განთავისუფლებისათვის. როგორც ჩანს, კონსული მოლაპარაკებას აწარმოებდა აჯანყებულებთან (ადს).

იარაღის მიწოდება აჯანყებულთათვის

ნიუ-იორკი, 13 მარტი. როგორც „ასოშიეიტედ პრეს"-ი ტეხასიდან იუწყება, შეტაკების დროს დასჭრეს ორი ამერიკელი სანაპირო რაზმელი, რომელთაც წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ იარაღისა და სამხედრო მოწყობილობის კონტრაბანდით ვაჭრობისათვის მექსიკაში. სააგენტო სწერს, რომ „უცხოეთის ზოგიერთი წრეები აჯანყებულებს იარაღს და სამხედრო მასალას აწვდიანო". (ადს).

მდგომარეობა ავღანისტანში

ლონდონი, 13 მარტი. „ტაიმს"-ის პეშავარელი კორესპონდენტი უარჰყოფს ცნობას ნადირ-ხანის დაპატიმრების შესახებ და ამტკიცებს, რომ ნადირ-ხანი თავისი ორი ძმით ამჟამად იმყოფება ხოსტში, „სადაც ისინი სიხარულით მიიღო იმ პარტიამ, რომელიც ამანულა-ხანის წინააღმდეგ იბრძვის" (ადს).

ლიბერალური პარტიის ყვითელი წიგნი

ლონდონი, 13 მარტი. ლიბერალურმა პარტიამ გამოაქვეყნა მეორე ყვითელი წიგნი სათაურით—„ჩვენ შეგვიძლია დავძლიოთ უმუშევრობა".

წიგნი შეიცავს ლიბერალური პარტიის პროგრამას უმუშევრობის საკითხის შესახებ. ამ პროგრამით გათვალისწინებულია საგზაო და საბინაო მშენებლობის განვითარება, ელექტრონის ქსელის გაფართოვება, სარკინიგზო სისტემათა მოწყობა, ლონდონის სამგზავრო ტრანსპორტის რეორგანიზაცია. ყველა ამის განხორციელება, პარტიის გამოანგარიშებით, სამუშაოს მისცემს 750.000 მუშას. პროგრამა სავსებით მხარს უჭერს საბჭ. კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის აზრს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლონდონში „არკოს"-ზე თავდასხმის შემდეგ ინგლისის ექსპორტი საბჭოთა კავშირში საგრძნობლად შემცირდა. (ადს).

კომუნალური არჩევნები კოპენჰაგენში

კოპენჰაგენი, 13 მარტი. კოპენჰაგენის კომუნალურ არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 35 ადგილი, კონსერვატორებმა 16, რადიკალებმა—4, მთავრობის მომხრე გლეხთა პარტიამ დაკარგა თავისი ერთადერთი მანდატი. მიუხედავად დიდი ანტიკომუნისტური აგიტაციისა, კომპარტიამ პირველად მიიღო მუშურ-გლეხური სიით ერთი მანდატი—ფუგლედში. (ადს).

შეთქმულება ქემალ-ფაშას წინააღმდეგ

სტამბოლი, 13 მარტი. „ჯუმხურიეთ"-ის ცნობით, იმ შეთქმულების გამოძიებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა სტამბოლში, გამოარკვია, რომ მზადდებოდა თავდასხმა მუსტაფა ქემალ-ფაშაზე. მთავარი ბრალდებული ქიაზიმ-ხანუმი გამოტყდა იმ ბრალდებაში, რომელიც მას წაუყენეს. (ადს).

„სინდისიერი და მტკიცე კავშირი"

ბერლინი, 13 მარტი. მძიმე ინდუსტრიის ორგანომ „დოიჩე ბერგვერკსცაიტუნგ"-მა კვლავ წამოაყენა „სინდისიერი და მტკიცე ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის კავშირის" შექმნის გეგმა. გაზეთი არ მალავს, რომ ასეთი კავშირი მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ამ კავშირის ირგვლივ დაირაზმება მთელი დანარჩენი ევროპა, გარდა რუსეთისა, სანამ იგი ბოლშევიკური იქნებაო (ადს).

გენერალი ლერონი პოლონეთის არმიის შესახებ

ბერლინი, 14 მარტი. „როტე ფანე"-ში დაბეჭდილია საიდუმლო მოხსენება გენერალ ლერონისა, რომელმაც საიდუმლო დავალებებით იმოგზაურა ბალტიის სახელმწიფოებში, პოლონეთში, შუა-ევროპის სახელმწიფოებში და ბალკანეთში. ლერონი მკაცრად აკრიტიკებს პოლონეთის არმიის ბრძოლის უნარიანობას. ამასთან ეს კრიტიკა გამსჭვალულია სურვილით, რომ მიღწეული იქნას მაქსიმალური ბრძოლის უნარიანობა პოლონეთის არმიისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეტევის მიზნებისათვის. თავის მოხსენებაში ლერონი აცხადებს, რომ პოლონეთის არმიის ეხლანდელი სტრუქტურის პირობებში ამ არმიას არ შეუძლია ბრძოლა ისეთი ჯარის წინააღმდეგ, რომელსაც ექნება საბჭოთა წითელი არმიისა ან გერმანიის რეიხსვერის ძალა". მიუხედავად იმისა, რომ რიცხვობრივად პოლონეთის არმია სჭარბობს გერმანიის რეიხსვერს; ყოველი შეტევითი ოპერაცია, რომელსაც პოლონეთის არმია დაიწყებს საბჭოთა ტერიტორიაზე, „შეიძლება სრული კატასტროფით დასრულდეს". შემდეგ ლერონი აცხადებს, რომ პოლონეთის არმიისათვის გზის გადასაღობავად სავსებით საკმაო ძალას წარმოადგენენ წითელი არმიის ის ნაწილები, რომლებიც პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე იმყოფებიან.

მოხსენება ქებით იხსენიებს პოლონეთის ავიაციის მფრინავთა შემადგენლობას, მაგრამ აკრიტიკებს მატერიალურ ნაწილს იმდენად, რამდენადაც ლაპარაკია პოლონეთის მრეწველობის მიერ დამზადებულ მასალებზე; ლერონის აზრით, ეს მასალები უცხოეთის მასალებით უნდა შეიცვალოს.

ეხება რა საკითხს პოლონეთის არმიის მეთაურთა შემადგენლობის შესახებ, ლერონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა „მასში ყველგან შეყვანილ იქნას მაღალი კვალიფიკაციის მქონე ფრანგი მეთაურები".

მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ლერონს საგრძნობლად აფიქრებს გლეხების მოქმედება იმ რაიონში, სადაც შარშან პოლონეთის არმიის მანევრები სწარმოებდა; როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, ხსენებულ რაიონში მოსახლეობა მიიმალა; ამასთანავე გადამალეს ცხენები და პირუტყვი; არავითარ ხელის შეწყობაზე ჯარისადმი მოსახლეობის მხრივ ლაპარაკიც არ ყოფილა; ხელს უწყობდნენ ჯარს მხოლოდ მოხელეები (ადს).

საგეგმო კომისიების საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 14 მარტი. სახელმწ. საგეგმო კომისიების პრეზიდიუმების საკავშირო ყრილობაზე მოხსენება გააკეთა შრომის სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. ტოლსტოპიატოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კვალიფიციური მუშა-ხელის და ტექნიკური ძალების მომზადების პრობლემას დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ხუთწლიან გეგმაში. შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად 7 პროცენტით, საშუალო ხელფასი ხუთი წლის განმავლობაში გადიდდეს 50 პროც. მაინც.

12 მარტს სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბრიუხანოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდამ და თვითღირებულების შემცირებამ წელს ვერ მიაღწია დასახულ დონემდე. ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფასების დაკლებისა და მანქანების მწარმოებლობითი უნარის გადიდების პრობლემას. წელს ადგილი აქვს საცალო ფასების სტიქიურად გადიდებას სასოფლო-სამეურნეო სამრეწველო საქონელზე. ყველა ეს ფაქტორი საფრთხეს უმზადებს რეალური და ნორმალური ხელფასის გადიდებას. (ადს).

ამიერ-კავკასიის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები

მოსკოვი, 14 მარტი. სახელმწიფო საგეგმო კომისიათა პრეზიდიუმების ყრილობამ მოისმინა ამხ. კოვალიოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის ცალკე რაიონებში მეურნეობის განვითარების შესახებ—ხუთწლიანი გეგმის მიხედვით. ამიერ-კავკასიის შესახებ მოხსენებამ აღნიშნა, რომ ის წარმოადგენს სათბობი მასალისა და ნედლეულის ერთ-ერთ ძირითად ბაზას საბჭოთა კავშირში. ამ ქვეყნის მრეწველობაში ელექტროფიკაცია გატარდება 95 პროცენტით. ელექტროფიკაციის მხრივ ამიერ-კავკასიის მრეწველობა პირველ ადგილს დაიჭერს საბჭოთა კავშირში. 1928 წლის 105 მილ. მანეთიდან 1933 წელს რესპუბლიკის მრეწველობის ძირითადი თანხა 217 მილ. მანეთამდე გადიდდება. ჩქარი ტემპით ვითარდება სატყეო, ქიმიური სილიკატისა და სამთომადნეულო მრეწველობა. ქიმიური მრეწველობის დარგი სწარმოებს სამთო გამოკვლევები. ვითარდება სატექსტილო და კვების მრეწველობა. ახლად იწყობა ქაღალდის მრეწველობა. მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია, „აზნეფთ"-ის ჩათვლით, 105 პროცენტით გადიდდება, ხოლო „აზნეფთ"-ის ჩაუთვლელად 227 პროცენტით.

სოფლის მეურნეობა მიიღებს 5.000 ტრაქტორს. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რაოდენობა სამჯერ გაიზრდება. ირიგაციის გზით განზრახულია მიწის გადიდება 325.000 ჰექტარით. ხუთწლედის ბოლოს ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 62,1 პროცენტით გაიზრდება. ხუთწლედის ბოლოს პურის მოთხოვნილება ამიერ-კავკასიის ქალაქებში, უმთავრესად, საკუთარის რესურსებით იქნება დაკმაყოფილებული. გათვალისწინებულია საგზაო მშენებლობის ფართოდ განვითარება ქვეყნის შიგნით. სავსებით დასრულდება შავი ზღვისა და ზაქა-ჯულფას რკინის გზები (ადს).

გმობენ ტროცკის მოქმედებას

ლენინგრადი, 14 მარტი. ლენინგრადის ქარხნებსა და ფაბრიკებში გაიმართა მიტინგები, რომლებზედაც მუშებმა ერთსულოვნად დაგმეს და სასტიკად გაჰკიცხეს ტროცკის კონტრ-რევოლუციონური გამოსვლა საზღვარგარეთის ბურჟუაზიულ პრესაში. მიღებულ რეზოლიუციებში ნათქვამია: „მთელი მსოფლიოს მშრომელებმა ღირსეულად უნდა შეაფასონ ტროცკის კონტრ-რევოლუციონური მოქმედება, სასტიკად უნდა დაჰგმონ მისი გამოსვლა და ამით გამოაშკარაონ, თუ რას წარმოადგენს ტროცკი და მისი მსგავსი ბურჟუაზიული ლაქიები" (ადს).

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

მოსკოვის ოქმი სეიმში

ვარშავა, 14 მარტი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ სეიმმა მეორე და მესამე წაკითხვის შემდეგ მიიღო კანონპროექტი მოსკოვის ოქმის რატიფიკაციის შესახებ (ადს).

კელოგის პაქტის რატიფიკაცია შვეიცარიის მიერ

ბერლინი, 13 მარტი. ბერნიდან გადმოცემული ცნობის თანახმად, შვეიცარიის ზედა პალატამ ერთხმად გადასწყვიტა მოახდინოს კელოგის პაქტის რატიფიკაცია (ადს).

ტროცკისტების კრება პრაღაში

პრაღა, 13 მარტი. პრაღელმა ტროცკისტებმა მოაწყვეს კრება, რომელზედაც უნდა გამოსულიყო ურბანსი. კრებაზე გამოცხადებულმა მუშებმა გამართეს დემონსტრაცია ტროცკისტული კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ და კრება ვეღარ შესდგა (ადს).

პოლიციელ-პრეზიდენტი ორლოვისა და სუმაროკოვის შესახებ

ბერლინი, 13 მარტი. ვოლფი იუწყება: „გაზეთებში მოთავსებულ იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ორლოვისა და სუმაროკოვის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას და მათ გადასახლებას, პოლიციელ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება" (ადს).

დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლების ახდა

ვარშავა, 13 მარტი. სეიმმა გადასწყვიტა ახადოს დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლება სამ კომუნისტ-დეპუტატს—ვარსკის, გუტნერს და ვალნიცკის, რომელთაც „საამბოხო მოქმედებები" ბრალდებათ (ადს).

ნდობა მთავრობას

პარიზი, 14 მარტი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „პალატამ 323 ხმის უმრავლესობით —254 ხმის წინააღმდეგ—ნდობა გამოუცხადა მთავრობას" (ადს).

ნობილეს გადადგომა

რომი, 14 მარტი. ავიაციის სამინისტრომ გამოაქვეყნა დეკრეტი გენერალ ნობილეს გადადგომის შესახებ.

ლიკვიდატორების ღალატი

პრაღა, 13 მარტი. ლიკვიდატორები, რომლებიც ჯერ კიდევ ფეიქართა უკანასკნელი ბრძოლის დროს გამოვიდნენ რევოლუციონურ პროფკავშირთა გაერთიანების ფეიქართა სექციის მდივნის ხელმძღვანელობით, სამი კვირით ადრე ყრილობამდე აშკარა შეტევაზე გადავიდნენ. კვირას გაიმართა რევოლუციონურ პროფკავშირთა გაერთიანების პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც ლიკვიდატორთა უმრავლესობა აღმოჩნდა. ეს ახასიათებს ლიკვიდატორების გამოსვლას, როგორც გზას პროფინტერნის წინააღმდეგ და მათ ცდას — დააბრუნონ რევოლუციონური პროფკავშირები რეფორმიზმის წიაღში (ადს).

რეინის გარნიზონების გამოკვლევა

პარიზი, 14 მარტი. დეპუტატთა პალატისა და სენატის სამხედრო კომისიებმა მოისმინეს მოხსენებები თავისი წევრებისა, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ რეინის გარნიზონების გამოსაკვლევად, მომხსენებლები აღნიშნავენ, რომ გაძლიერებული სიკვდილიანობა, რომელსაც ადგილი აქვს რეინის ოლქში საფრანგეთის ჯარისკაცთა შორის, გამოწვეულია გრიპის სასტიკი ეპიდემიით. მიუხედავად ამისა პალატის ოპოზიციონური ფრაქციები ისევე მხარს უჭერენ თავის ბრალდებებს. რადიკალები ჯარისკაცებს შორის სიკვდილიანობის გაძლიერებისათვის პასუხისმგებლობას საფრანგეთის ადგილობრივ სამხედრო ხელისუფლებას აკისრებენ. სოციალისტები და კომუნისტები კი ბრალსა სდებენ თვითონ მთავრობას სამხედრო მინისტრ პენლევეს სახით. „პოპიულერ"-ი იმეორებს კაშენისა და დორიოს არგუმენტაციას და მოითხოვს პენლევეს გადადგომას. „ლიუმანიტე" აღნიშნავს, რომ სამხედრო მინისტრმა იმ ბრალდებათა გავლენით, რომელიც მას წაუყენეს პალატაში შეიტანა დაგვიანებული კანონპროექტი ჯარისკაცის ულუფის უმნიშვნელოდ დღეში 13 სანტიმით გადიდების შესახებ. გაზეთი მოითხოვს, რომ ულუფა, რომელიც ამჟამად დღეში 5 ფრანკს უდრის, გადიდებულ იქნას 15 ფრანკამდე (ადს).

საკ. ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიის სხდომა

მოსკოვი, 14 მარტი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მოისმინა ამხ. ვოლაიცკის მოხსენება 1929 წლის გაზაფხულის თესვის კამპანიისა და კონტრაქტაციისათვის მოსამზადებელ ღონისძიებათა გატარების შესახებ. წლიური გეგმით გათვალისწინებულია 8.856 ცალი საიმპორტო და საბჭოთა ტრაქტორის შეტანა დანიშნულ რაიონებში. ეს ციფრი გასული წლისას აღემატება 158 პროცენტით. გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის რაიონებში შეტანილი იქნება 7.250 ტრაქტორი, ე. ი. 150 ტრაქტ. მეტი გეგმით გათვალისწინებულზე.

გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომარაგების გეგმა თითქმის მთლიანად იქნება შესრულებული, დეფიციტი იქნება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მანქანების სამარაგო ნაწილების მიმართ, ვინაიდან სამარაგო ნაწილების დამზადების პროგრამა მრეწველობამ მხოლოდ 50 პროცენტით შეასრულა. ტრაქტორების სამარაგო ნაწილების მიწოდების შესახებ დადებული გარიგება უცხოეთის ფირმამ ვადაზე არ შეასრულა. მინერალური სასუქის შემოზიდვის გეგმა მთლიანად არ იქნება შესრულებული, მაგრამ სასუქის რაოდენობა ბევრად აღემატება წარსული წლის ციფრებს.

ამხ. მიქოიანმა ჯამი გაუკეთა კამათს და აღნიშნა, რომ მრეწველობამ სავსებით არ შეასრულა სასოფლო-სამეურნეო მანქანების და მათი სამარაგო ნაწილების დამზადების წლიური გეგმა, დამტკიცებული შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ. არ არის შესრულებული დეფიციტიანი სას.-სამეურნ. მანქანების დამზადების პროგრამა. დაუყოვნებლივ შემუშავებულ უნდა იქნას ღონისძიებები დეფიციტიანი სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამზადების გასადიდებლად და ცალკე რაიონების მოსამარაგებლათ ამ მანქანებით.

რაც შეეხება საიმპორტო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, საბჭოთა კავშირში უკვე მიღებულია ყველა ტრაქტორი. სავსებით გადმოტვირთულია აგრეთვე შესყიდული სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღი.

ამხ. მიქოიანმა აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის განაწილების საქმე, რაიონებში არ არის სათანადოთ მოწყობილი. ზოგიერთ რაიონს მოჭარბებულად აქვს მანქანები, ხოლო სხვა რაიონები ამ მხრივ დიდ კრიზისს განიცდიან.

დასასრულ ამხ. მიქოიანმა აღნიშნა, რომ წარმატებით მიმდინარეობს სათესლე მასალის მოწოდება გაზაფ. თესვის კამპანიისათვის უკრაინისა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკებში. (ადს).

ამიერ-კავკასიის მრეწველობის 5 წლიანი გეგმა

მოსკოვი, 14 მარტი. საკავშირო სახ. მეურნ. უმაღ. საბჭომ საერთოდ მიიღო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკური მრეწველობის კაპიტალური სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმა. ამ მუშაობისათვის გათვალისწინებულია 188.125.000 მანეთი. აქედან—გეოლოგიურ-საგამოკვლევო სამუშაოებისათვის—8.565.000 მანეთი (აზერბაიჯანი—4 მილიონი მანეთი, სომხეთი—2.945.000 მან. და საქართველო—1.620.000 მანეთი). დაზვერვისათვის ნავარაუდევია 2.730.000 მანეთი.

ხუთწლიან გეგმიდან გამორიცხულია ასიგნობები მეორე სართავ საქსოვი ფაბრიკის ასაგებად განჯაში. სამაგიეროდ შეტანილია 15 მილიონი მანეთი ჭიათურის მარგანეცისა და ფერრო-მარგანეცის ქარხნის კაპიტალური სამუშაოებისათვის.

ამიერ-კავკასიის წარმომადგენელმა მამულიამ განსაკუთრებული აზრი შეიტანა და მოითხოვა—მშენებლობის ხუთწლიან გეგმაში დარჩეს განჯის ფაბრიკის აგება. მამულია დაუსაბუთებლად სცნობდა იმ აზრს, რომ ამ ფაბრიკას არ ეყოლება საკმაო მუშა-ხელი და არ ექნება საკმაო ნედლეული. მამულიამ მოითხოვა აგრეთვე ასიგნობების გადიდება გეოლოგიურ-საგამოკვლევო მუშაობისათვის და აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნავთის გამოკვლევას შირაქის რაიონში (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სისხლის სამართლის დამნაშავენი პოლონეთის მთავრობაში

მოსკოვი, 14 მარტი. „იზვესტია"-ს ვარშაველი კორესპონდენტი გადმოგვცემს:

ვარშავის პოლიტიკურ წრეებში სენსაციას იწვევს პარტია ვიზვოლენიეს გამგეობის რეზოლიუცია. ვიზვოლენიეს პარტია თავის რეზოლიუციაში სასტიკად ილაშქრებს პილსუდსკის მთავრობის წინააღმდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სისხლის სამართლის ბრალდებანი, რომელსაც უყენებს ვიზვოლენიე მთავრობის წევრებს და მმართველობის სფეროების ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს.

ყველასათვის აშკარაა, აცხადებს თავის რეზოლიუციაში ვიზვოლენიეს პარტია, რომ მთავრობის ბევრი მოღვაწე ისე ფართოდ ცხოვრობს, რომ მათ ამის შესაძლებლობას მარტო ჯამაგირი ვერ მისცემდა. ეს ხალხი მუდმივ მონაწილეობას ღებულობს თავზე ხელაღებულ ქეიფობაში და ორგიებში. ვარშავა ამჟამად მოაგონებს პროვინციას იმ შავ დღეებს, რომელნიც წინ უძღოდა პოლონეთის დაცემას.

ვიზვოლენიეს რეზოლიუცია ამასთანავე აღნიშნავს მთავრობის მოღვაწეთა სრულ უპასუხისმგებლობას და უვიცობას მართვა-გამგეობის საქმეებში. მთავრობამ ვერ შესძლო ვერც ერთი საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტა პოლონეთის სასარგებლოდ, ნათქვამია ვიზვოლენიეს რეზოლიუციაში.

კულტურის სესხი

მოსკოვი, 14 მარტი. ამ დღეებში აქ დასრულდა განათლების მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობა. ყრილობამ შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, გამოშვებულ იქნას კულტურის სესხი.

სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამის შესახებ შემდეგი განუცხადა პრესის წარმომადგენლებს: კულტურის სესხი გამოშვებულ იქნება 400 მილიონი მანეთის რაოდენობით. სესხით შეკრებილი საშუალებები უმთავრესად გამოყენებული იქნება განათლების საქმის მასიური სახეების გასაძლიერებლად, კერძოდ სოფლის სკოლების კეთილ-მოწყობისა და გაფართოებისათვის.

განათლების მუშაკთა ადგილობრივი ორგანიზაციები დიდი თანაგრძნობით გამოეხმაურენ ყრილობის დადგენილებას, კულტურის სესხის გამოშვების შესახებ. განათლების მუშაკთა ცენტრალურ კომიტეტს მოსდის ადგილობრივ ორგანიზაციების ერთსულოვანი დადგენილებანი კულტურის სესხის გამოშვების დაჩქარების აუცილებლობის შესახებ.

ათასი მუშა ქალი ლენინის პარტიის რიგებში

მოსკოვი, 14 მარტი. ქალთა საერთაშორისო დღეს მოსკოვის სხვადასხვა საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებში დაზგის ათას მუშა ქალმა შეიტანა განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

პარტიის წმენდის წინ

მოსკოვი, 14 მარტი. „პრავდა"-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია ამხ. ზატონსკის წერილი სათაურით: „პარტიის წმენდის წინ". ავტორი აღნიშნავს, რომ წმენდის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს წინასწარი მომზადება. პირველ ყოვლისა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გამწმენდ კომისიების შემადგენლობის შერჩევას. აშკარაა, რომ გამწმენდ კომისიებში არ უნდა იქნას შეყვანილი ადგილობრივი ხალხი. უფრო სწორი იქნებოდა, თუ, ვთქვათ, საოლქო გამწმენდი კომისია არ იქნება იგივე საოლქო საკონტროლო კომისია, გამწმენდ კომისიის წევრები სასურველია ინიშნებოდეს ცენტრიდან.

„როპ"-ისა და ინგლის-ამერიკის ნავთის კომპანიის შეთანხმების შემდეგ

მოსკოვი, 14 მარტი. სათბობი მასალის მთავარ სამმართველო იტყობინება, რომ ნავთის პროდუქტების ექსპორტის გაძლიერების მიზნით გაფართოებულია ნავთის ამოღების არსებული გეგმა. „გროზნავთმა" უნდა ამოიღოს 450 ათას ტონა იმაზე მეტი ნავთის პროდუქტი, რაც გათვალისწინებულია საკონტროლო ციფრებით, „აზნავთმა" კი — 300 ათასი ტონით მეტი.

საქართველოს მუშგლეხკორთა პირველი თათბირი

თათბირის დღიური

14 მარტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ჟოჟიკაშვილის მოხსენების გარშემო.

შუა სხდომაზე კამათი შეწყდა და სიტყვა მოხსენებისთვის მიეცა ამხ. მ. კახიანს, რომელსაც მთელი დარბაზი ხანგრძლივი მქუხარე ტაშით შეეგება.

კახიანის მოხსენების დამთავრების შემდეგ განახლდა კამათი, როგორც ამხ. ჟოჟიკაშვილის, ისე ამხ. კახიანის მოხსენებათა გარშემო.

საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ჟოჟიკაშვილისა და კახიანის მოხსენებათა გარშემო. ამავე სხდომაზე საქართველოს მთავრობის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფილიპე მახარაძემ, რომელსაც თათბირმა ოვაცია გაუმართა. კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს სახელით თათბირს მიესალმა ამხ. ნემერზელი, და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისაგან — ამხ. ს. ეული.

დღეს, დილის სხდომაზე, ამხ. კახიანი წარმოსთქვამს საბოლოო სიტყვას და დამთავრდება კამათი ამხ. ჟოჟიკაშვილის მოხსენების გარშემო, რის შემდეგ დაიწყებენ მუშაობას სექციები.

მეორე და მესამე დღე

13 მარტის დილის სხდომა

კამათი ამხ. ჟოჟიკაშვილის მოხსენების გარშემო

ამხ. ივ. ძაძამიძის სიტყვა

(თბილისის მაზრა-ქალაქის პროკურორი)

უკანასკნელ ხანებში მუშკორთა დევნა გახშირდა. რასაც მოწმობს სასამართლოში და პროკურატურის ორგანოებში დაგროვილი მასალები და გარჩეული საქმეები. დევნის შემთხვევები უფრო მეტია, ვიდრე არის აღრიცხული. რადგან მეტ წილად ადგილი აქვს ფარულ დევნას, რომლის გამომჟღავნება მეტად რთული და ძნელი საქმეს წარმოადგენს. მკვლელობის, მუქარის, დაშინების აღმოჩენა ადვილია. მაგრამ ფარული დევნის კვალის მიგნება ხშირად შეუძლებელი საქმეა. მაგალითად. ზოგიერთ წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი შურისძიების ნიადაგზე სამსახურიდან ხსნიან მუშგლეხკორებს და თავის მოქმედებას იმით ასაბუთებენ, რომ მოხსნილი პირი საქმისათვის გამოუსადეგარი და შეუფერებელი იყო. არის შემთხვევები როცა მუშკორი გადაყავთ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე. იმ მიზნით, რომ მოაშორონ იმ წრეს, რომელსაც იგი აკრიტიკებს.

ხან კიდევ აწინაურებენ, რომ ამით საშუალება მოუსპონ მუშკორს თვალყური ადევნოს წარმოების მუშაობას. ხან ხელფასს უმცირებენ და სხვ. ასეთია მუშკორის დევნის ფარული ფორმები. ზოგჯერ კიდევ ცილს სწამებენ, ავრცელებენ ჭორებს, რომ მუშკორი ანტისაბჭოთა ელემენტია. კონტრრევოლუციონერია, სისხლის სამართლის დამნაშავეა და სხვა. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ღონისძიებებს ყველა ამ კატეგორიის მდევნელთა წინააღმდეგ. მუშკორის მოკვლა ან მოკვლის ცდა კოდექსში გათვალისწინებულია, როგორც ტერორისტული აქტი რევოლუციონერი მოღვაწის წინააღმდეგ და დამნაშავე ისჯება სოციალური დაცვის უმაღლესი ზომით. მუქარა, იმ მიზნით, რომ მუშკორს ხელი აიღებინონ თავის მოღვაწეობაზე, სისხლის სამართლის კოდექსში დახასიათებულია როგორც გამოძალვა, და ისჯება პატიმრობით ერთ წლიდან სამ წლამდე. ასეთივე სისასტიკით ისჯება აგრეთვე დამნაშავე ცრუ ხმების გავრცელებისა და ცილისწამებისათვის. რასაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 174 მუხლი. ეს მუხლი მოქმედებს არა მარტო მუშკორთა მდევნელების, არამედ თვით მუშკორთა წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, როცა ისინი ბოროტად იყენებენ თავიანთ კალამს, და შეგნებულად დაუსაბუთებელ ბრალდებას უყენებენ პრესის საშუალებით ამა თუ იმ სამეურნეო და სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს.

დელეგატების ჯგუფი: ტერეშჩენკო (თბილისი), მ. კოვალჩუკი (ბათომი), გ. ხარიბავი (სამხრეთ-ოსეთი), ნ. ჯიბლაძე (თბილისი), მ. სრიბნიკი (თბილისი), კალანდია (ოჩამჩირე).

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. სახელდობრ ის, რომ მუშკორებში ზოგან ადგილი აქვს მცდარ გადახრას. ისინი ფიქრობენ თითქოს არ შეიძლება საერთოდ მუშკორის მოხსნა სამსახურიდან იმ შემთხვევაშიაც კი, როცა იგი შეუფერებელია თავის საქმისათვის. ეს ყალბი შეხედულებაა, რომელზედაც ყველამ უნდა აიღოს ხელი.

დასასრულ ამხ. ძაძამიძე აუცილებლად სთვლის, რომ დამყარდეს კონტაქტი პროკურატურის ორგანოებისა და მუშგლეხკორთა ორგანიზაციებს შორის, რომ უფრო წარმატებით გაგრძელდეს ბრძოლა სხვადასხვა უკუღმართობათა და ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ.

ამხ. ბუნთაიშვილი

(ხაშური)

რაიონის კედლის გაზეთების რედკოლეგიებს ერთმანეთს შორის უნდა ჰქონდეთ კავშირი, რომ უფრო ადვილი გახდეს შეცდომების თავიდან აცილება. უნდა გაძლიერდეს აგრეთვე ცენტრალურ გაზეთების ხელმძღვანელობა კედლის გაზეთებზე. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე გლეხობასთან კავშირს და ხელმძღვანელობა გაეწიოს სოფლკორებს, რომელზედაც შეფობა უნდა აიღონ ქალაქის კედლის გაზეთებმა. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სოფლის გაზეთების ტექნიკურ-მხატვრულ მხარეს.

ამხ. ბჟალავა

(სენაკის მაზრა)

დღემდე ცენტრალურ გაზეთების რედაქციებს მარტვილის რაიონში არ გამოუგზავნიათ არც ერთი ინსტრუქტორი, რომლის რჩევა-დარიგება დიდად შეუწყობდა ხელს კედლის გაზეთების შინაარსის გაუმჯობესებას. ორატორი მოითხოვს მუშ-გლეხკორებმა ყურადღება მიაქციონ ბეჭდვითი გაზეთების გავრცელებას. გარდა ამისა იგი საჭიროდ სთვლის, რომ „ახალმა სოფელმა" თავის ფურცლებზე ადგილი დაუთმოს ანტირელიგიურ პროპაგანდას და ამ მიზნით მუდმივად გამოჰყოს ერთი ან ორი სვეტი „უღმერთოთა კავშირისათვის".

ამხ. შ. ბარნაბიშვილი.

(გარე-კახეთი)

გლეხკორთა რიგებში არიან არა საიმედო პირები, რომელნიც ამახინჯებენ პარტიის ხაზს. ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს მუშგლეხკორთა შერჩევას. ჩვენს რიგებში მოჯამაგირეები ძალიან მცირეა, რაც აიხსნება იმით, რომ წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მათ შორის ნელი ტემპით მიმდინარეობს. საჭიროა გაძლიერდეს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა მოჯამაგირეებში. ორატორი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ცენტრალური გაზეთები ან სრულიად არ ათავსებენ გლეხკორთა წერილებს, ან ძალიან დაგვიანებით. მას დაუშვებლად მიაჩნია აგრეთვე ხელთნაწერების გადაგზავნა სათანადო ორგანოებში რადგან ხელთნაწერებით მჟღავნდება ავტორთა ვინაობა.

ამხ. დავითაია

(სენ. მაზრა)

საჭიროა მუშგლეხკორთა და ახკორთა წრეების გაერთიანება, რადგან მათი ცალკე მუშაობა ძალებს ქსაქსავს და ნაყოფიც ნაკლებია. ორატორი ხაზს უსვამს ზოგიერთ კორესპონდენტთა ცალმხრივობას. ბევრი სწერს მხოლოდ ნაკლოვანებებზე, მიღწევებს კი არ აღნიშნავს. წინააღმდეგ—ბევრი მიღწევებს ეხება, ხოლო ნაკლოვანებებზე კი სდუმს. წერილი უნდა შეიცავდეს როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. ორატორი მოითხოვს მუშგლეხკორთა შემადგენლობის გაწმენდას. იგი ასახელებს ერთ კულაკ კორესპონდენტს, რომელიც არჩევნების დროს სახელს უტეხდა კეთილსინდისიერ მუშაკებს და ამავე დროს ხელს უწყობდა ანტისაბჭოთა ელემენტების საბჭოში გაყვანას. ორატორი მოითხოვს ხელმძღვანელობის გაძლიერებას მუშკორთა მოძრაობაზე, რისთვისაც უნდა გახშირდეს რედაქციის ინსტრუქტორთა მივლინებები.

ამხ. გვენეტაძე

(ქუთაისის მაზრა)

ჩვენს მაზრაში არსებობდა ანტისაბჭოთა ბლოკი, რომელიც მიზნად ისახავდა გაზეთში მოთავსებული ცნობების გაბათილებას პრესის საშუალებით. ხშირად იგი მიზანს აღწევდა. რედაქციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ წერილების შერჩევას. არის შემთხვევები, ერთი და იმავე საკითხზე ერთიმეორის საწინააღმდეგო წერილები იბეჭდება. ერთი რომ აქებს, მეორე აგინებს. ან ერთი სტყუის, ან მეორე. რედაქციამ უნდა გამოარკვიოს საქმის ვითარება და არ უნდა გაუშვას ერთი-მეორის უარმყოფელი ცნობები, რაც მკითხველზე ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

13 მარტის საღამოს სხდომა

13 მარტის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ჟოჟიკაშვილის მოხსენების გარშემო.

ამხ. პოვშინჩუკი

(წ. არმია)

პრესა ნაკლებად აშუქებს სამხედრო საკითხებს, წითელარმიელთა ყოფა-ცხოვრებას და თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების საქმიანობას. თითქმის არავითარი კავშირი არ არსებობს სამხედრო კორესპონდენტებსა და მუშგლეხკორთა შორის. ხშირად წითელარმიელთა ოჯახები არ სარგებლობენ კუთვნილი შეღავათებით ადგილობრივი ხელისუფლების დაუდევრობით. მუშგლეხკორები უნდა შეებრძოლონ ამ მოვლენებს მათი პრესაში გამომჟღავნების საშუალებით.

ამხ. დოლიძე

(რკ. გზა)

მუშკორის შენიშვნების წერის დროს ობიექტიური მიდგომა უნდა ახასიათებდეს. გაზეთში მოსათავსებელ შენიშვნებში აღნიშნული ფაქტები წინასწარ უნდა იქნეს შემოწმებული თვითოეული მუშგლეხკორის მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაცემული რედაქციაზე, რომ შეცდომაში არ შევიყვანოთ რედაქცია და ტყუილ-უბრალოდ არ გავამათრახოთ უდანაშაულო პირი. ქართულ ენაზე მუშკორების სახელმძღვანელო ლიტერატურა არ მოიპოვება და ამიტომ მუშგლეხკორთა ჟურნალის გამოცემა მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. იმ შენიშვნების შესახებ, რომელსაც რედაქცია არ გაუშვებს გაზეთის საშუალებით მუშკორებს პასუხი უნდა გაეცეს.

ამხ. ლევინი

(წ. არმია)

წითელი ყაზარმების დათვალიერებაში მუშკორები სუსტ მონაწილეობას ღებულობენ, რის გამო ყაზარმის დათვალიერების სვლელობა და შედეგი პრესის მიერ სუსტად იყო გაშუქებული. პრესა ნაკლებ ყურადღებას აქცევს აგრეთვე წითელი არმიის მანევრების გაშუქების საკითხს, რაც შემდეგში გამოსწორებული უნდა იქნეს.

ამხ. სურგულაძე

(ოზურგეთი)

ცენტრალური გაზეთების რედაქციების მხრივ კედლის გაზეთებზე ხელმძღვანელობა მოისუსტებს. რედაქციებს ჯერ კიდევ მთლიანი, საერთო აზრი არა აქვთ გამომუშავებული კედლის გაზეთების შესახებ, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა რედაქციების წარმომადგენლები სხვადასხვა (საწინააღმდეგო) მითითებებს იძლევიან კედლის გაზეთების შესახებ.

ამხ. ღვალაძე

(ჭიათურა)

ზოგიერთ მუშგლეხკორს ყოყოჩობა ახასიათებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი შედიან ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებაში და თავმომწონედ ტრაბახობენ, რომ ისინი მუშკორები არიან. ასეთ განწყობილებებს ბრძოლა უნდა გამოეცხადოს თვით მუშკორების მხრით. ზოგიერთი კედლის გაზეთები გატაცებული არიან „საერთაშორისო საკითხებით" და ამავე დროს არ აშუქებენ ადგილობრივ ყოფა-ცხოვრების საკითხებს, ან და თუ აშუქებენ, არა საკმაოდ. კედლის გაზეთში უდიდესი ადგილი დათმობილი უნდა ჰქონდეს ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხებს.

ამხ. ფარულავა

(მილიცია)

თვითკრიტიკამ „პიროვნებათა განურჩევლად" ჯერ კიდევ ვერ პოვა სათანადო გამოხატულება კედლის გაზეთებში. ამ ლოზუნგის გაშლას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მუშკორების მხრით. მუშგლეხკორთა საკავშირო თათბირმა გამოიტანა დადგენილება კედლის გაზეთებთან მიღწევათა ბიუროების დაარსების შესახებ. საჭიროა ამ დადგენილების განხორციელება ჩვენს პირობებშიც. მუშგლეხკორთა შემადგენლობაში ქალთა პროცენტი ძალზე მცირეა. საჭიროა მისი გაზრდა ქალთა განყოფილებებისა და ორგანიზატორების დახმარებით. რედაქციებთან შექმნილ უნდა იქნეს მუშკორის დამხმარე ფონდი მისი მოკვლის, დაჭრის და სხვა უბედურ შემთხვევებისათვის. ზოგიერთი მუშკორები ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ არიან მოყოლილი. ამის დასახასიათებლად მოვიყვან იმ ფაქტს, რომ ადმინისტრაციის ზეგავლენით ერთ-ერთმა მუშკორმა გაზეთში გაწერა მილიციის ადგილკომის სრულიად უდანაშაულო და უმწიკვლო თავმჯდომარე.

ამხ. ხაჯერბა

(აფხაზეთი)

პარტიული ხელმძღვანელობა მუშკორთა მოძრაობაზე სუსტია. საჭიროა ამ ხელმძღვანელობის გაძლიერება. რედაქციებმა რამდენიმე ადგილი უნდა მოიპოვონ უმაღლეს სასწავლებლებში აქტიურ მუშგლეხკორთა მოსაწყობად. მამხილებელი ხასიათის შენიშვნების გამოკვლევაში მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მუშკორებიც უნდა დაიხმაროს. რადგან მუშკორთა რიგებში მოიპოვებიან შემთხვევითი, ბოროტი განზრახვით მოტმასნილი ელემენტები, რომლებიც კერძო ინტერესებისათვის იყენებენ პრესას. საჭიროა მუშკორთა რიგების წმენდის ჩატარება.

ამხ. თავბერიძე

(ქუთაისი)

ადგილებიდან მრავალი იუმორისტული წერილები იგზავნება ჟურნ. „ტარტაროზში", მაგრამ ჟურნალი ამ მასალებს არ იყენებს და იქ ფაქტიურად 4—5 კაცი თანამშრომლობს, რომლებიც განყენებულ საკითხებზე სწერენ და არა ადგილობრივ ფაქტიურ მასალების მიხედვით. რედაქციები მეტი სიფრთხილით უნდა ბეჭდავდნენ ისეთი მუშკორების შენიშვნებს, რომლებიც გაზეთში თანამშრომლობას ახლად იწყებენ და რომელიც რედაქციას არ იცნობს, რადგან ახალ კორესპონდენტთა რიცხვში შეიძლება მოყვეს ისეთი „მუშკორებიც", რომლებიც დაინტერესებული არიან არა საქმიანი კრიტიკით, არამედ კინკლაობით. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება იმ ფაქტის მოყვანა, რომ ერთ-ერთმა „მუშკორმა" გაზეთ „მუშაში" გასწერა ქუთაისის პროფბიუროს თავმჯდომარე, ენერგიული მუშაკი, დაწინაურებული მუშა. (გამოკვლევით დადასტურდა კორესპონდენციის სიყალბე). თვითკრიტიკას ზოგიერთი წითელი სპეცები ეწინააღმდეგებიან და კრიტიკისათვის მალულ დევნას აწარმოებენ მუშკორების წინააღმდეგ. ასეთ „წითელ სპეცებს" პროკურატურის მიერ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ამხ. გოლდბაუმი

(მუშ.-გლეხ. ინსპექცია)

თვითკრიტიკის საქმეში ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან ჩაბმული მუშათა და გლეხთა ფართე მასები. თვითკრიტიკის განვითარებაში უდიდესი ადგილი ჯერ მხოლოდ მუშგლეხკორთა არმიას უჭირავს. არ არის საკმაოდ განვითარებული აგრეთვე თვითკრიტიკა „პიროვნებათა მიუხედავად". ყველა ამ საკითხების მოგვარებას ხელს უშლის როგორც ცალკე პიროვნებათა გულგრილობა ამ საქმისადმი (და ზოგჯერ წინააღმდეგობაც), არამედ ზოგიერთი ორგანიზაციების უყურადღებობაც. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულმა თვითკრიტიკის მსვლელობის გამოკვლევამ გორის მაზრაში გვიჩვენა, რომ ამ მაზრაში თვითკრიტიკას არამც თუ ხელს არ უწყობდნენ ადგილობრივი ორგანიზაციები (მათ რიცხვში პარტიულიც), არამედ ეწინააღმდეგებოდნენ კიდევაც. ეს მდგომარეობა მუშგლეხკორებისაგან მოითხოვს მეტი ენერგიით ბრძოლას ყოველგვარი მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ. მართალია, პრესას დღეს ყველაზე უფრო მეტი მიღწევები მოეპოვება თვითკრიტიკის გაშლის მხრივ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იგიც ჯერ-ჯერობით წვრილმან დეფექტებს აკრიტიკებს და ზოგიერთი მსხვილი დეფექტები კი მიჩრდილულია, რაც აიხსნება იმით, რომ მუშგლეხკორები ამ საკითხებზე, არა საკმაო მასალას გვაწვდიან პრესაში.

შრომის დისციპლინის, წარმოების რაციონალიზაციის, თვითღირებულების შემცირების, ლოთობის, სამუშაო საათების გაცდენის და სხვ. საკითხების გაშუქებას უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. მუშათა და გლეხთა ინსპექციას გადაწყვეტილი აქვს ახლო მომავალში ჩაატაროს სახელმწიფოებრივი აპარატის წმენდა უცხო, ბიუროკრატიულ და ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან. რასაკვირველია, მარტო თავისი საკუთარი ძალებით მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამ საქმის შესრულებას ვერ შესძლებს, თუ მას არ ექნა მასიური დახმარება. ეს დახმარება კი მუშგლეხინს პირველ რიგში მუშგლეხკორებმა უნდა გაუწიონ. მუშგლეხკორთა შენიშვნების რეალიზაციისათვის და შესრულების შემოწმებისათვის მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ჩამოყალიბებული იქნება შემმოწმებელი აპარატი. ამ აპარატის მუშაობაში გამოყენებული იქნებიან აგრეთვე მუშგლეხკორებიც, რომლებმაც გამოკვლევებში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ.

ამხ. გოლდბაუმის სიტყვის შემდეგ წაკითხულ იქნა ქუთაისის და ერევნის მუშკორების მისასალმებელი დეპეშები და აგრეთვე პროკურორ ამხ. ძაძამიძის სიტყვა რუსულ ენაზე.

ამით დაიხურა 13 მარტის საღამოს სხდომა.

საქართველოს მუშგლეხკორთა თათბირის დელეგატები

ფოტო ქვანიასი.

14 მარტის დილის სხდომა

მიმდინარე მომენტი და პრესის ამოცანები

ამხ. მ. კახიანის მოხსენება

ახალი ომის საფრთხე

ამხ. კახიანმა, რომელსაც მთელი დარბაზი ხანგრძლივი მქუხარე ტაშით შეეგება, თავისი მოხსენება დაიწყო საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან უკანასკნელ დრომდე—ამბობს მომხსენებელი—გრძელდება საბჭოთა ქვეყნის გარემოცვა კაპიტალისტური სახელმწიფოებით, რომლებიც როგორც წინად, ისე ეხლაც ლამობენ მუშათა დიქტატურის დამხობას. რამდენად უფრო მტკიცდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობა, იმდენად უფრო აშკარა ხდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მზადება ჩვენს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად. ახალი ომის საშიშროება უდავოა, რაც გარკვევით აღინიშნა კომინტერნის უკანასკნელმა კონგრესმა, რომელმაც მოუწოდა კომინტერნის სექციებს გააძლიერონ მუშაობა მშრომელთა მასებში ამ საფრთხის წინააღმდეგ. ერთად ერთი მთავრობა, რომელიც გულწრფელად მოწადინებულია, რომ კაცობრიობას არ დაატყდეს ახალი იმპერიალისტური ომი, არის საბჭოთა მთავრობა. ჩვენმა დიპლომატიამ პირველად წამოაყენა წინადადება ჯერ საყოველთაო, შემდეგ ნაწილობრივი განიარაღების შესახებ. მანვე პირველად მოაწერა ხელი კელოგის პაქტს მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ სჯერა მისი რეალური ძალა. და თუ მან ასეთი ნაბიჯი გადასდგა, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დაუმტკიცოს კაცობრიობას თავისი მშვიდობისმოყვარეობა. არა მარტო ჩვენთვის არამედ თვით იმპერიალისტებისათვის უდავოა, რომ ასეთ პაქტებს არავითარი სავალდებულო ძალა არა აქვთ არც ერთი სახელმწიფოსათვის, კელოგის პაქტი წარმოადგენს სამხედრო ზრახვების დასაფარავ ნიღაბს ამერიკისათვის, რომელიც ერთი მხრით სახელმწიფოებს ამ პაქტზე აწერიებს ხელს, ხოლო მეორე მხრივ აგებს 15 ახალ კრეისერს. ამერიკას არ ჩამორჩებიან სხვა სახელმწიფოები, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან სამხედრო სამზადისში. ავიღოთ თუნდ ჩვენი მეზობლები—პოლონეთი და რუმინეთი, რომელნიც დღევანდელი ცნობების მიხედვით საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებენ იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოაშორონ საბჭოთა კავშირს უკრაინა და ამავე დროს ამუშავებენ სამხედრო გეგმებს ჩვენს წინააღმდეგ. ბურჟუაზიული ქვეყნების ყოველი ნაბიჯი ურთიერთ დამოკიდებულების სფეროში მოწმობს მათ შეუჩერებელ მზადებას ახალი ომისათვის. დანამდვილებით არ შეიძლება ითქვას, თუ როდის იფეთქებს ეს ომი, მაგრამ არასოდეს ისე აშკარა არ ყოფილა მისი მოახლოება, როგორც ეხლა სწორედ ამიტომ კომუნისტურმა პარტიებმა და მათთან ახლო მდგომმა რევოლუციონურმა ორგანიზაციებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ, რომ არ განმეორდეს 1914 წელი.

ეკონომიური ურთიერთობა უცხოეთთან

ჩვენი მტრები არა მარტო იარაღით სცდილობენ ჩვენს განადგურებას, არამედ ეკონომიური შევიწროებით. ამ მხრივ ყოველთვის ყველაზე მეტ აქტივობას იჩენდნენ ინგლისის ე. წ. შუბლმაგრები, რომელთაც გასწყვიტეს ჩვენთან კავშირი. ინგლისელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ჩვენს საქონელს, ჩვენს ნავთს,—ცუდი ბოლშევიკური სუნი უდისო. მაგრამ ბოლომდე ვერ დაიცვეს ეს ბოიკოტი. ინგლისის უდიდესი მრეწველი სერ დეტერდინგი იძულებული გახდა მიეღო ჩვენი ნავთი და საამისო ხელშეკრულებაც დასდო ჩვენ მთავრობასთან. დეტერდინგი აცხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დაგვითმო, ჩვენ გავიმარჯვეთო. მაგრამ რამდენად უსაფუძვლოა ეს მტკიცება, მოწმობს ის ფაქტი, რომ მათ უკან წაიღეს ხელშეკრ. ის პუნქტი, რომლის ძალით აქ ნავთის გაყიდვიდან აღებული ფულის ნაწილი ჩვენ უნდა მიგვეცა ნავთის ყოფილი მრეწველებისათვის. ჩვენ ვხედავთ, რომ ბოიკოტის ფრონტს არღვევენ ინგლისის სხვა მრეწველნიც, რომელთაც განზრახვა აქვთ ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში, შეისწავლონ ადგილობრივი მდგომარეობა და აწარმოონ ჩვენს მთავრობასთან საქმიანი მოლაპარაკება სავაჭრო ურთიერთობის შესახებ.

დელეგატების ჯგუფი: როთველაძე (სენაკი), ქისტაური (ერწო), ბჟალავა (მარტვილი), სომხიშვილი (კახეთი), ჩხარტიშვილი (ლანჩხუთი), ფრანგიშვილი (მარანი).

საბჭოთა კავშირთან დაახლოების ტენდენციები ძლიერდება ამერიკაშიაც. დღევანდელი გაზეთი გვაუწყებს, რომ სენატორმა ბორამ განაცხადა შემდეგი: საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა უნაყოფო იქნება, თუ იგი ანგარიშს არ გაუწევს მსოფლიოს ერთ მეექვსედ წილზე მოსახლე—160.000.000 კაცს. იზრდება ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი ამერიკის ფინანსიურ წრეებში, რომელთაც განზრახვა აქვთ გამოგზავნონ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული კომისია საბჭოთა კავშირის სავაჭრო და სამრეწველო ცხოვრების გასაცნობად. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ იმდენად განვმტკიცდით პოლიტიკურად, იმდენად ძლიერდებით ეკონომიურად, რომ კაპიტალისტური ქვეყნები იძულებული არიან დაიჭირონ ჩვენთან ეკონომიური კავშირი. რასაკვირველია, ამან არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ომის საფრთხე თავიდან აშორებულია; ჩვენი მტრები არ გაუშვებენ ხელსაყრელ მომენტს, რომ შემოგვიტიონ.

ქართველი მენშევიკები

კაპიტალისტური ქვეყნებით არ განისაზღვრება ჩვენი მტრების რიცხვი. ჩვენ გვყავს შინაური მტრებიც: ე. წ. ქართული ემიგრაცია რომელსაც მეთაურობენ მენშევიკები. ისინი ხანდახან გადაახტუნებენ თავის თავს. ამას წინად მათ გამოგზავნეს ემისარები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ სამხედრო ცენტრების შექმნა და სხვა ჯაშუშური მუშაობის წარმოება. როცა ჩვენ ისინი დავიჭირეთ და გამოვაქვეყნეთ საბუთები მათი ჯაშუშობის შესახებ, ადგილობრივი, არალეგალური მენშევიკები, თითქოს თავის ბელადების ჯაშუშობით შერცხვენილნი, გაემიჯნენ მათ და თავის პროკლამაციაში გვაუწყეს, რომ ისინი თითქო საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აწარმოებენ არა სამხედრო, არამედ იდეურ-ორგანიზაციულ ბრძოლას. ალბად მათ ასეთ მუშაობად მიაჩნიათ ჯაშუშობა. ეს ჯაშუშური მუშაობა მოწმობს რომ ჩვენში კიდევ ცოცხლობს მებრძოლი მენშევიზმი. არიან კიდევ ე. წ. „მემარცხენე" მენშევიკები. (მაგ. ლორთქიფანიძე), რომელნიც თითქოს ურიგდებიან საბჭოთა ხელისუფლებას. მხოლოდ „იწუნებენ" ზოგიერთ ჩვენ ნაბიჯებს. მენშევიკების ეს ჯგუფი უფრო საშიში და საზიანოა, რადგან ისინი მოქმედებენ უფრო შეფარული ტაქტიკით. ორივეს წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა შემდეგშიდაც უნდა განვაგრძოთ, ვიდრე საბოლოოდ არ გავანადგურებთ მათ.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია

შემდეგ ამხ. კახიანი ეხება ჩვენს საშინაო მდგომარეობას, უმთავრესი, რაც ჩვენს მუშაობას ამჟამად ახასიათებს, ეს არის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. სანამ ჩვენ დრო გვაქვს, სანამ ჩვენ თავს არ დაგვესხმიან, უნდა მოვასწროთ ყოველი საფუძვლის შექმნა ჩვენი დამოუკიდებელი არსებობისათვის, რაც მოსახერხებელია მხოლოდ და მხოლოდ მძიმე ინდუსტრიის განვითარებით, რომელიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს, როგორც ჩვენი შინაური მრეწველობის, ისე სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის. ჩვენი სოფლის მეურნეობა ვერ წაიწევს წინ, თუ მას არ მივაწოდეთ იარაღ-მანქანები, იარაღ-მანქანების დასამზადებლად საჭიროა დიდი ფაბრიკა-ქარხნები. მძიმე ინდუსტრია ჩვენ უნდა განვავითაროთ, რაც შეიძლება ჩქარი ტემპით. რადგან ეს ერთად-ერთი გზაა არსებულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. მუშათა კლასის და აგრეთვე პარტიის რიგებში არიან პირები, რომელთაც ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპი შეცდომად მიაჩნიათ და მოითხოვენ პირველ რიგში ჩვენ განვავითაროთ ისეთი დარგები, რომელნიც დააკმაყოფილებენ მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილებებს. ეს შეცდარი ხაზია, რომელიც კი არ გვიხსნის, არამედ დაგვღუპავს. ჩვენ არა თუ უნდა შევანელოთ ინდუსტრიალიზაციის აჩქარებული ტემპი, არამედ უნდა გავაძლიეროთ. ჩვენ დაგვჭირდება ბევრი მსხვერპლის გაღება. ძალების დიდი დაძაბვა. მაგრამ ჩვენ ის მუშაობა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ისეთივე ხალისით უნდა ვაწარმოოთ, როგორც ვიბრძოდით მტრებთან სამოქალაქო ომის დროს. ამ დიდ საქმეში უნდა ჩაებან პროფკავშირები, ყველა რევოლუციური ორგანიზაციები და მათ შორის მუშგლეხკორები.

შრომის დისციპლინა

რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და შევამციროთ ჩვენი საქონლის თვითღირებულება, რომელიც ჩვენში, საქართველოში ძალიან ნელი ტემპით კლებულობს.

შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად აუცილებლად უნდა განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, რაც ამჟამად წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას. ის, ვინც არ იცავს შრომის დისციპლინას, ვინც ზარმაცობს და დაუდევრობას იჩენს, ჩვენი სახელმწიფოს ისეთივე მტერია, როგორც ჩვენს წინააღმდეგ იარაღით მებრძოლი. შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, თვითღირებულების შესამცირებლად და ნაყოფიერების გასადიდებლად უნდა შევაკავშიროთ ჩვენი წარმოების მუშაკნი: წარმოების ხელმძღვანელი ადმინისტრაცია, პროფკავშირი და ფაბქარხკომი. ყველამ უნდა იზრუნოს ამ საკითხების მოსაგვარებლად, მაგრამ ისე, რომ არ ჩაერიონ ისეთ საქმეებში, რომელნიც მათ პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენენ, და ამით არევ-დარევა არ გამოიწვიონ წარმოებაში. ამ საკითხების მოწესრიგებას უნდა მიაქციონ მთელი თავისი ყურადღება მუშკორებმა, რომლებმაც არ უნდა გაუშვან არც ერთი შემთხვევა, თავისი საწარმოს ცხოვრებიდან და ფოტოგრაფიული სისწორით ასახონ ყველაფერი ის, რაც კეთდება, ან არ კეთდება შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, ნაყოფიერების გასადიდებლად და სხვ. ამით ისინი დიდ სამსახურს გაუწევენ ჩვენს მეურნეობას.

სასოფლო მეურნეობა კოლექტივიზაციის გზით

რაც შეეხება ჩვენს სასოფლო მეურნეობას, იგი წინ მიიწევს. მაგრამ არა ისეთი ჩქარი ტემპით, როგორც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დასაჩქარებლად აუცილებელია მისი კოლექტივიზაცია, რადგან დაქუცმაცებული მეურნეობა შეუძლებელს ხდის მანქანების გამოყენებას; უმანქანოთ კი ჩქარი წინსვლა შეუძლებელია. მეორე მხრივ, კოლექტივიზაცია სპობს იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს სოციალისტურ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. კოლექტივიზაციის გატარებით ჩვენ საბოლოოდ უნდა დავაყენოთ სოფლის მეურნეობა სოციალისტურ განვითარების გზაზე. კოლექტივიზაცია არის ქალაქის მუშების გლეხობასთან დაკავშირების ახალი ფორმა წარმოების ნიადაგზე. კოლექტიური ფორმების შეტანით სოფელში, ჩვენ გლეხის წარმოებას მჭიდროდ ვუკავშირებთ ქალაქის მრეწველობას.

მთელი ჩვენი ღონისძიება უნდა მოვახმაროთ იმას, რომ გლეხმა აამაღლოს თავისი მეურნეობა, გაადიდოს თავისი მოსავლიანობა. საკავშირო ცაკის უკანასკნელმა სესიამ გამოიტანა დადგენილება მოსავლიანობის გადიდების შესახებ. სამწუხაროდ, პრესას ის დადგენილება სათანადოდ არ გაუშუქებია ხალხში. ამ დადგენილებით მოსავლიანობა ხუთი წლის განმავლობაში უნდა გადიდდეს 30—35 პროცენტით, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. სპეციალისტები ეჭვით შეხვდნენ ამ პროცენტს, მაგრამ ამ გამოკვლევებმა დაამტკიცა, მოსავლიანობის გადიდება 30—35 პროცენტით სავსებით განსახორციელებელია, თუ ჩვენ გლეხს მივაწვდით იარაღ-მანქანებს გასანოყიერებელ ნივთიერებას და დავასწავლით მიწის დამუშავებას. ჩვენი მუშგლეხკორები უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ მოსავლიანობის გადიდების, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხებს. მათ ხშირად უნდა დასწერონ, თუ რომელი ორგანიზაცია რას აკეთებს ამ დარგში, რომელი გლეხური მეურნეობა იღებულობს ზომებს თავის მოსავლიანობის გასადიდებლად. ის გააცხოველებს ინტერესს მოსავლიანობის საკითხისადმი და უფრო მეტად აამოქმედებს ორგანიზაციებს, რომელთაც ევალებათ სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდებისათვის ღონისძიებების გატარება.

შემდეგ ამხ. კახიანი ეხება საბჭოთა აპარატის გაწმენდის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და სხვა საკითხებს და მუშკორთა როლს ამ საკითხების მოწესრიგებაში.

—:—

ამხ. კახიანის მოხსენების უკანასკნელი სიტყვები დაფარა დელეგატების მქუხარე ტაშმა.

ამხ. კახიანის მოხსენების სტენოგრაფიული ანგარიში გამოქვეყნებული იქნება ჩვენს გაზეთში.

—:—

14 მარტის დილის სხდომაზე ამხ. მ. კახიანის სიტყვამდე და მის შემდეგაც გრძელდებოდა კამათი ამხ. ჟოჟიკაშვილის მოხსენების გარშემო.

ამხ. ჩიტაური

(თიანეთი)

გლეხკორები ზოგ ადგილს იმყოფებიან ადმინისტრატიულ პირების, სამეურნეო მუშაკების და ხანდახან ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენის ქვეშ. მაგ., იყო შემთხვევა, როცა მილიციის უფროსმა სამსახურიდან მოხსნის მუქარით თავის საქმისმწარმოებელ გლეხკორს გაზეთში დააწერია ქება თავის შესახებ. ერგაზეთში მოათავსა ცრუ კორესპონდენცია, თმა გლეხკორმა კულაკების გავლენით რომლის სინამდვილის გამოსარკვევად რამოდენიმე კომისია გამოიგზავნა და ბევრი ფულიც დაიხარჯა. ბოლოს გამოირკვა, რომ გლეხკორს კულაკების დავალებით რედაქციისათვის ყალბი ცნობები მიუწოდებია. ეს გარემოება აყენებს ჩვენი რიგების გაწმენდის საკითხს.

ამხ. მურავიოვი

(გარე-კახეთი)

ზოგიერთ კუთხეში კედლის გაზეთებზე და გლეხკორებზე სრულიად არ ტარდებოდა პარტხელმძღვანელობა. ამიტომ ადგილობრივი რედკოლეგიები ვერ უძღვებოდნენ სათანადოთ კედლის გაზეთებს. ჩვენს რაიონში თითქმის არც ერთი კედლის გაზეთი თავის სიმაღლეზე არ სდგას. საჭიროა ერთი მხრივ გაძლიერდეს პარტხელმძღვანელობა და მეორე მხრივ დაწესდეს მჭიდრო კავშირი რედკოლეგიების შორის. შეიძლება უმჯობესიც იყოს, რომ ერთ რაიონში რამოდენიმე კედლის გაზეთის ნაცვლად გამოდიოდეს ერთი კედლის გაზეთი.

ამხ. გელელაძე

(სამხკური)

არ კმარა მარტო მუშგლეხ-სამხკორთა წრეების მოწყობა. საჭიროა მათში აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება. პირველ ყოვლისა მუშგლეხკორები უნდა გაერკვენ საკითხებში და შემდეგ სწერონ მათ შესახებ გაზეთებში. არც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას და არც სათანადო პირების შერჩევას რედკოლეგიებისათვის ადგილებზე სათანადო ყურადღება არ ექცევა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოება, რომ ჩვენი ბეჭდვითი პრესა მცირე ყურადღებას აქცევს წითელ არმიელთა ყოფაცხოვრების გაშუქებას თავის ფურცლებზე.

ამხ. გოჩილეიშვილი

(შორაპნის მაზრა)

ზოგი გლეხკორი არ შეეფერება თავის დანიშნულებას. წერილებს გაზეთში ათავსებენ არა იმიტომ, რომ სამსახური გაუწიონ საერთო საქმეს, არამედ ასიამოვნონ ვისმე. მაგალითად, ერთი გლეხკორი სწერდა თავის ბიძას—მომაწოდე ცნობები, რომ შრომის გმირად წარგადგინო გაზეთის საშუალებითო. ეს გაზეთის ბოროტად გამოყენებაა, რასაც უნდა ვებრძოლოთ.

ამხ. გალკინი

(გაზ. „რაბოჩაია პრავდა")

კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ყველგან კედლის გაზეთებზე და, საერთოდ, მუშგლეხკორთა მოძრაობაზე მოისუსტებს პარტიული ხელმძღვანელობა. თუ ასე გაგრძელდა, ეს მოძრაობა ვერ მიიღებს მასიურ ხასიათს და ვიწრო ფარგლებში მოიმწყვდევა. ამის ნიშნები უკვე სჩანს. მაგ., თუ დავაკვირდებით პროვინციიდან ჩამოტანილ აქ გამოკრულ კედლის გაზეთებს, დავინახავთ, რომ მეტ წილად ეს გაზეთები წარმოადგენენ არა მუშა-მოსამსახურეთა, არამედ კომუჯრედის, კომკავშირის, ქარხკომის, ან ადგილკომის ორგანოებს. თუ კედლის გაზეთები გადაიქცევიან მხოლოდ ამ ორგანიზაციების ფურცლებად, ჩვენ ბოლოს და ბოლოს მივიღებთ მასების ჩამოშორებას მუშგლეხკორთა მოძრაობიდან, რომელიც დაჰკარგავს მასიურ ხასიათს და გადაიქცევა ცეხურ მოვლენად. ის ფაქტი იმასაც ლაპარაკობს, რომ ჩვენი გაზეთების რედაქციები ვერ უწევენ რედკოლეგიებს ხელმძღვანელობას. ის რომ ასეა, ამას მტკიცება არ სჭირია. რედაქციების ინსტრუქტორებს აქ გასტროლიორები ეწოდების. მაგრამ ისინი მათ როლსაც ვერ ასრულებენ. რედაქციები ინსტრუქტორებს აძლევენ ერთ მივლინების დროს გამოიკვლიონ 15—20 კედლის გაზეთი, ან ინსტრუქციები მისცენ მათ, ცხადია, ორ-სამ დღეში, რომელიც მათ მივლინებისთვის ეძლევათ. ისინი ვერ მოასწრებენ კედლის გაზეთების ასეთი დიდი რიცხვისთვის სათანადო დარიგების მიცემას. მართლაც, ინსტრუქტორების მუშაობა ამოიწურება იმით, რომ აღრიცხავენ გაზეთში მოთავსებულ წერილებს, იტყვიან ერთ ორ სიტყვას რედკოლეგიის წევრებს და მოდიან უკან. ინსტრუქტორები იძულებული არიან ასე მოიქცნენ, რადგან რედაქციები აძლევენ ადრე დაბრუნდნენ. ის უნდა გამოსწორდეს და ინსტრუქტორები ხელმძღვანელობისათვის იგზავნებოდნენ უფრო ხანგრძლივი დროით. შემდეგ ორატორი ეხება მუშკორთა დევნის საკითხს და აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ზომებს მუშკორთა დევნის წინააღმდეგ, შევსებულ უნდა იქნეს ახალი მუხლებით, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ სასჯელი მუშკორთა დევნის სხვადასხვა ფორმებისათვის.

ამხ. თათაშვილი

(ახალციხის მაზრა)

ჩვენს მაზრაში არა იშვიათად ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას ზოგიერთ პასუხისმგებელი ამხანაგების მხრით. ორატორი ასახელებს ვინმე სადიკოვს, რომელიც 21 წლიდან კონტრაბანდისტობდა და რომელსაც თავისი უხეში მოპყრობის გამო ამხედრებული ჰყავდა მთელი გლეხობა. ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას აგრეთვე ფოსტაში, სადაც ხსნიან მ. გ. ინსპექციის და რედაქციების სახელზე გამოგზავნილ წერილებს. ერთ სოფელში არის კომუნისტი, რომელმაც გლეხების დაბეგვრით და შრომით მოაწყო თავისი მეურნეობა და კარგი მიდამო. ყოველივე ამის შესახებ იწერებოდა წერილები, მაგრამ ყურადღება ნაკლებ ექცეოდა. ვერ ითმენენ. გლეხკორებს აიძულებენ, რომ ხმა არ ამოიღონ და არც არაფერი დასწერონ.

ამხ. ცირეკიძე

(ტყიბული)

ხანდახან მუშკორთა წერილების გავლენით დამნაშავეს და ბოროტმოქმედს ხსნიან სამუშაოდან. მაგრამ შემდეგ უკვე ადგილს აღადგენენ. ის მუშგლეხკორის გამასხარავებაა და საქმის აბუჩად აგდება. ორატორი მოითხოვს, რომ ყურადღება მიექცეს მუშგლეხკორთა სოციალურ შემადგენლობას. რიგებშიც ერევიან კულაკებისა და ვაჭრების შვილები.

ამხ. პინჩუკი

(წითელი არმია)

კედლის გაზეთებს და მათ რედკოლეგიებს სუსტი კავშირი აქვთ წითელ არმიასთან. ისინი არ აშუქებენ წითელ არმიელთა ცხოვრებას და არც თავდაცვის საკითხებს. წითელი არმია მათ ახსენდებათ მხოლოდ საზეიმო დღეებში. თვით აქ კონფერენციაზედაც ნაკლებ ლაპარაკობენ წითელ არმიაზე.

ამხ. ბაგო კობახიძე

(რაჭა-ლეჩხუმი)

ქალთა მონაწილეობა მუშგლეხკორთა მოძრაობაში უმნიშვნელოა. ამას ადასტურებს თვით ეს კონფერენციაც, სადაც ორი თუ სამა ქალია წარმოდგენილი. მართალია, მათი რიცხვი მცირეა, მაგრამ არის ადგილები, მაგ. სოფ. ნიკორწმინდა, სადაც გლეხკორი ქალები 15-მდე აღწევს. ხოლო აქ წარმომადგენელი მათ არ ჰყავთ. ის იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კიდევ ვერ შევიგნეთ ქალთა საზოგადოებრივი პოლიტიკური აქტივობის მნიშვნელობა. ერთხელ და საბოლოოდ ბოლო უნდა მოეღოს ასეთ გულგრილობას ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების ჩაბმის საკითხისადმი. არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც უნდა გავატაროთ ქალთა თანასწორობის იდეა. განსაკუთრებით მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ქალთა შორის მუშაობას ჩამორჩენილ მაზრებში. ერთი ასეთი მაზრათაგანია რაჭა-ლეჩხუმი. სადაც ქალები სჭარბობენ კაცებს. მაგრამ მუშაობა მათ შორის არ სწარმოებს.

ამავე სხდომაზე თურქულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა მურათხანოვმა, რის შემდეგ სხდომა შეწყდა.

დელეგატების ჯგუფი: ტურაშვილი (გომი), ჩოლიშვილი (გორი), ცერცვაძე (ზესტაფონი), გოგიჩაიშვილი (ფოთი), ფერაძე (თბ.), კიკნაძე (გორი).

14 მარტის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდება კამათი ამხ. კახიანის და ჟოჟიკაშვილის მოხსენებათა გარშემო (კამათში გამოსულ ამხანაგების სიტყვების ანგარიშს მოვათავსებთ შემდეგ ნომერში).

კამათის მსვლელობის დროს მოულოდნელად დარბაზში შემოვიდა ამხ. ფილიპე მახარაძე, რომლის გამოჩენამაც დელეგატები აღფრთოვანებაში მოიყვანა. ამხ. ფილიპეს მუშგლეხკორები ფეხზე ადგომით მქუხარე ტაშით და „ვაშას" ძახილით შეეგებნენ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ამხანაგებო. ნება მომეცით მხურვალე სალამი მოგიძღვნათ საქართველოს მთავრობის სახელით და ჩემი თანაგრძნობა გამოგიცხადოთ იმ საქმეში, რომელსაც თქვენ ემსახურებით. მე საშუალება არ მქონდა დავსწრებოდი მუშგლეხკორთა თათბირს და, რაც მთავარია, გამართულ კამათს, რაზედაც ძალიან ვწუხვარ. თქვენ კარგად იცით, თუ რა რთული და ძნელია ის აღმშენებლობა, რომელსაც მუშათა კლასი ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იწყებს და რომელსაც სოციალისტური აღმშენებლობა ეწოდება. მშრომელთა ფართო მასების დახმარების გარეშე ამ აღმშენებლობის წარმოებისათვის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები უძლური არიან. ჩვენს აღმშენებლობას მრავალი შეცდომა ახლავს თან. ამ შეცდომების გამოსწორება კი შესაძლებელია მხოლოდ იმ მასების დახმარებით, რომლებიც მტკიცედ დარწმუნებული არიან, რომ კომუნისტური პარტიის საქმიანობა გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ მათ ინტერესებს, ანუ მშრომელთა ინტერესებს.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქარხანასთან თითქმის ჩვენ მოგვეპოვება ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა პარტიული, პროფკავშირის, კომკავშირის და სხვ., რომლებიც დაინტერესებული არიან წარმოების განვითარებით, ჩვენ მაინც თავიდან ვერ ვიცილებთ დეფექტებს. ეს დეფექტები გამოწვეულია უმრავლეს შემთხვევაში არა ბოროტი განზრახვებით, არამედ ხელმძღვანელთა მოუმზადებლობით, მათი გამოუცდელობით.

სოფლად მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია. პარტიისა და ხელისუფლების ხაზის გატარება იქ მინდობილი აქვთ თითო-ოროლა კაცს. ქალაქთან შედარებით სოფლის კულტურული ჩამორჩენილობის გამოც საჭირო წინააღმდეგობა ვერ იწევა პარტიის ხაზის გადამახინჯებას და გამრუდებას. ამიტომ სოფლად ჩვენ გაცილებით უფრო მეტი შეცდომები მოგვეპოვება, ვინემ ქალაქად.

ამ დეფექტების აღმოფხვრის საქმეში მუშა და გლეხ კორესპონდენტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ყველა ის, ვინც ჩვენი პარტიის და ხელისუფლების ხაზის დამახინჯებას შეეცდება, თანამდებობრივი მდგომარეობით სარგებლობს თავის პირად ინტერესებისათვის, ფლანგავს სახალხო ქონებას და სხვ., ყველა ისინი მუშათა კლასის და, მაშასადამე, მუშგლეხკორთა მტრებია. მათ ჩვენ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. პირადათ მე ხშირად ვსარგებლობდი მუშგლეხკორთა შენიშვნებით და ჩემდა სასიხარულოდ ამ შენიშვნების დიდი უმრავლესობა სიმართლეზე იყო აშენებული. ეს არც საკვირველია. არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში თქვენ ვერ შეხვდებით მასების ისეთ ინიციატივას, როგორც ჩვენში. ბურჟუაზიულ ქვეყნებშიაც მრავლად მოიპოვებიან გაზეთის თანამშრომლები და მწერლები. მაგრამ ისინი არსებითად განსხვავდებიან ჩვენი მუშგლეხკორებისაგან. ისინი ხელს უწყობენ ბურჟუაზიულ წყობილებას. ჩვენს ქვეყანაში კი მუშგლეხკორთა მოძრაობა გამოწვეულია თვით საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ფაქტით. მუშგლეხკორთა მოძრაობა შესისხლხორცებულია საბჭოთა ხელისუფლებასთან. ამაშიაც სჩანს საბჭოთა ხელისუფლების თვისება. თვითოეული მუშგლეხკორი ხელისუფლების თვალსა და ყურს წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ჩვენ ვიცით, რომ ძნელია მათი საქმე. მაგრამ მუშგლეხკორები არ უშინდებიან მათზე დაკისრებულ სერიოზული ამოცანების გადაჭრას. იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება მუშებს და გლეხებს უპყრიათ, სადაც კანონმდებლობა მუშებისა და გლეხების კლასობრივ პრინციპზეა აშენებული, იქაც კი მუშგლეხკორი დევნას განიცდის. მუშგლეხკორთა წინააღმდეგ გამოყენებულია როგორც ფარული, ისე აშკარა დევნის ფორმები. ზოგჯერ საქმე მუშგლეხკორის დასახიჩრებითა და მკვლელობითაც კი ბოლოვდება. მიუხედავად ამისა მუშგლეხკორთა მოძრაობა არამც თუ არ კლებულობს, არამედ უფრო ფართოვდება. მუშკორებს აღფრთოვანებს მშრომელებისათვის სარგებლობის მოტანის აზრი. მაგრამ მუშგლეხკორთა ოჯახშიაც მოიპოვება თითო-ოროლა მახინჯი, რომლებიც ჩრდილს აყენებენ მუშგლეხკორთა მოღვაწეობას. ეს ნაძირალები ხშირად პირადი ინტერესების ნიადაგზე მუშკორის მარკით ცილისმწამებელ შენიშვნებს ათავსებენ ამა, თუ იმ პატიოსანი მუშაკის შესახებ. ასეთ შენიშვნებს უაღრესად უარყოფითი შედეგები აქვს. ამ მომუშავეზე დაწერილს შენიშვნას წაიკითხავენ როგორც მისი ნაცნობები, ისე, უცნობები. ის, ვინც არ იცნობს ყალბ შენიშვნაში მოქცეულ პიროვნებას დარწმუნებულია, შენიშვნის სისწორეში, ხოლო ვინც მას იცნობს, ხედავს ასეთი შენიშვნის სისაძაგლეს. განა ეს კარგია ჩვენი გაზეთისათვის? ასეთ პირებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. ეს ბრძოლა კი ყველაზე უფრო უკეთ შეგიძლიათ ისევ თქვენ: საერთოდ კი მუშგლეხკორთა მოძრაობას უდიდესი ნდობა აქვს მოპოვებული მუშათა კლასში, ხელისუფლებაში და პარტიის თვალში. ეს ნდობა მუშგლეხკორთა უდიდეს ჯილდოთ ჩაითვლება. მე გისურვებთ იაროთ იმ გზით, რომელიც მუშათა კლასს უჩვენა დიდმა ლენინმა.

ამხ. ფ. მახარაძის უკანასკნელი სიტყვები მქუხარე ტაშით იფარება. თათბირმა ამხ. მახარაძეს ხელში მისცა თათბირისადმი შეძღვნილი რკინის ცოცხი და შუბივით მოყვანილი გრძელი კალამი და ერთხმად აირჩია ის საპატიო მუშკორად.

„გპირდებით შევასრულოთ ის დავალება, რომელსაც კომუნისტურ პარტიასთან ერთად თქვენც მაძლევთ" — განაცხადა ამხ. მახარაძემ. დარბაზი კვლავ მქუხარე ტაშით შეხვდა მის სიტყვებს.

დელეგატები სენაკის მაზრიდან

სხედან: პ. კილასონია, ბ. უჩანეიშვილი და ი. გრიგოლია.

სდგანან: ა. ლაბარტყავა, ა. ბჟალავა და ე. გალდავა.

სამხრეთ-ოსეთის დელეგაცია: გ. ხარებავი, ჩ. ბეგიზოვი, გ. კაბისოვი, ლ. ტიბილოვი და გ. სადკოევი.

პარტიაში

მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ

გადახრებთან ბრძოლაში იდეურად შეიარაღებული პარტიული მასები მრისხანე პასუხს გასცემენ მემარჯვენე ლიკვიდატორებს. პარტია არ დაუშვებს მე-15 ყრილობის ლენინურ გადაწყვეტილებათა რევიზიას.

მნიშვნელოვანი ამოცანა

მემარჯვენე გადახრა, რომელიც უკანასკნელ ხანებამდე არ წარმოადგენდა განსაზღვრულ ორგანიზაციულ ფორმებში ჩამოყალიბებულ მიმდინარეობას, ამჟამად უკვე ცდილობს მიიღოს ფრაქციული დაჯგუფების სახე ჩვენი პარტიის შიგნით.

მემარჯვენეთა განვითარების ეს ტენდენცია სამართლიან აღშფოთებას იწვევს მთელს პარტიულ ორგანიზაციებში. ეხლახან ჩატარებულ პარტკონფერენციებისა და მრავალი პარტიული კრებების ერთსულოვანი რეზოლუციები ნათლად მოწმობენ, რომ პარტიული მასები ჩვეულებრივად მტკიცედ დგანან პარტიის ლენინური მთლიანობის საღარაჯოზე, ისინი უსაზღვრო ნდობას უცხადებენ ცენტრალურ კომიტეტს და არავის არ მისცემენ მე-15 ყრილობის მიერ დასახულ გენერალური ხაზის რევიზიის უფლებას.

ასეთია პარტიული მასების ურყევი ნება. მიუხედავად ამისა მემარჯვენე ოპორტუნისტები მაინც განაგრძობენ თავის მუშაობას. მათი ბრძოლის ძირითადი საშუალებაა ანტილენინური გადახრის დაფარვა ლენინიზმის ფლაგით. ისინი იყენებენ ლენინის ნაწერებიდან უსისტემოდ ამოგლეჯილ ციტატებს და ცდილობენ ამ გზით დაასაბუთონ თავისი მოთხოვნების სისწორე. რასაკვირველია, ლენინიზმის იარაღით აღჭურვილ კომუნისტზე მემარჯვენეთა ასეთი ფანდები ვერ გასჭრის, მაგრამ ჩამორჩენილ მუშურ მასებში და სუსტი პოლიტმომზადების მქონე კომუნისტებში, შეიძლება ამ ცდამ რაიმე შედეგი მოჰყვეს.

სწორედ ამიტომ პარტიული ორგანიზაციების მთავარი ყურადღება ამჟამად უნდა მიექცეს პარტიული მასების იდეოლოგიურ აღზრდას, მათ იდეურ შეიარაღებას მემარჯვენე და ყველა სხვა ანტი-ლენინური გადახრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პარტიულ მასებს უნდა განემარტოსთ, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტების პოზიცია პარტიის პოლიტიკის საკითხებში სოფლად, სოფლის კაპიტალისტური ელემენტების—კულაკების წინაშე ქედის მოხრის პოლიტიკაა. რომ მემარჯვენეებს არ ესმისთ ის ახალი ამოცანები, რომელიც წამოაყენა ჩვენი მეურნეობის განვითარების ეხლანდელმა ეტაპმა ქალაქისა და სოფლის კავშირის გამტკიცების დარგში და, რომ მემარჯვენეთა პროგრამა ფაქტიურად კულაკის წინაშე შიშისა და უკან დახევის პროგრამაა.

მემარჯვენე ელემენტები სპეკულაციას ეწევიან ჩვენს დროებითს სამეურნეო სიძნელეებზე, ისინი ცდილობენ ახსნან ეს დაბრკოლებანი პარტიის მიერ აღებული არა სწორი ხაზით, პარტიული ხელმძღვანელობის შეცდომებით. ეს გარემოება გვავალებს უფრო ფართოდ გავშალოთ მუშაობა სამეურნეო დაბრკოლებათა ნამდვილი მიზეზების განსამარტავად პარტიული მასებისათვის. თვითეულმა კომუნისტმა უნდა შეითვისოს, რომ თანამედროვე სიძნელეთა ძირითადი მიზეზია ჩვენი სასოფლო მეურნეობის თავისებური სტრუქტურა, მისი ჩამორჩენილობა, მოსავლიანობის დაბალი დონე, დაქუცმაცება და, ბოლოს, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სოფლად.

ის გარემოება, რომ მემარჯვენე ლიკვიდატორები იბრძვიან ლენინიზმის წინააღმდეგ და ამავე დროს ცდილობენ თავისი-თავი მოაჩვენონ მასებს, ნამდვილ ლენინელებათ, გვავალებს გავაღრმავოთ და გავაძლიეროთ მე-15 პარტყრილობის დადგენილებათა პროპაგანდა, მათი პოპულიარიზაცია, რადგან ეს გადაწყვეტილებანი მთლიანად ემყარებიან ლენინურ პრინციპებს.

იმისათვის, რომ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის ამოცანა მთელი სიგრძე-სიგანით იქნეს დასმული, საჭიროა ნიღაბი აეხადოს ანტი ლენინურ გადახრებისადმი შემარიგებლობათა დამოკიდებულებას. ეს მშიშარა წვრილ-ბურჟუაზიული ოპორტუნიზმი სასტიკად უნდა დაგმონ და გაჰკიცხონ პარტიულმა მასებმა.

ამრიგად პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა—იდეოლოგიურად შეაიარაღოს ფართო პარტიული მასები მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლისათვის. ამ ამოცანის შესრულებას მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა, ისე პარტუჯრედებმა. ამავე ამოცანის შესრულებას უნდა შეუფარდდეს პარტ-განათლების ქსელის მუშაობა და პროგრამები.

კ—დ.

პარტიის მონოლითურ მთლიანობისათვის

(ქუთაისი)

3 მარტიდან ჩატარდა ქუთაისის ორგანიზაციის უჯრედების ჯგუფური კრებები, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებები მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის შესახებ.

კრებებზე კამათში გამოსული ამხანაგები გამოსთქვამდნენ იმ აზრს, რომ მემარჯვენე საფრთხეს აქვს ადგილი, ზოგიერთი კომუნისტი გადაგვარების გზაზეა შემდგარი, ბევრი მათგანი ზრუნავს პირად გამდიდრებაზე, ბიუროკრატობს, ბოროტად იყენებს თანამდებობას, ამახინჯებს პარტიის ხაზს სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხში და სხვ.

რაც შეეხება ტროცკისტული ოპოზიციის უკანასკნელი კონტრ-რევოლიუციონური შემოტევას, ჯგუფური კრებები სავსებით იწონებდნენ სახ. პოლიტიკური სამმართველოს მიერ მიღებულ ზომებს ტროცკისტების წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ ასეთი ზომების გაგრძელებას ამ აშკარა კონტრ-რევოლიუციონერების საქმიანობის საბოლოოდ ალკვეთამდე.

ერთ-ერთ ჯგუფურ კრებაზე მიღებულ რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია: „ამჟამად მემარჯვენე—ოპორტუნისტული გადახრა, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის რევიზიაში, კულაკურ საფრთხის შეუფასებლობაში და სხვ., გადადის თავის განვითარების მეორე საფეხურზე, როდესაც ოპორტუნისტული შეხედულებები ყალიბდება სისტემად.

უკანასკნელ თვეებში მემარჯვენეები მიდიან ფრაქციების და პარტიის წინააღმდეგ უპრინციპო ბრძოლის შექმნამდე, იწყებენ ბრძოლას პარტიულ რეჟიმისა და პარტ-ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

კრება ამასთან ერთად აღნიშნავს კონტრ-რევოლიუციონურ ტროცკისტულ ოპოზიციის გამოცოცხლებას. ბრძოლა ტროცკიზმის ნაშთების წინააღმდეგ გაგრძელებული უნდა იქნეს ისეთივე ტემპით, როგორც წარსულში.

მემარჯვენეებთან, თუ ტროცკისტებთან შემარიგებელ განწყობილებაში ყოფნა უნდა გაგებულ იქნეს, როგორც ხელის შეწყობა ამ მავნე დადგენილებებისათვის, შემარიგებლობა წარმოადგენს უსუსურ და მშიშარა ოპორტუნიზმის სახეს, რომელიც ჩაფლულია წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და პრაქტიკის ჭაობში.

გაერთიანებული კრება აღნიშნავს, რომ ყოველგვარი მავნე —წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრისათვის ნიადაგი უფრო ნოყიერია საქართველოს პირობებში, კერძოდ ჩვენს მაზრაში. კრება სიტყვას იძლევა, რომ ის შეუდრეკელ ენერგიით და პიროვნებათა მიუხედავათ ამხელს ყოველგვარ მუწუკს, ამოსულს ჩვენი ორგანიზაციის საღ ორგანიზმზე.

სასტიკი ბრძოლა მარჯვენის თუ „მარცხნივ" გადახრას და მათთან შემარიგებლობას. მხოლოდ შეგნებული, მტკიცე, ნებისყოფით გამსჭვალვა უზრუნველყოფს ჩვენი პარტიის მთლიანობას და სოციალიზმის წარმატებით მშენებლობას.

გაუმარჯოს პარტიის მონოლითურ მთლიანობას, გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას ლენინურ შტაბს—საკავშირო კომპარტიის ცეკას"!

ხ. მ.—ხი.

ნოემბრის პლენუმის შედეგების დამუშავება

(სენაკის მაზრა)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებათა დამუშავება სენაკის მაზრის ორგანიზაციაში დაიწყო 10 თებერვლიდან.

ქ. სენაკის უჯრედებში და ყველა თემორგანიზაციებში, პარტიულ კრებებზე, კომკავშირის აქტივის მონაწილეობით, ჩატარდა მოხსენებები ნოემბრის პლენუმის შედეგებზე. მაზრიდან მივლინებულ ამხანაგების საშუალებით.

პარტგანათლების ქსელში განსაზღვრული საათები ეთმობა ნოემბრის პლენუმის დადგენილებათა დამუშავებას. ის მუშავდება აგრეთვე მიმდინარე პოლიტიკის წრეებში.

ამის გარდა ქალაქის და სოფლის ყველა უჯრედებში ამჟამად მიმდინარეობს ნოემბრის პლენუმის რეზოლიუციების დეტალური დამუშავება—შესწავლა. სპეციალურად მიმაგრებულ ამხ. ხელმძღვანელობით; ამ მიზნით იწყობა ერთეული რიგის გარეშე კრებები.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს უჯრედებში პლენუმის დადგენილებანი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პარტიის ზრდის მოწესრიგების შესახებ.

უჯრედები ისაუბრებენ პლენუმის დადგენილებას პარტიის რიგების გაწმენდის საკითხზე —სოციალურად უცხო, მიტმასნილ, გაბიუროკრატებულ და გახრწნილ ელემენტებისაგან.

სამკომიდან უჯრედებს მიეცა მითითებანი აწარმოონ წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა პარტიის წმენდისათვის.

პლენუმის დადგენილებათა დამუშავებასთან ერთად, დიდი ყურადღება ექცევა მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრისა და ტროცკისტულ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლის გაძლიერების საკითხებს.

მ. ბარამია.

გაზაფხულის თესვისათვის

სამზადისი თესვის კამპანიისათვის ამიერ-კავკასიაში

საუბარი ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს რწმუნებულთან ამხ. ნაზარეტიანთან

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულმა თესვის კამპანიის ჩატარების საქმეში ამხ. ნაზარეტიანმა განაცხადა:

ამჟამად უკვე დასრულებულია მთელი მოსამზადებელი მუშაობა გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად. ეხლა ჩვენს ამოცანას შეადგენს შემოწმება იმისა, თუ რამდენად არიან მომზადებულნი ადგილები და რამდენად არის განხორციელებული გეგმა. ამ საქმეს უკვე შევუდექით.

პარტიისა და მთავრობის დირექტივის თანახმად, მიმდინარე გაზაფხულის თესვის კამპანიაში ნათეს სივრცეს ამიერ-კავკასიაში უნდა მოემატოს 100.000 ჰექტარი, ამასთან მარცვლეული კულტურების სივრცე უნდა გადიდდეს 6,1 პროცენტით, ტეხნიკური კულტურებისა—17,3 პროცენტით და სხვა კულტურებისა—9,6 პროცენტით. გაზაფხულის ნათესის საერთო სივრცე უნდა უდრიდეს 1.191.400 ჰექტარს, აქედან—645.000 ჰექტ. საქართველოში, 280 ათასი აზერბეიჯანში და 265.000 სომხეთში.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდება გაზაფხულის კამპანიაში გათვალისწინებულია 3,3 პროცენტით, ტეხნიკური კულტურებისა—6.4 პროც., კერძოდ ბამბისა—თითქმის 10 პროცენტით. გაზაფხულის ნათესის საერთო პროდუქცია იმ კამპანიის შემდეგ, რომელსაც ჩვენ ვატარებთ 1928 წელთან შედარებით, უნდა გაიზარდოს დაახლოებით, 233.000 ტონით ან 16 პროცენტით.

წინასწარი პირობები თესვის კამპანიის გეგმის განსახორციელებლად

სათადარიგო რეზერვები. მიუხედავად მიწის ნაკლებობისა და აგრარული მოსახლეობის სიჭარბისა, ამიერ-კავკასიის სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს ცნობით, ამიერ-კავკასიაში სახნავი მიწის 40 პროცენტი ან აბსოლიუტურად—1 მილიონი ჰექტარი დაუმუშავებელი რჩება. მთელი დაუმუშავებელი მიწის დაახლოვებით ორი მესამედი დასვენებულია და დასათეს ფონდში მისი ჩარიცხვა ხანგრძლივ სამიწათმოქმედო ღონისძიებებს მოითხოვს, განსაკუთრებით კი, სწორი თესლბრუნვის შემოღებას. მიუხედავად ამისა, ამ მიწების ნაწილი გამოყენებული იქნება მიმდინარე თესვის კამპანიის დროს როგორც ძირითადი რეზერვი ნათესი სივრცის გასაფართოებლად.

ბრძოლა წყალდიდობასთან. უკანასკნელი წლების განმავლობაში ამიერ-კავკასიაში წყალდიდობისაგან წელიწადში საშუალოდ—40.000 ჰექტარი ნათესი ილუპება. თუ მივიღებთ საჭირო წინასწარ ღონისძიებებს, შესაძლებელია ამ მოედნის გადარჩენა დაღუპვისაგან. ამიტომ ადგილებზე გაძლიერებულია მუშაობა ნაპირების გასამაგრებლად და რაზების მოსაწყობად იმ ადგილებში, სადაც ყველაზე უფრო მოსალოდნელია წყალდიდობა. სავალდებულო შრომის ბეგარის წესით ამ საქმეში ჩაბმულია ფართო მოსახლეობა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის მიწოდება

„ზაკსელმაშ"-ის მიერ შესყიდული სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების მიღება ვერ სწარმოებს დამაკმაყოფილებლად. ამ საქმის დასაჩქარებლად მიღებულია სასწრაფო ზომები. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის მიწოდებასთან ერთად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არსებული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის აღრიცხვას და მის სავსებით გამოყენებას. რადგან იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, მუშაობის დროს იყენებენ ამ ინვენტარის მეტად უმნიშვნელო პროცენტს. გუთნები მხოლოდ 15 პროცენტით არის გამოყენებული, ფარცხებს, კულტივატორებს და ბამბის სათეს მანქანებს იყენებს მეურნეობების მხოლოდ 2 პროცენტი. მაშინ, როდესაც მათი გამოყენება შეუძლია მეურნეობათა 22 პროცენტს. ტრაქტორის საშუალო წლიური ნაყოფიერება ნორმალური დატვირთვის მხოლოდ 40 პროცენტს შეადგენს; ხოლო ცალკე რაიონებში—8—10 პროცენტს ტრაქტორის ფაქტიური გამოყენება უდრის მისი ნორმალური ნაყოფიერების 20—30 პროცენტს.

მუშა-საქონელი. 1928—29 წელს გათვალისწინებულია მოსახლეობის დაკმაყოფილება მუშა-საქონლით—4 500 ცალი ხარით და კამეჩით, რომელთა ღირებულება 1.025.000 მანეთს შეადგენს. გარდა ამისა, მებამბეობის რაიონები უნდა დაკმაყოფილებულ იქნან —1.500 ცხენით, რომელთა ღირებულება — 375.000 მანეთს შეადგენს.

თუმცა მუშა-საქონლისათვის გადადებულ მთელი საჭირო თანხა, მომარაგების გეგმა შეიძლება მაინც ვერ შესრულდეს, რადგან: 1) ფინანსიურ სიძნელეთა გამო რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკები სცდილობენ შეამცირონ საკრედიტო გეგმის თავიანთი წილის დაფარვა. 2) ჩრდილოეთ-კავკასიიდან გაძნელდა ცხენების გამოტანა და ამის გამო შეიძლება მებამბეობის რაიონები ვერ იქნან მუშა-საქონლით დაკმაყოფილებული. და 3) ცალკე რესპუბლიკებში გაძნელებულია მუშა-საქონლისათვის საკვები მასალის უზრუნველყოფა.

თესლი. სათესლე მასალის საერთო საჭიროება გამოიხატება 13.775 ტონით, რაოდენობით, რომელიც რესპუბლიკებს შორის ასე ნაწილდება: აზერბეიჯანი—1.180 ტონა, სომხეთი—4 735 ტონა და საქართველო—7.860 ტონა.

გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის ნაცვლად, ამიერ-კავკ. გვაქვს მხოლოდ — 32,6 პროცენტი იმისა, რაც საჭიროა; ამას გარდა, უკანასკნელი ცნობების მიხედვით, საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გადასდო 2,500 ტონა სიმინდის თესლი.

მავნებლებთან ბრძოლა

გამოანგარიშებულია, რომ ამიერ-კავკასიაში სოფლის მეურნეობას სჭირდება სულ მცირე 3.300 ტონა შაბიამანი. ამიერ-კავკასიისათვის კი გადადებულია მხოლოდ 2.400 ტონა. იმდენი, რამდენიც მიეცა შარშან. რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოების წინაშე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ მოეწყოს შაბიამანის გამომუშავება ადგილობრივ სპილენძის სამადნეებში და ქარხნებში.

აგრონომიული დახმარება და აგრიკულტურა

1927—28 წელს ამიერ-კავკასიაში იყო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 172 აგრონომიული პუნქტი და 184 პუნქტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა. საშუალოდ, 4.900 გლეხის მეურნეობაზე მოდის ერთი აგრონომიული პუნქტი. მიმდინარე თესვის კამპანიის განმავლობაში აგრონომიული პუნქტების რიცხვი ყველგან გადიდებული იქნება, აზერბეიჯანში მებამბეობის აგრონომიული ქსელი ბამბისათვის საანეულოდ ხნავს 20.000 ჰექტარს, მწკრივად თესვის—20.000 ჰექტარს.

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებში გლეხებისათვის მოეწყო მოკლევადიანი აგრონომიული კურსები. აზერბეიჯანში პირველად იქმნება 2 ათასი კაცისაგან შემდგარი აქტივი მცოდნე გლეხებისა.

ფინანსიური სახსრები თესვის კამპანიისათვის

გეგმით ფინანსების მიწოდების მხრივ (კრედიტებისა და კონტრაქტაციის ხაზით) თესვის კამპანიისათვის გათვალისწინებულია 18.176.274 მანეთი. აქედან სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ხაზით საწარმოო კრედიტების მიწოდება უდრის 6.934.200 მან., საწარმოო კრედიტების მიწოდება „ზაკხლოპკომ"-ის ხაზით — 1.512.800 მან. და კრედიტების კონტრაქტაციისთვის, — 9.729.274 მან.

სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო სისტემით საწარმოო კრედიტების მიწოდება შემდეგნაირად ნაწილდება: მუშა - საქონელი—1.400.000 მან., მანქანების მიწოდება — 185.000 მან., ტრაქტორები — 330.000 მან., სარემონტო სახელოსნოები — 400.000 მან., მარცვლეულის გასაწმენდი, — გასაქირავებელი პუნქტები — 148.000 მან., მელიორაცია 1.100.000 მან., მავნებლებთან ბრძოლა — 461 000 მან. მეთესლეობა 1.800.000 მან. და საქონლის საკვები — 509.000 მან.

კონტრაქტაციის გეგმის ფინანსიურად დაფარვას მოახდენს სახელმწიფო ბანკი, ამასთან, მარცვლეული კულტურების კონტრაქტაციის საქმისათვის გადადებულია 1.080.000 მან., თამბაქოს კონტრაქტაციისათვის — 1.614.600 მან., კუნჟუთის კონტრაქტაციისათვის — 213.325 მან., კანაფისა — 204.000 მან. და ბამბისა — 6.317.343 მან.

თესვის კამპანიის ეფექტიურობა იმ მხრივ, რომ გაფართოვდეს ნათესი სივრცე, გადიდებულ იქნეს მოსავლიანობა და გაიზარდოს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია, სრულიად არ განისაზღვრება იმ სახსრების რაოდენობით, რომლებიც გლეხურ მეურნეობას მიეწოდება მიმდინარე გაზაფხულის თესვის კამპანიის განმავლობაში; ეს იქნება შედეგი იმ თანხებისა, რომლებიც სახელმწიფომ დაბანდა სოფლის მეურნეობაში მთელი წლის განმავლობაში. წელს ამიერ - კავკასიის სოფლის მეურნეობაში (მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით, ადგილობრივი ბიუჯეტით, ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით და სხ.) სულ დაბანდებულია 60 მილიონი მანეთი. რომელიც თითქმის ორჯერ აღემატება იმ თანხებს, რომლებიც შარშან იქნა დაბანდებული.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადი. მიმდინარე კამპანიის განმავლობაში ნათესი სივრცის ზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს აგრეთვე ახალმა კანონმა სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შესახებ. პროცენტი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შემცირებისა, თანახმად საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილებისა, მთელს ამიერ - კავკასიაში მოგვცემს გადასახადის ჯამის შემცირებას დაახლოვებით 600—700 ათასი მანეთით. საერთოდ და საბაზრო საქონლის პროდუქციის ზრდის გადიდების გამო, გლეხთა ფულადი შემოსავლიანობა 1928 — 29 წელს გაიზრდება 15,8 პროცენტით.

საორგანიზაციო საკითხები. გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად შედარებით დროზე შევუდექით საორგანიზაციო, სამეურნეო და ფინანსიურ სამზადისს. მაგრამ ამასთან ერთად ადგილი აქვს ნაკლოვანებათა მთელ რიგს. მაგ., სუსტადაა დაყენებული სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობა, საკმაოდ ფართოდ არ იცნობენ საბჭოთა ქვედა აპარატი და გლეხთა მასები პარტიისა და მთავრობის დირექტივებს ნათესი სივრცის გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდების შესახებ; სუსტია იმის კონტროლი, თუ როგორ ანხორციელებენ ფაქტიურად დაინტერესებული ორგანიზაციები დასახულ ღონისძიებებს; თესვის კამპანიაში საკმაოდ არ არიან ჩაბმული ღარიბი და საშუალო გლეხთა ფართო მასები და სხვ. (ადს).

სკოლების მონაწილეობა თესვის კამპანიაში

საქ. განსახკომმა მაზრის განათლების განყოფილებებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მიმდინარე სასწავლო წელს საგაზაფხულო არდადეგები უნდა შეეფარდოს საგაზაფხულო თესვის კამპანიას.

დღემდე ადგილობრივი განათლების განყოფილებები განსახკომთან შეთანხმებით საგაზაფხულო არდადეგებს სკოლებში საგაზაფხულო თესვის მწვავე პერიოდში აწყობდნენ, იმ მიზნით, რომ ბავშვები ამ დროს თავისუფალი ყოფილიყვნენ სასკოლო მუშაობისაგან და თავის ოჯახებისათვის მეტი დახმარება აღმოეჩინათ. სკოლა ბავშვების მხოლოდ დათხოვნით კმაყოფილდებოდა, საგაზაფხულო მუშაობაში სხვა მონაწილეობას არ ღებულობდა.

სკოლამ საგაზაფხულო თესვის კამპანიაში როგორც მთლიანმა კოლექტივმა, ორგანიზაციული და გეგმიანი მონაწილეობა უნდა მიიღოს. სკოლის მონაწილეობა არ უნდა განისაზღვროს მხოლოდ აგიტაცია-პროპაგანდით, არამედ მან ერთის მხრით საჩვენებელი მუშაობა უნდა ჩაატაროს თავის მიწის ნაკვეთებზე და მეორე მხრით თესვის პერიოდში პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს სოფლის მოსახლეობას; (სათესლე მასალის შერჩევა, მოწამვლა, ნიადაგის განოყიერება და სხვ.). ამ მუშაობის შესრულება კი მოითხოვს, რომ სკოლა თესვის პერიოდში თავის ადგილზე იყვეს (ბავშვები სკოლაში იყვნენ). და ამ მუშაობაში ორგანიზაციული და აქტიური მონაწილეობა მიიღონ. ამიტომ საგაზაფხულო არდადეგების დრო, რაც ათი დღით უნდა განისაზღვროს, ადგილობრივმა განათლების განყოფილებამ სწორედ ამ საკითხს უნდა დაუკავშიროს და არდადეგები ისეთ დროს მოაწყოს, როდესაც სოფლად გაძლიერებული და გამწვავებული ხვნა-თესვა არ იქნება.

თბილისის, ქუთაისის და ფოთის სკოლებმა კი, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან ნაკლებად არიან დაკავშირებული—საგაზაფხულო არდადეგები უნდა მოაწყონ 5—15 აპრილამდე. ეს დადგენილება არ ეხება სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს.

თესვა და პროფკავშირები

საქართველოს პროფსაბჭომ ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს და ავტონომიური რესპუბლიკების პროფსაბჭოებს მიმართა ცირკულიარული წერილით, რომელშიაც ნათქვამია, რომ გაზაფხულის თესვის კამპანიის ამოცანებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე 1928-29 წლის სამეურნეო გეგმის შესრულების საქმეში. საქართველოს სინამდვილეში თესვის კამპანია განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმის გამო, რომ გასული წლების მოუსავლობასთან დაკავშირებით ჩვენში რამოდენიმეთ შემცირდა ნათესების სივრცე. ამის გამო მთავრობამ დირექტივა მისცა ადგილებს მიიღონ ყველა ზომები, რომ გაზაფხულის თესვის კამპანიაში ნათესების სივრცე გადიდებული იქნეს არა ნაკლებ 8,5 პროცენტისა და მოსავლიანობა არა ნაკლებ 2 პროცენტისა.

ცირკულიარი წინადადებას აძლევს პროფორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ თესვის კამპანიის ჩატარებაში. რომ მთავრობის დირექტივა შესრულებული იქნეს მთელი 100 პროც-ით.

შემდეგ ცირკულიარში ნათქვამია, რომ თესვის კამპანიის ამოცანების განმარტების საქმეში გამოყენებული უნდა იქნეს სოფლის ყველა კულტურული ძალები (აგრონომები, მასწავლებლები და სხვა) და კავშირების კულტურული დაწესებულებები — კლუბები, წითელი კუთხეები, ბიბლიოთეკები და სხვა. ამისათვის პროფორგანიზაციებმა მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ სამაზრო და სათემო კომისიებთან, რომლებიც გამოყოფილია მიწსახკომის ხაზით. პროფკავშირებმა თავისი მუშაობით დახმარება უნდა გაუწიონ თესვის კამპანიას და ამით გლეხთა მეურნეობის შემდგომ აღორძინებას, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაივიწყონ, რომ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის აღორძინება მჭიდროთ დაკავშირებული უნდა იქნეს ლენინის კოოპერატიულ გეგმასთან.

ამისდამიხედვით თესვის კამპანიაში მონაწილე პროფორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ გლეხთა მეურნეობის გაერთიანებას კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში. გლეხთა მეურნეობების მასიურად ჩაბმას კოოპერაციაში და მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხობის ფართოდ მოზიდვას ამ ღონისძიებების გატარებაში.

პროფსაბჭო წინადადებას აძლევს ყველა პროფორგანიზაციებს ამ თავითვე დაიჭირონ კავშირი სამაზრო კომისიებთან და მიიღონ ყველა ზომები თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის შემუშავებულ ღონისძიებების განხორციელებისათვის.

ა.-კ. ცაკში

საგზაო შრომის ბეგარა

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, საგზაო შრომის ბეგარა გავრცელებული უნდა იქნეს ქალაქებისა და დაბების იმ მოსახლეობაზე, რომელსაც შეწერილი აქვს სასოფლო სამეურნეო გადასახადი.

მელიორატიული ამხანაგობები

ა.-კ. ცაკის დადგენილებით მელიორატიული ამხანაგობები განთავისუფლებული უნდა იქნენ მიწის იმ ნაკვეთების საიჯარო გადასახადისაგან, რომლებიც აღებული აქვთ ამ ნაკვეთებზე სარწყავი არხების გაყვანის მიზნით.

უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიები

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ცენტრ. აღმ. კომიტეტებს განიხილონ —მიზანშეწონილია თუ არა ბავშვების უპატრონობასთან მებრძოლ კომისიების შემდგომი არსებობა და თავისი დასკვნები წარუდგინონ ა.-კ. ცაკს.

ბინებიდან გამოსახლება

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, სამხედრო კომისარიატის ორგანოებს ნება ეძლევათ მდგმურები (მუშა-მოსამსახურეები) გამოასახლონ ამ ორგანოებზე მიმაგრებულ სახლებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მუშა-მოსამსახურეებს უშოვიან იმავე სივრცის ბინას, როგორიც უჭირავთ ზემონაჩვენებ სახლებში.

ამიერ-კავკასიის მე-5 მოწვევის საბჭოთა ყრილობა

ა.-კ. ცაკის დადგენილებით, ამიერ-კავკასიის მე-5 მოწვევის საბჭოთა ყრილობა დანიშნულია 3 მაისისათვის. ყრილობა შესდგება თბილისში.

პურით ვაჭრობის მოწესრიგება

პური სოფლებში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთათვის

ა.-კ ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, სოფლებში მცხოვრები ფაბრიკა-ქარხნების მუშები ითვლებიან ფიზიკური შრომის მუშებათ, რომლებიც პურს ღებულობენ გაძლიერებული ნორმით. სოფლებში მცხოვრები მუშების ცოლ-შვილი, სოფლის კულტურული მუშაკები, საექიმო პერსონალი, სოფლის დანარჩენი მოსამსახურენი და მათი ცოლ-შვილი მიეკუთვნებიან მშრომელ მოსახლეობის მეორე კატეგორიას და მათ პური მიეცემა იმავე ნორმით, როგორც ქალაქში მცხოვრებ მეორე კატეგორიის მშრომელებს.

პურის მიწოდება სოფლებში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთათვის დაევალება სამომხმარებლო კოოპერაციას.

ღარიბი გლეხების, მოჯამაგირეების (რომელნიც სურსათს არ ღებულობენ დამქირავებლებისაგან), მათი ოჯახების და მოუსავლიანობით დაზარალებულ გლეხების უზრუნველყოფა იწარმოებს, როგორც სამინდე გადასახადის რესპუბლიკანურ ფონდიდან, აგრეთვე ადგილობრივ დამზადებულ და შემოზიდულ ხორბლიდან; ამავე მიზნისათვის იქნება გადადებული წიგნაკების სისტემით მიღებული ეკონომია.

როგორ მიიღებენ პურს სეზონური და დროებითი მუშები

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, წარმოებებში ჩაბმულ სეზონურ და დროებით მუშებს პურის წიგნაკები არ მიეცემა. მათთვის შემოღებული იქნება სპეციალური ბარათები მოსახევი ტალონებით. ბარათები იქნება თითო თვიანი.

ასეთი ბარათის მისაღებად სეზონურმა და დროებითმა მუშებმა შრომის ბირჟას, წარმოებას ან მშენებელ ორგანიზაციას (სადაც მუშაობენ) უნდა წარუდგინონ ცნობა, რომ ისინი შეტანილი არ არიან პურის წიგნაკების მისაღებად შედგენილ სიაში. თვის დამთავრების შემდეგ სეზონური და დროებითი მუშები მიიღებენ ახალ ბარათებს.

მოსახლეობის მომარაგება

მასიური მოხმარების საქონლით

ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია, საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის დავალებით, შეუდგა იმის გამოკვლევას, თუ როგორ სწარმოებს დიდი ქალაქების მოსახლეობის მომარაგება სურსათ-სანოვაგით და მასიური მოხმარების საქონლით. გამოკვლევა, კერძოდ მიზნად ისახავს შეამოწმოს ის მეთოდები, რომლითაც სწარმოებს მოსახლეობის საჭიროების გამოანგარიშება და სავაჭრო გეგმების შედგენა; ამასთანავე გამოკვლეული იქნება, თუ რა მონაწილეობას იღებენ ამ მუშაობაში მაღაზიების მოსამსახურეები და შემკავშირებელი მომხმარებლები და რამდენათ შეეფერება გეგმები მოსახლეობის მოთხოვნილებას და განაწილების ნორმებს.

ამავე დროს გამოკვლევამ უნდა გამოარკვიოს, რამდენად შეეფერება კოოპერატიული სავაჭრო ქსელის გაფართოვება კერძო ვაჭრობის შემცირებას და მოსახლეობის მოთხოვნილებების ზრდას; გამოკვლევა შეეხება აგრეთვე სადუქნო ქსელის ზრდის, სავაჭრო ხარჯების, შენობების და ინვენტარის გამოყენების და სხვა საკითხებზე. ამისდამიხედვით გამოკვლევა გამოარკვევს, თუ რამდენად შეეფერება არსებული და გასახსნელად განზრახული დუქნების ტიპები მომხმარებლის მოთხოვნილებებს.

ამასთან ერთად მუშათა და გლეხთა ინსპექციას განზრახული აქვს შეამოწმოს მაღაზიების მომარაგება და ტეხნიკური მოწყობილობა და გამოიკვლიოს საკითხი იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობას იღებს შეკავშირებული მომხმარებელი მოსახლეობის სამსახურის გა[illegible] საქმის გასაუმჯობესებლად დაწყებულ მუშაობაში.

მთელი ეს მუშაობა ჩატარებული იქნება საბჭოთა საზოგადოებრიობის და პრესის ფართო მონაწილეობით.

ახალ ნაგებობათა ქუთაისის ჯგუფის გამოკვლევის შედეგები

საქ. სახ. კომისართა საბჭოს და ეკონომსაბჭოს დადგენილება

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მოისმინა საქართველოს ფინანსთა კომისარიატის სახელმწ. საფინანსო კონტროლის სამმართველოს მოხსენება ახალნაგებობათა ქუთაისის ჯგუფის მშენებლობის გამოკვლევის შედეგების შესახებ და დაადგინა:

1. დადასტურდეს ახალნაგებობათა ქუთაისის ჯგუფის გამოკვლევის დასკვნები.
2. მთელი სარევიზიო მასალა გადაეცეს რესპუბლიკის პროკურორს.
3. რადგან ახალ ნაგებობათა ქუთაისის ჯგუფში გამოაშკარავდა კანონის დარღვევა, საჭიროდ იქნას ცნობილი:

ა) საყვედური გამოეცხადოს ახალ ნაგებობათა მთავარ ინჟენერს მოქ. კანდელაკს იმის გამო, რომ მან არ განახორციელა საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გათვალისწინებული ღონისძიებანი ახალნაგებობათა ქუთაისის ჯგუფის მშენებლობის შესახებ, აგრეთვე იმის გამო, რომ საქმეს სუსტ ტეხნიკურ ხელმძღვანელობას უწევდა.

ბ) გამოეცხადოთ საყვედური იმ ტეხნიკური კომისიის წევრებს, რომელიც იკვლევდა ახალნაგებობათა ქუთაისის ჯგუფს: საქართველოს ეკონომიური საბჭოს საამშენებლო-ტეხნიკური კომიტეტის ინჟენერს პეგუშინს და საქართველოს სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს სარევიზიო-საინსპექტორო განყოფილების ტეხნიკურ ინსპექტორს ინჟ. ხაჩატუროვს, ხოლო სასტიკი საყვედური—იმავე კომისიის თავმჯდომარეს ახალნაგებობათა ინჟენერს ვაწაძეს იმ უყურადღებობის გამო, რომელიც მან გამოიჩინა ნაგებობათა ზემოხსენებული ჯგუფის გამოკვლევის საქმეში.

4. წინადადება მიეცეს სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს პრეზიდიუმს—მოხსნას თანამდებობიდან და პასუხისგებაში მისცეს ის პირები, რომლებიც ჩამოთვლილნი არიან სახელმწ. საფინანსო კონტროლის სამმართველოს მოხსენებაში და რომლებიც დღემდე სამსახურიდან არ არიან დათხოვნილნი.
5. გადახდეთ დამნაშავეებს 9.502 მან. 27 კაპ. ადმინისტრატიულ-უდავო წესით.
6. მიღებულ იქნას ზომები, რათა დაკმაყოფილდეს ხაზინის სარჩელი იმ გამორკვეული უკანონო ხარჯების ანაზღაურებლად, რომლებსაც სისხლის სამართლის ქმედობის ნიშნები ახასიათებს.
7. იმ მიზნით, რომ, ერთის მხრით, მომავალში ადგილი აღარ ჰქონდეს ასეთ მოვლენებს, ხოლო მეორეს მხრით, გაუმჯობესდეს ახალნაგებობათა მთელი საქმის სისტემა, —საჭიროდ იქნას ცნობილი შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება.

ა) დაევალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატს—დაამუშაოს ახალნაგებობათა აპარატის მუშაობის აწ არსებული სისტემის რეკონსტრუქციის საკითხი და აპარატის მართვა-გამგეობის არსებული დებულების სათანადო დამატებათა საკითხი;

ბ) იმ წარმოების გაჯანსაღების მიზნით, სადაც მთავარ როლს ასრულებენ საწარმოო თათბირები, საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ პროფკავშირებმა მეტი ყურადღება მიაქციონ თათბირებს, თათბირების საქმიან წინადადებათა შესრულებას და ჩამოაყალიბონ მათი ხელმძღვანელობა;

გ) გაღრმავდეს მუშაობა კაპიტალური მშენებლობის შეუფერხებელი განხორციელებისა, მოწესრიგებისა და გაიაფებისათვის მთავრობის არსებულ დადგენილებათა თანახმად;

დ) გაძლიერდეს სამუშაოთა წარმოების ადგილებზე სარევიზიო ორგანოების მუშაობა, როგორც ინსპექციის, ისე პერიოდულ რევიზიათა წესით; ამ მუშაობაში მაქსიმალური აქტიური მონაწილეობა უნდა იღებდნენ სათანადო პარტიული, პროფესიონალური და ლენინური კომკავშირის ორგანიზაციები, აგრეთვე თვით მუშათა მასა;

ე) გაძლიერდეს მუშათა მასების ჩაბმა ახალნაგებობათა ყოველდღიურ მუშაობაში სათანადო ორგანოების: საწარმოო თათბირების, დროებითი საკონტროლო კომისიების და სხვათა საშუალებით; ამ მიზნით გადადგმულ იქნას სათანადო პრაქტიკული, ორგანიზაციული ხასიათის ნაბიჯები, როგორც ცენტრში, ისე სამუშაოთა წარმოების ადგილებზე.

8. გამოქვეყნდეს პრესაში გამოკვლევისა და აღნიშნულ გამოკვლევასთან დაკავშირებული ღონისძიებების შედეგები.

საქართველოს სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—მგალობლიშვილი.

საქმეთა მმართველის მოადგილე — სტეპანოვი.

რიონჰესის საამშენებლო კომიტეტი

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა რიონის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), გ. მგალობლიშვილი (მოადგილე), ბ. ჭიჭინაძე (მოადგილე), ვ. ივანოვ-კავკასიელი, ს. ჯუღელი, გ. ყურულიშვილი, ინჟ. მელიქ-ფაშაევი, პოზდეევი, ბერიძე (რკინის გზის სამმართველო), ლაქტიონოვი (სახ. ბანკი) და შიშინაშვილი (ალმშენ. კავშირი).

საქ. ინჟენერ-ტეხნიკოსთა მე-4 ყრილობა

მეოთხე სხდომა

კამათი ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მოხსენების გარშემო

13 მარტის დილის სხდომაზე ყრილობას მიესალმნენ მუშ[illegible]კორთა ყრილობის წარმომადგენლები. რის შემდეგ გაიხსნა კამათი ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ჭადიაშვილმა, გელბახმა, ანდრონიკაშვილმა, ყიფშიძემ, ტერ-ხაჩატუროვმა, ბრეგაძემ; იაგანოვმა; მალაშხიამ; კაკაბაძემ; კაციტაძემ; ახვლედიანმა, კარბელაშვილმა, ედიბერიძემ; ჩომახიძემ და ღლონტმა. რომლებიც უმთავრესად აღნიშნავდნენ შემდეგს: ქიმიურ მრეწველობას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. რადგანაც საქართველო მდიდარია ისეთი ნედლი მასალით, რაც საჭიროა ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის. საჭიროა მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის დაარსება მრეწველობის ცალკე დარგებში. მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარება მოითხოვს სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადებას და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას. რასაც უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც ს. მ. უ. ს.-მა, ისე განათლების სახალხო კომისარიატმა. საჭიროა მეტი სახსრების გადადება სპეციალისტების მოსამზადებლად, სახელმწიფო ელექტრო-ტრესტი ჩამორჩენილია მრეწველობის სწრაფი ტემპით ზრდას. აღმშენებლობისათვის საჭიროა ტყე, ამიტომ ტყის მეურნეობასაც უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. ზოგიერთი სამრეწველო ხასიათის წარმოებები არ არიან გაერთიანებული ს. მ. უ. ს.-ში რაც მიზანშეუწონელია. ჩვენი უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები მოწყვეტილი არიან წარმოებას. ტეხნიკური განათლების საქმე ამ სასწავლებლებში საჭიროებს გადახალისებას.

—:—

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილი იყო საბოლოო სიტყვა ამხ. ბ. ჭიჭინაძის, რომელმაც აღნიშნა, რომ ის გრანდიოზული სამრეწველო მშენებლობა, რომელიც გათვალისწინებულია 5 წლიანი გეგმით, ჩვენგან მოითხოვს [illegible] ენერგიის დაძაბვას. ამიტომ ინჟინერ-ტეხნიკოსების წინაშე დგას ამოცანა სხვა ორგანიზაციებთან ერთად აწიონ შრომის ნაყოფიერება და საწ. დისციპლინა.

მეხუთე და მეექვსე სხდომა

კამათი ინჟენერ-ტეხნიკოსთა ცენტრალურ ბიუროს მუშაობის შესახებ

13 მარტის საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ინჟინერ-ტეხნიკოსთა ცენტრალური ბიუროს მუშაობის შესახებ. კამათში მონაწილ. მიიღეს ხოჯაშვილმა, გელბახმა, კამკამიძემ; სისოევმა, ლუნიკიანმა, ყანდარელმა, პორტნოვმა, ორბელიანმა, ჩომახიძემ, გოგიჩაიშვილმა, ნადარეიშვილმა, დიასამიძემ; ტერ-დავიდოვმა, ხუნდაძემ და მეტრეველმა.

ორატორები უმთავრესად შეეხებოდნენ შემდეგ საკითხებს:

საკავშირო პროფსაბჭომ და საკ. ს. მ. უ. საბჭომ 2 წლის წინეთ გამოიტანეს დადგენილება ინჟინერ-ტეხნიკოსებისათვის 16 საათის დასვენების მიცემის შესახებ კვირაში. მაგრამ ეს დადგენილება ცხოვრებაში არ ტარდება. ზოგიერთ საკითხებს ინჟინერ-ტეხნიკოსთა შესახებ სხვადასხვა ორგანიზაციები პროფსაბჭოსთან ათანხმებენ ი. ტ. ცენტრალური ბიუროს გარეშე. რაც ხელს უწყობს ი. ტ. ბიუროს ავტორიტეტის დაცემას. ინჟინერ-ტეხნიკოსთა ბიურომ თვალყური უნდა ადევნოს ი. ტ. სექციების მონაწილეობას საწარმოო თათბირებში. საკ. პროფსაბჭომ შეათანხმა ს. მ. უ. ს-თან საკითხი ინჟინერ-ტეხნიკოსთა მივლინების შესახებ სამრეწველო ცენტრებში და საზღვარგარეთ (კვალიფიკაციის ასამაღლებლად), მაგრამ საქართველოს ფარგლებში ეს დადგენილება ცხოვრებაში არ გატარებულა. ი. ტ. ბიურომ უნდა აწარმოოს სტაჟიორების და პრაქტიკანტების მუშაობის პირობების გამოკვლევა. რასაც დღემდე ადგილი არ ჰქონია.

ტეხნიკურ საბჭოებში და თათბირებში ამა თუ იმ ტეხნიკური ხასიათის საკითხის გარჩევის დროს არ იწვევენ ი. ტ. ბიუროს წარმომადგენლებს, არამედ მხოლოდ ცალკე სპეციალისტებს. ინჟ-ტეხნ. ცენტრალური ბიურო მუშაობას აწარმოებს თავისუფალი მომუშავეების [illegible]. რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

14 მარტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ინჟინერ-ტეხნიკოსთა ცენტრალური ბიუროს მუშაობის გარშემო. კამათში გამოსული ორატორები ბეგიჩევი, ცქიტიშვილი, კორინთელი, ხაჩატუროვი, ვაშაკიძე, ყიფშიძე; ბაბაევი, ედიბერიძე; კოტოვსკი, კაციტაძე; არისტარხოვი, ჯაში, ვიზეროვი; ფირუმოვი, ხოჯაშვილი; მეტრეველი, იაგუბოვი, მარკაროვი და სუხიშვილი აღნიშნავდნენ, რომ:

ხშირად სამეურნეო ორგანოები ანგარიშს არ უწევენ ინჟინერ-ტეხნიკოსთა ორგანიზაციას, რასაც თან სდევს არა სასურველი შედეგები.

არა მარტო ახალგაზრდა, არამედ ბევრს ძველს ინჟინერებსაც პრაქტიკული მუშაობის სტაჟი წარმოებებში დიდი არა აქვს. რაც აიხსნება იმით, რომ თვითმპყრობელურ რუსეთში ისინი უმთავრესად კაბინეტების მომუშავენი იყვნენ, უცხო კაპიტალი კი რუსეთში იყენებდა არა ადგილობრივ ძალებს, არამედ მოწვეულს. ამიტომ ინჟ-ტეხნიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. წარმოებებზე მიმაგრებული პრაქტიკანტები და სტაჟიორები მუშაობის მაგივრად ხშირად უსაქმოთ დახეტიალობენ წარმოებებში. რასაც ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ი. ტ. ბიურომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პროფმუშაობას. ი. ტ. ბიურომ მეტი თვალყური უნდა ადევნოს უშიშროების ტეხნიკას ადგილებში სხვადასხვა დარგის ინჟინერ-ტეხნიკოსების (ერთი და იმავე კვალიფიკაციის) ხელფასში დიდი სხვადასხვაობა არსებობს. საჭიროა ხელფასის ნორმების მოწესრიგება.

ი. ტ. ბიუროს ძირითად დანიშნულებას შეადგენს პროფმუშაობის წარმოება. მაგრამ სწორედ ამ სფეროში მუშაობა ძალზე მოისუსტებს. ინჟ.-ტეხნ. ბიურო დრო გამოშვებით თბილისის ფარგლებში მყოფ ინჟინერ-ტეხნიკოსთა კრებებს მაინც უნდა იწვევდეს; საჭიროა მასიური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. სასოფლო-სამეურნეო დარგის სპეციალისტების ხელფასი (აგრონომების და სხვ.) ძალზე ჩამორჩება სხვა დარგის სპეციალისტების ხელფასს. ჟურნალ „ტეხნიკა და ცხოვრება"-ს უნდა მიეცეს დოტაცია და შიგ შექმნილი უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო განყოფილება, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალის ტირაჟის გადიდებას.

—:—

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილი იქნა ინჟ. კაკაბაძის საბოლოო სიტყვა.

თბილისის საშეფო აქტივის კრება

გუშინ საღამოს, თბილისის აღმასკომის წითელ დარბაზში შესდგა ქალაქის საშეფო ორგანიზაციის აქტივის კრება. კრებამ მოისმინა საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. სტეფანოვის მოხსენება საშეფო საზოგადოების კვირეულის ამოცანებისა და საშეფო საზოგადოების უჯრედების მუშაობის გამოცოცხლების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა რომ საშეფო საზოგადოების წინაშე ამჟამად ორი მთავარი ამოცანა სდგას: სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლიუციის ტემპის დაჩქარება სოფლად. ამ ამოცანათა განხორციელება მოითხოვს საშეფო საზოგადოების უჯრედების გაჯანსაღებას და მათი მუშაობის გაძლიერებას. უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით წარსულთან თბილისის საშეფო ორგანიზაცია საკმაოდ გაიზარდა და განმტკიცდა. ამჟამად თბილისის საშეფო ორგანიზაცია აერთიანებს 16.350 წევრს. შედარებით სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ჩვენი საშეფო საზოგადოება მაინც მცირე რიცხოვანია, უნდა იყოს კი პირიქით, ჩვენს მუშაობაში გვაქვს მიღწევები, მაგრამ უფრო მეტია ნაკლი. საშეფო საზოგადოების უჯრედები ვერ იჩენენ სათანადო აქტივობას ადგილებზე. ვერ აბამენ თავიანთ მუშაობაში მასების აქტიურ ნაწილს. ნაკლებად ზრუნავენ საზოგადოების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებაზე და სხვ.

ა. წ. 25 მარტიდან იწყება საშეფო საზოგადოების კვირეული. კვირეულის მიზანია ხელი შეუწყოს საშეფო საზოგადოებას მიზნებისა და ამოცანების პოპულარიზაციას, გაადიდოს საზოგადოების წევრთა რიცხვი 20 ათასამდე, გამოაცოცხლოს საშეფო საზოგადოების უჯრედების მუშაობა, გააუმჯობესოს საზოგადოების მატერიალური ბაზა და სხვა. კვირეულთან დაკავშირებით ჩვენ უნდა შევამოწმოთ საშეფო საზოგადოების მუშაობა სოფლად კომისიების საშუალებით და აგრეთვე მოვახდინოთ საშეფო საზოგადოების უჯრედების ბიუროების გადარჩევა. გადარჩეულ ბიუროებში 75 პროცენტი ახალი ამხანაგი უნდა ჩავაბათ.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩილაჩავამ, რომელმაც აღნიშნა საშეფო საბჭოს მიერ გადადგმული ნაბიჯები საგაზაფხულო თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად და აგრეთვე საშეფო საზოგადოების როლი თესვის კამპანიის ჩატარებაში.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. რომლის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

ბრძოლა წყალდიდობასთან აფხაზეთში

წელს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ წყალდიდობასთან საბრძოლველად აფხაზეთში გადასდო 20.135 მანეთი. ეხლა დაწყებულია მუშაობა არსებული ჯებირების შესაკეთებლად და ახალის ასაგებად. მიღებულია ზომები, რომ მდ. დიდი კოდორი არ შეუერთდეს პატარა კოდორს, რომელიც წალეკვით ემუქრება სოფ. დრანდს, ბაბუშერს და [illegible].

მდ. კოდორზე განზრახულია აგებული იქნეს ქვისა და წნელის ჯებირი 9.500 კუბ. მეტრის მოცულობით. ამჟამად შრომის ბეგარის წესით სწარმოებს მასალების მოზიდვა სამუშაოების ადგილზე.

მდ. ღალიძგაზე დაპროექტებულია აგებული იქნეს 1.260 კუბ. მეტრის მოცულობის ჯებირი.

ჯებირები მოეწყობილი იქნება აგრეთვე მდ. ოქუმის და ერისწყლის ორივე ნაპირზე; ამ ჯებირების საერთო მოცულობა იქნება 3.580 კუბ. მეტრი.

წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებები აფხაზეთში ჩატარებული იქნება მარტის დამლევს; ღონისძიებების ჩატარებაში ჩაბმული იქნებიან ყველა კომკავშირელები.

ახალი ეპოქა მშრომელ ებრაელთა ცხოვრებაში

(საქ. მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზოგადოების პირველი რესპუბლიკანური ყრილობისათვის)

16 მარტს ქ. თბილისში იხსნება საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზოგადოების (საქმემმსის) პირველი რესპუბლიკანური ყრილობა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევეხოთ ამ საზოგადოების მუშაობას და ებრაელთა მიწადმოწყობის საქმის განვითარებას.

ყველამ იცის, თუ ებრაელი მოსახლეობა თვითმპყრობელობის დროს რა უუფლებობას და დევნას განიცდიდა. ამაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტია. მხოლოდ ოქტომბერმა მიანიჭა ყველა ერს, მათ შორის ებრაელებსაც; სრული თავისუფლება და თანასწორობა. ამავე დროს ახალმა სოციალ-ეკონომიურმა სისტემამ ებრაელ მასების წინაშე დასვა საწარმოო შრომაზე (მრეწველობა, სასოფლო მეურნეობა) გადასვლის ამოცანა.

1922 წლის შემოდგომიდან იწყება ებრაელთა სტიქიური გადასვლა მიწადმოქმედებაზე. ყოველგვარ დახმარების გარეშე ყალიბდებიან ებრაელთა მიწადმოქმედების კოლექტივები. მათ შორის ჩნდებიან მიწის მუშები და მრავალი ებრაელი ღარიბი მიდის სოფლებში მოჯამაგირეებათ.

1924 წლის 29 აგვისტოს ს. ს. რ. კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა შექმნას ს. ს. რ. კ. ცაკ-ის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმთან მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი კომიტეტი (კომზეტი). ამ მომენტიდან ებრაელთა მიწადმოწყობა ხდება სახელმწიფო საქმედ მუშაობა ამ მიმართულებით ფართოდ გაიშალა. 1923 წ. ებრაელთა რიცხვი სასოფლო მეურნეობაში შეადგენდა 75.911 კაცს, 1925 წ.—120.288 კაცს, ხოლო 1928 წ. შემოდგომისათვის მან გადააჭარბა 200.000 კაცს.

პარალელურად გაიზარდა აგრეთვე ებრაელთა მიწათ სარგებლობის ფართობიც. 1923 წ. იყო 153.298 ჰექტარი, ხოლო 1928 წ. უკვე 642.054 ჰექტარი. ეს მიწები გამოყოფილია სახელმწიფოს თავისუფალი ფონდებიდან უკრაინაში, ყირიმში, ბელორუსიაში და საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში.

1928 წლის 24-28 მარტს საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია: „მიეცეს კომზეტს მშრომელ ებრაელთა მასიური დასახლებისათვის თავისუფალი მიწები შორეულ აღმოსავლეთის მხარეში, მდ. ამურის ხაზზე, რომელიც შეიცავს ბირო-ბიჯანის რაიონს" (ამ ადგილის სივრცე უდრის 3.895.000 ჰექტარს), და შემდეგ: „მხედველობაში იქნეს მიღებული აღნიშნულ რაიონის ტერიტორიაზე შესაძლებლობა ებრაული ნაციონალურ-ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის მოწყობისა".

ამ დადგენილებით საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა ებრაელებს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო შრომაზე გადასვლის ფართო პრაქტიკული შესაძლებლობა, არამედ შექმნა მომავალში; საბჭოთა კავშირის შიგნით, ებრაელთა ავტონომიური ერთეულის შექმნის საფუძველი.

აშკარაა შეიქნა, რომ იმ ხალხის მიწაზე დასახლება, რომელიც წინედ არ ამუშავებდა მას, მოითხოვს უზარმაზარ თანხებს, რის გარეშე დღევანდელ ეკონომიურ პირობებში არ შეუძლია მთლიანად იკისროს სახელმწიფომ. აუცილებელი იყო საბჭოთა საზოგადოებრიობის ამოძრავება. 1925 წ. 17 იანვარს ქ. მოსკოვში, მთელი რიგი პარტიულ და უპარტიო საზოგადოებრივი მუშაკების ინიციატივით მოეწყო მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საკავშირო საზოგადოება (მემმსი).

საზოგადოებას დღეს საბჭოთა კავშირში აქვს 600-მდე განყოფილება 200.000 წევრით. მას ჰყავს აგრეთვე საზღვარგარეთ სპეციალური დამხმარე ორგანიზაციები.

საქართველოშიც, სადაც ებრაელობა ეკონომიურად და კულტურულად ძალზე ჩამორჩენილია, პრაქტიკულად დადგა მისი მიწადმოწყობის საკითხი. 1927 წ. 25 დეკემბერს ქ. თბილისში ჩამოყალიბებულ იქნა მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოების საქ. განყოფილება.

თავისი მუშაობის ქვაკუთხედათ საზოგადოების გამგეობამ გაიხადა: მემმსის იდეების და პრაქტიკის პოპულარიზაცია, ადგილებზე უჯრედების დაარსება, ახალი წევრების შეძენა და მშრომელ ებრაელთათვის ხელის შეწყობა სასოფლო-სამეურნეო შრომაზე გადასასვლელად.

მემმსის იდეების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებულ იქნა ქ. თბილისში და განყოფილებებში საერთო კრებები; ვრცელდებოდა მემმსის ლიტერატურა, ამხ. კალინინის სიტყვები და წერილები; შეძენილ იქნა სურათი „ებრაელები მიწაზე", რომელიც უჩვენეს ქ. თბილისში და ბათომში; საქმემმსის მოხსენებები ისმებოდა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში და სხ.

გამგეობის ხელმძღვანელობით მოეწყო განყოფილებები აჭარისტანში, სამხრეთ-ოსეთში და ქუთაისში. გამოყოფილ იქნა რწმუნებული კახეთში და მოეწყო 12 უჯრედი ქ. თბილისში. ადგილობრივ მუშაკების ინიციატივით მოეწყო განყოფილება აგრეთვე ქ. ფოთში, რიგში დგას მთელი რიგი განყოფილებების მოწყობა (ბანძა, კულაში; ახალციხე და სხ.).

თავის არსებობის პირველი დღეებიდანვე საქმემმსს მოუხდა ცენტრ. გამგეობის მიერ გამოშვებული ლატარიის კამპანიის ჩატარება. გაყიდულ იქნა საქართველოში 9.500 ცალი ბილეთი 4.750 მანეთის თანხისა, რაც ჩვენი ახალგაზრდა ორგანიზაციის საგრძნობ გამარჯვებას ნიშნავს.

საზოგადოების გამგეობა ზრუნავდა ქუთაისის ხანძრით განადგურებულ ღარიბ ებრაელთა დასახმარებლად. გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია, რომელმაც ამ მიზნით წარმატებით შეაგროვა როგორც ფული, ისე ნივთები.

საზოგადოება აგრეთვე ცდილობდა საქ. ღარიბ ებრაელთა ეკონომიურ მდგომარეობის შემსუბუქებას, თუმცა ეს არ შედიოდა უშუალოდ მის ფუნქციებში. გაგზავნილ იქნა სხვადასხვა წარმოებებში—150 კაცი. მათგან 80 მოეწყო მუდმივ ადგილებზე, ხოლო დანარჩენები დროებით სამუშაოზე. საქმემმსის გამგ. შუამდგომლობით, საქ. სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, ქუთაისის აბრეშუმის ძაფსახვევ ქარხანაში სამუშაოდ გაგზავნა 160 ებრაელი. ქუთაისში მოწყობილია მეტყავეების არტელი. სადაც მუშაობს 20-მდე მთიელი ებრაელი. განზრახულია აგრეთვე თბილისის მაუდის ქარხანაში უმუშევარ ებრაელების მოწყობა, რაზედაც არის უკვე სმუს-ის თანხმობა.

გასულ წელში მოეწყო პირველი კომპაქტური ჯგუფი გადასახლების მსურველ ებრაელთა, რომელთათვის გამოყოფილ იქნა მიწები კახეთის რაიონში (წითელი გორა), მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ მიწები მიეცა 123 ოჯახს.

იქ უკვე მუშაობს 92 ოჯახი. რომლებიც ემზადებიან გაზაფხულის თესვისათვის. დღეს დღეობით ისინი იძენენ აუცილებელ ინვენტარს, აწყობენ სადგომებს და სხვ. მიწადმოქმედების კომისარიატმა გადასასახლებელთა თანხიდან მისცა მათ ყოველ ოჯახზე 400 მანეთი. გარდა ამისა, მათ უწევენ დახმარებას კოლმეურნეცენტრი და სასოფლო-სამეურნეო ბანკი. საქ. კომზეტმა აღძრა შუამდგომლობა საკავშირო კომზეტის წინაშე, რომ კახეთის ჯგუფს მიეცეს დამატებით 400 მანეთი, ყოველ ოჯახზე, კრედიტის სახით. მიუხედავად მიღწევებისა, უნდა აღინიშნოს, რომ წითელ გორაში მუშაობა მაინც არ დგას ჯეროვან სიმაღლეზე. რაც აიხსნება გამოუცდელობით და საშუალებების სიმცირით.

საქმემმსის გამგეობის ინიციატივით საქ. ცაკთან დაარსებულ იქნა საქ. კომზეტი. კომზეტში შედის საქმემმსის 4 წარმომადგენელი. სამწუხაროდ. თუ არ მივიღებთ მხედველობაში 1—2 სხდომას, რომელიც კომზეტს ჰქონდა, მას თითქმის არაფერი არ გაუკეთებია. კომზეტი კი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს მემმსის მუშაობას და აწესრიგებდეს ებრაელთა მიწადმოწყობის და მათი საწარმოო შრომაზე გადაყვანის საქმეს.

საქმემმსის გამგეობას დიდ დახმარებას უწევდენ თავის მუშაობაში პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციები. საქ. კომპარტიის ც. კ. და თბ. კომიტეტის მიერ გამოშვებულ იყო სპეციალური ცირკულიარები რაიკომებისა და უჯრედების მიმართ. საქ. პროფსაბჭომაც მიმართა აგრეთვე ცირკულიარით ყველა კავშირებს, ადგილკომებს და ქარხკომებს, რომლებშიაც აცნობს რა მემმსის იდეებს, წინადადებას აძლევს მათ გაუწიონ ყოველგვარი დახმარება ამ ორგანიზაციას. საანგარიშო პერიოდში გამგეობის მოხსენებები მოისმინეს: თბ. კომიტეტის სამდივნომ, საქ. კ. პ. ცეკას აგიტპროპკოლეგიამ, საქ. ცაკის პრეზიდიუმმა და საქ. ცაკთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა კომისიამ.

მთელ საბჭოთა კავშირში ა. ლ. კომკავშირის ინიციატივით ჩატარებულ იქნა მემმსის თვიური კამპანია. საქართველოში ჯერ ეს კამპანია არ ჩატარებულა, ვინაიდან საბჭოთა არჩევნებისა და სხვა კამპანიების გამო, საჭირო შეიქნა ის გადადებულიყო მარტის ბოლოსათვის.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საანგარიშო პერიოდი შეიცავს საქმემმსის მუშაობის მხოლოდ პირველ წელს, უკანასკნელის მიერ ჩატარებულია შედარებით დიდი მუშაობა. ყოველ შემთხვევაში, მომავალი მუშაობისათვის უკვე არსებობს სათანადო ნიადაგი. ხელმძღვანელ ორგანიზაციების და ნაწილობრივ ფართო საზოგადოების ყურადღება უკვე მიპყრობილია მემმსისა და მისი იდეებისადმი.

აქვე საჭიროა აღინიშნოს ის არსებითი დეფექტები, რომლებიც შემჩნეულია საქმემმსის მუშაობაში; 1) არ იყო გამოყენებული ყველა შესაძლებლობა მემმსის მიზნებისა და ამოცანების უფრო მეტი პოპულარიზაციისათვის; 2) სუსტად იყო დაყენებული მემმსის მასიური მუშაობა; 3) არ ექცეოდა საკმაო ყურადღება უჯრედების დაარსებას ადგილებზე და უკვე არსებულთათვის ინსტრუქტორობის გაწევას; 4) განყოფილებებთან და უჯრედებთან კავშირი არ იყო დამაკმაყოფილებელი; 5) სუსტად იყო დაყენებული მუშაობა განყოფილებების ინტერნაციონალურად გარდაქმნისათვის და სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის და 6) ვერ გაეწია საჭირო სამსახური გადასახლებულთა კახეთის ჯგუფს, რასაც უნდა მიქცეოდა განსაკუთრებული ყურადღება, რადგანაც „წითელი გორა"—ეს არის პირველი ცდა საქ. ებრაელთა ცხოვრებაში.

გავლილი გზა თავის მიღწევებით და დეფექტებით, პირველი ცდები საქ. ებრაელთა ეკონომიური მდგომარეობის გადასახალისებლად—ყოველივე ეს გახდება საქ. მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზოგადოების პირველი რესპუბლიკანური ყრილობის მსჯელობის საგნად. ყრილობა ამავე დროს დასახავს მომავალ მუშაობის გეგმას.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ებრაელთა ცხოვრებაში ეს არის პირველი ყრილობა, რომელიც იზრუნებს მისი ცხოვრების გარდასაქმნელად და მისი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მემმსის საქმე არის მარტო ებრაელთა საქმე. მაშინ მემმსი დაემსგავსებოდა ებრაელთა შორის ძველად არსებულ ეროვნულ საზოგადოებებს. ხელისუფლებამ კი ის ააგო ინტერნაციონალურ პრინციპებზე და საფუძვლებზე. მემმსის საქმე არის მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის საქმე.

საჭიროა განმტკიცდეს კავშირი მშრომელ ებრაელთა და დანარჩენ ეროვნებათა მშრომელებს შორის. ამ მხრივ დიდი ნაბიჯებია გადადგმული. მაგ., მემმსის რიგებში ათასობით შედიან არაებრაელი მუშები, რომლებიც ებრაელ მუშებთან ერთად ამხორციელებენ მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობას. ეს კავშირი უფრო უნდა გავაღრმავოთ და ვეცადოთ რაც შეიძლება მეტი წევრები მოვიზიდოთ არაებრაელთა წრეებიდან მემმსის ორგანიზაციის ინტერნაციონალურად ჩამოყალიბების მიზნით.

საბჭოთა საქართველოში, სადაც წინადაც არ იყო პირობები ანტისემიტიზმის განვითარებისათვის, ამ მხრივ საუკეთესო ნიადაგი არსებობს მემმსის პოპულარიზაციისათვის, აღსანიშნავია. მაგ., რომ ქუთაისის ხანძრის დროს საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, განურჩევლად ეროვნებისა, ერთსულოვნად დაუმტკიცეს თავისი სოლიდარობა გაჭირვებაში ჩავარდნილ ღარიბ ებრაელობას. საქ. იუსტიციის სახალხო კომისარიატთან დაარსებულია მემმსის უჯრედი, რომელშიაც ირიცხება 120-მდე წევრი. გარდა ორი წევრისა, ყველანი არიან არაებრაელები.

ფაქტები თავისით ლაპარაკობენ. მშრომელ ებრაელთა ცხოვრებაში დაწყებულია ახალი ეპოქა. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლების და ყველა მშრომელთა დახმარებით მშრომელი ებრაელობა სრულიად წავა წინ ეკონომიურ-კულტურულ განახლების გზაზე.

მერცელ. ბააზოვი.

პარიზის კომუნის 58 წლის თავი

მიმდინარე წლის 18 მარტს სრულდება პარიზის კომუნის 58 წლის თავი, რომლის დღესასწაულის ჩატარების დროს ფართო კამპანია იქნება წარმოებული რემედასის იდეების პოპულარიზაციისათვის.

ამის გამო საქართველოს პროფსაბჭომ ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს და ავტონომიური რესპუბლიკების პროფსაბჭოებს მიმართა ცირკულიარული წერილით, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ მიიღონ სათანადო ზომები 18 მარტის, დღესასწაულის მნიშვნელობის გასაშუქებლად. 18 მარტის დღესასწაული დაკავშირებული უნდა იქნეს კომინტერნის 10 წლის თავის კამპანიასთან ისეთი ანგარიშით, რომ კომინტერნის 10 წლის თავის კამპანია ჩატარებული იქნეს მარტის და აპრილის განმავლობაში.

პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საიუბილეო დღეების ჩატარებაში, რისთვისაც მუშათა კლუბებში, წითელ კუთხეებში და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში, უნდა მოაწყონ სათანადო მოხსენებები, ინსცენირებები, საკლუბო წრეების გამოსვლები და სხვ.

ამასთანავე პროფკავშირების ბიბლიოთეკებში შერჩეული უნდა იქნეს სათანადო ლიტერატურა პარიზის კომუნის და კომინტერნის ისტორიიდან, ლიტერატურა რემედასის მუშაობისა და ამოცანების შესახებ, საქ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის შესახებ, კერძოდ ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსებისა და განვითარების შესახებ და სხვა.

პროფკავშირებმა უნდა დარაზმონ საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხების გარშემო და მთელი ეს მუშაობა უნდა დაუკავშირონ ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების მიღწევების გაშუქებას.

ამასთანავე ერთად უნდა მოეწყოს მუშათა ექსკურსიები რევოლიუციის მუზეუმში და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში, და აგრეთვე იმ წარმოებებისა და ახალი მშენებლობის დათვალიერება, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი აღმშენებლობის წარმატებას.

პროფსაბჭო წინადადებას აძლევს პროფორგანიზაციებს ეხლავე შეუდგნენ მუშაობას აღნიშნული საიუბილეო დღეების ჩასატარებლად და მთელი ეს კამპანია დაამთავრონ მარტის, ბოლო რიცხვებისათვის, ხოლო კომინტერნის 10 წლის თავის აღსანიშნავი კამპანია აპრილის ბოლოს.

ამიერ-კავკასიის დარაიონება

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ამიერ-კავკასიის დარაიონების საკითხი და საჭიროდ სცნო მიღებული იქნეს ზომები მის დაჩქარებით გადასაწყვეტად. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მიეცათ თავის უახლოეს ყრილობებზე განიხილონ დარაიონების ძირითადი დებულებები და არა უგვიანეს 15 აპრილისა ა.-კ. ცაკს წარუდგინონ თავისი პროექტი დარაიონების შესახებ. პროექტებს დართული უნდა იქნეს სათანადო განმარტება და საჭირო მასალები.

ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკათა ფინანსთა სახ. კომისარიატებს წინადადება მიეცათ 1929—30 წლის სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები შეადგინონ ახალ დარაიონებასთან შეფარდებით.

ამიერ-კავკასიის დარაიონების საქმის სახელმძღვანელოდ ა.-კ. ცაკმა გამოყო სპეციალური კომისია, რომელშიაც არჩეული არიან ამხ. მ. გუსეინოვი (თავმჯდომარე), ავქსენტიევი, გ. გრიგორიანი, ა. ნაზარეტიანი, პირუმოვი, ა. ხაჩიევი, შავერდოვი და რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების თითო წარმომადგენელი.

წითელ არმიელთა ოჯახების უზრუნველყოფა

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფის საქმის მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიაში და აღნიშნა, რომ სადირექტივო ორგანოების დადგენილება ამ საკითხის გარშემო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში შესრულებული არ არის მთლიანად. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება გარკვეული კანონმდებლობა ამ საკითხის შესახებ; სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატები ჯეროვან ხელმძღვანელობას არ უწევენ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფის საქმეში და რესპუბლიკური მთავრობები საკმაო თანხებს არ იღებენ წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფად. სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატებში ადგილი აქვს წითელარმიელთა ოჯახების განცხადების განხილვის გაჭიანურებას. განცხადებებზე უკანონო უარის თქმას და წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფად გადადებულ თანხების დახარჯვას არა პირდაპირი დანიშნულებისათვის.

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტებს დაამუშაონ კანონები წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ. მიიღონ ზომები, რომ სოცუზრუნველყოფის სახ. კომისარიატებმა გააუმჯობესონ ადგილობრივი განყოფილებების ხელმძღვანელობა.

ა.-კ. სახკომსაბჭოს წინადადება მიეცა ყოველწლიურად გამოყოს წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხები და შეიმუშაოს დახმარების ნორმები წითელარმიელთა ოჯახების კატეგორიებისათვის.

ფინანსთა სახ. კომისარიატებს წინადადება მიეცათ მიმდინარე წლის მესამე კვარტალიდან გაიღონ წითელარმიელთა ოჯახების შორის განაწილებელი თანხები.

ქრონიკა

18 მარტი უქმე დღეა

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, 18 მარტი—პარიზის კომუნის დღე—გამოცხადებულია უქმეთ.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მე-3 ტირაჟის ცხრილები

საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატმა მიიღო გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მესამე ტირაჟში გათამაშებული მე-17 და მე-51 სერიების მოგებათა ცხრილები.

ცხრილები დაეგზავნება საფინანსო ორგანოებს, შემნახველ სალაროებს, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებს და სოფლის საკითხველოებს.

თათბირი სახელმწიფო კრედიტის საკითხებზე

საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატში მიღებული ცნობით, 20 მარტს მოსკოვში იხსნება საკავშირო თათბირი სახელმწიფო კრედიტის საკითხებზე.

გუშინ თათბირზე დასასწრებლად მოსკოვში გაემგზავრნენ ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსი საფარიანი და საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სამმართველოს უფროსი ხ. ქოიავა.

ბრძოლა ეპიდემიებთან

თბილისის აღმასკომმა დაადგინა, მომავალი საბიუჯეტო წლიდან შექმნას ეპიდემიებთან საბრძოლველი სპეციალური ფონდი.

წელს, თბილისის აღმასკომის დადგენილებით, ქუნთრუშისა და ხუნაგის ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად გადაწყვეტილია მოეწყოს ახალი ბარაკი. ამ მიზნით ჯანმრთელობის განყოფილებას წინადადება მიეცა გადასდოს 1.821 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ **წყალსადენების გასაყვანად და ქვაფენილების შესაკეთებლად.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა—აღებულ იქნეს სესხი კომუნალური ბანკიდან სახლებში წყალსადენების გასაყვანად—40.000 მანეთი და ქვაფენილების შესაკეთებლად—30.000 მანეთი.

◆ **დახმარება მუშფაკს.** თბილისის აღმასკომმა თბილისის მუშფაკს დახმარების სახით მისცა 1000 მანეთი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **ქინა-ქინის მომარაგება.** ჯანმრთელობის კომისარიატი შეუდგა სამზადისს ქინა-ქინის მოსამარაგებლად გაზაფხულის და ზაფხულის პერიოდისათვის.

◆ **დამზადებული წამლეულობის განაწილება.** გადაწყვეტილია პროვინციის შორეულ კუთხეებში გახსნილ ამბულატორიებს და საავადმყოფოებს დაეგზავნოს დამზადებული წამლეულობა.

ს. მ. უ. საბჭოში

◆ **ლითოგრაფიული ქვის შეკვეთა.** საბჭოთა კავშირის პოლიგრაფიულ საწარმოებისათვის ს. მ. უ. ს. სამთო ტრესტს შეკვეთილი აქვს 600 ცალი ლითოგრაფიული ქვა.

◆ **სატყეო-ქიმიური ქარხანა.** სატყეო-ქიმიური ქარხნის აგება განზრახულია ბორჯომის რაიონში.

◆ **ფლორიდინის გამოცდა.** ამჟამად სწარმოებს გუმბრის ფლორიდინის დამატებითი ლაბორატორიული გამოკვლევები. ნავთის წმენდის საქმეში გუმბრის ფლორიდინი უფრო კარგ შედეგს იძლევა, ვიდრე ამერიკიდან შემოტანილი ფლორიდინი.

ცვალებადელთა შეკრება

◆ ამხ. ფრუნზეს მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის მე-2 საარტილერიო ლეგიონი აცხადებს, რომ 17 მარტს ჩატარებულ იქნება ცვალებად შემადგენლობის ერთდღიანი შეკრება. შეკრებაზე უნდა გამოცხადდნენ 1902, 1903, 1904 და 1905 წ. დაბადებული წითელარმიელები და უფროსთა შემადგენლობის ის პირები, რომლებიც ირიცხებიან მე-2 დივიზიონის, ლეგსამმართველოს და მე-10 საგაუბიცო ბატარეის სიებში. ისინი, ვინც არ გამოცხადდება შეკრებებზე და არ წარმოადგენს ცნობას გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ—ჩაითვლება დეზერტირებად. შეკრების დროთ დანიშნულია 17 მარტი დილის 8 საათი (კლარა ცეტკინის ქ. 119).

◆ ქ. მ. დივიზიის ცალკე საკავშირო ასეული იწვევს ერთდღიან ტერ-შეკრებაზე ცვალებად-შემადგენლობის წითელარმიელებს და საშუალო მეთაურებს, რომლებიც დაბადებულან 1902, 1903, 1904 და 1905 წლებში. გამოცხადება—17 მარტს დილის 7 საათისათვის ძნელაძის ქ., № 21 (ყოფ. საპიორის ქუჩა).

გლეხკომებში

◆ **გლეხკომების წარმომადგენელთა თათბირი.** აპრილის 1-ლი რიცხვებისათვის თბილისში მოწვეულია გლეხკომებისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზაციების რესპუბლიკანური თათბირი.

◆ **რადიო სოფლად.** ზუგდიდის გლეხთა სახლთან ეწყობა რადიო-მიმღები სადგური. სადგურის მოწყობილობები გაგზავნილია თბილისიდან.

◆ **ახალი სახლის გახსნა.** სოფ. ყვარელში (კახეთი) გაიხსნა გლეხთა სახლი.

◆ **ჩოხატაურში** (ოზურგეთის მაზრა) აგებენ გლეხთა სახლის ახალ შენობას.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

◆ **80.000 მანეთი ზესტაფონის ღვინის სარდაფის დასამთავრებლად.** ზესტაფონის ღვინის სარდაფის დასამთავრებლად ა.-კ. სასოფ.-სამეურნეო ბანკმა საქ. სასოფ.-სამ. ბანკს გაუხსნა კრედიტი 30.000 მანეთის რაოდენობით.

◆ **181.000 მან. ჩაის მეურნეობისათვის.** საქართველოში ჩაის მეურნეობის განსავითარებლად ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკმა საქ. სასოფ.-სამ. ბანკს გაუხსნა 181.000 მანეთის კრედიტი.

სხვადასხვა

◆ **სკოლების სახელმძღვანელოების გადასინჯვა.** სოციალური აღზრდის მთავარმა სამმართველომ გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გადასინჯოს 4 წლედებში შემოღებული სახელმძღვანელოები.

◆ **საგაზაფხულო არდადეგები.** განათლების კომისარიატმა მისწერა ყველა სამაზრო განათლების განყოფილებებს საგაზაფხულო არდადეგები შეუთანხმონ თესვის დაწყების პერიოდს ამა თუ იმ რაიონში. არდადეგები უნდა გაგრძელდეს 10 დღე.

◆ **თბილისის ექიმთა კონფერენცია.** შაბათს, 16 მარტს, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში მოწვეულია თბილისის ექიმთა საქალაქო კონფერენცია.

სასამართლო

16 ქურდ-ბაცაცის გასამართლება

კახეთის მაზრაში ამ უკანასკნელ ხანებში თავი აიწიეს ქურდ-ბაცაცებმა. ქურდები ორგანიზაციულად შეკავშირებულნი იყვნენ. მათ გაბმული ჰქონდათ ქსელი ერთმანეთს შორის და დანაწილებული ჰქონდათ აგრეთვე სამოქმედო პუნქტები: თელავი, სიღნაღი, თბილისი, დუშეთი და სხვა რაიონები. ქურდ-ბაცაცებს მიზანში ჰყავდათ ამოღებული გლეხები, რომელთაც სტაცებდნენ საოჯახო ნივთებს, ჰპარავდნენ წვრილ და მსხვილ-ფეხა საქონელს, არ თაკილობდნენ ტანისამოსის გატაცებასაც. აწიოკებულნი იყვნენ გლეხები ქურდებისაგან.

დიდ ხანს დაუსჯელნი რჩებოდნენ მტაცებლები, რადგან ოსტატურად აკეთებდნენ „საქმეს“ და ახერხებდნენ ბოროტმოქმედების კვალის დაფარვას. მაგრამ მალე სათითაოდ აღმოჩენილ იქნენ მძარცველთა „შაიკის“ წევრები და ამრიგად ბოლო მოეღო მათ თარეშს.

კახეთის სახალხო სასამართლომ ამხ. რადლევსკის თავმჯდომარეობით ამ ერთი კვირის წინ მოაწყო მათი საჯარო გასამართლება საგარეჯოში. გასამართლებას დიდძალი გლეხობა დაესწრო. პროცესმა, რომელიც სწარმოებდა ადგილობრივ სახალხო თეატრის შენობაში, სამი დღე გასტანა.

საბრალდებლო სკამზე ისხდა 16 ქურდი, მათ შორის პროფესიონალი და განთქმული ქურდები: 1) ალექსი არჩუაძე (მეტ სახელად „გელარა“), 2) მიხა თედიაშვილი (იგივე „ლეკია“), 3) ნიკა გიორგინაშვილი, 4) იოსებ ტიგინაშვილი და 5) მირონა კბილაშვილი. ესენი მეთაურობდნენ და ხელმძღვანელობდნენ დანარჩენ ქურდ-ბაცაცებს, როგორიც იყვნენ: ხვედელიშვილი, სულიკაშვილი, ჰათიაშვილი, ჯანქარაძე, ობიშვილი, აზარაშვილი, როსტიაშვილი და გაგნიძე.

მთავარმა ბრალდებულებმა თავი დამნაშავეთ აღიარეს სასამართლოში.

სასამართლომ ალექსი არჩუაძეს, მიხა თელაშვილს, ნიკა გიორგინაშვილს, იოსებ ტიგინაშვილს და მირონა კბილაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა-რვა წლით სასტიკი იზოლაციით.

დანარჩენ ბრალდებულებსაც მიესაჯათ სოციალური დაცვის ღონისძიება სხვადასხვა ვადით, მაგრამ თანახმად ამნისტიისა ისინი განთავისუფლებულ იქნენ.

გლეხობა კმაყოფილი დარჩა განაჩენით.

ცეცხლი წაუკიდა ქმარს

გამასწორებელ სახლში ზის ეკატერინე გაბრიელის ასული არჩვაძე. მან ჩაიდინა დანაშაული, რომლის შესახებ თვითონვე ასე ლაპარაკობს:

— მე გადავსწყვიტე მომეკლა ჩემი ქმარი, რომელიც ძალიან მიყვარდა. მიზეზი ის იყო, რომ იგი ჩემს მიტოვებას აპირებდა. მგონი კიდეც დაინიშნა სხვაზე. ქმარმა მე ხელი ამაღებინა მეძაობაზე, რასაც მანამდი ვეწეოდი. მისი განშორების შემდეგ კი მე ისევ იძულებული ვიქნებოდი ხელახლა დამეწყო მეძაობა. ამ აზრს მე ვერაფრით ვერ შევურიგდი.

და ერთ დღეს, როცა ჩემს ქმარს მაგრად ჩაეძინა ლოგინში, მე უკვე შეუდექი განზრახვის სისრულეში მოყვანას. ჯერ გადავსწყვიტე ნაჯახით დამერტყა, მაგრამ ნაჯახი ბლაგვი აღმოჩნდა. უეცრად მოვიგონე სულ სხვა საშუალება შურის საძიებლად.

საბანს, რომელიც ჩემს ქმარს ეხურა, გადავასხი ნავთი. მე კი მოვემზადე გასაქცევად. შევკარი ბარგი, რაც კი რამ ძვირფასი იყო და გარეთ გამოვიტანე. შევბრუნდი ოთახში და როცა დავრწმუნდი, რომ ჩემს ქმარს ესტატე დავიდოვს მაგრად ეძინა, ცეცხლი გავაჩინე ლოგინში. კარები გარედან ჩავკეტე, რომ ვერ მოეხერხებინა გარედ გამოსვლა და გამომწვარიყო ოთახში. ვიდექი ერთხანს აივანზე და ფანჯრიდან ვუყურებდი ცეცხლის გაჩაღებას. როცა ცეცხლის შუქმა სახეზე მომანათა გავიქეცი... გამოვცხადდი კომისარიატში. სადაც ყველაფერი ვილაპარაკე. რაც ჩავიდინე...

არჩვაძის ქალმა განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში. როცა ცეცხლში გაიხვია ესტატე დავიდოვი, მან მორთო გულშემზარავი ყვირილი. მეზობლებმა შეამტვრიეს კარები, გამოიძახეს ცეცხლისმქრობელი რაზმი და სასწრაფოდ მიღებულ ზომების საშუალებით დავიდოვი სიკვდილს გადაარჩინეს.

როგორც დავიდოვი ლაპარაკობს, არჩვაძის ქალი შეურთავს იმ მიზნით, რომ მისთვის ხელი აეღებინებია მეძაობაზე. მაგრამ როცა დაინახავს, რომ ქალი თავის გარყვნილ ზნეს ვერ იშლის, გადაუწყვეტია მისი მიტოვება.

ეკატერინე არჩვაძის ქალს ახლო მომავალში გაასამართლებს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო.

გერ.

ხელოვნება

უკრაინელ მომღერალ ქალის მარიამ შჩეკუნ-კოლომიიჩენკოს გასტროლები

მარიამ შჩეკუნ-კოლომიიჩენკო

ცნობილი მომღერალი ქალი მ. ფ. შჩეკუნ-კოლომიიჩენკო არის უკრაინული მხატვრული სიმღერების (რომანსების) ცნობილი შემსრულებელი მთელ საბჭოთა კავშირში. ეხლა ხან მან დაამთავრა თავისი გასტროლები საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილში და სპეციალური მიწვევით აწყობს ტურნეს ამიერკავკასიაში, აზიაში და ციმბირში. ტურნეს პროგრამაში უკრაინელ კლასიკოს-კომპოზიტორებს გარდა (ლისენკო, სტეცენკო, სტეპოვოი),—შედის ახალგაზრდა უკრაინელ კომპოზიტორების—კოსტენკოს, რევუცკის, ზოლოტარიოვის, ბოგდანოვის, ნოსოვსკის; სტეპენკის; სინცის, ბოგოსლოვსკის, გრეჩანინოვის;—ახალი ნაწარმოები და აგრეთვე ბელორუსული და იტალიური რომანსები.

შჩეკუნ-კოლომიიჩენკომ დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია პროფესორ მაზეტის კლასით 1917 წელს. შემდეგ მუსიკალური განათლება დაასრულა იტალიაში. ევროპაში ყოფნის დროს მან ჩაატარა რამდენიმე კონცერტი ავსტრიაში, პოლონეთში და იტალიაში, ხოლო 1920 წლიდან უკვე მოღვაწეობს საბჭოთა კავშირში. უმთავრესად იგი აწყობს კონცერტებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში მასიურ მაყურებლებისათვის, რომელთა შორის შეაქვს ნაციონალური მუსიკისა და სიმღერის კულტურა. იგი განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს ყველგან, და მისი გამოსვლები შეფასებულია ავტორიტეტულ მხატვრულ დაწესებულებებისა და მუსიკალური კრიტიკის მიერ—როგორც დიდი მხატვრული მოვლენა.

1925 წელს შჩეკუნ-კოლომიიჩენკომ საკავშირო სამხატვრო მეცნიერებათა აკადემიის და „როსფილის“ მოწვევით კონცერტი გამართა მოსკოვის დიდი თეატრის ბეთჰოვენის დარბაზში. ამ კონცერტს გამოეხმაურა მოსკოვის პრესა, რომელმაც შემდეგი აღნიშნა: შჩეკუნ-კოლომიიჩენკოს ხმაში (ლირიული დრამატიული სოპრანო) ადვილად თავსდება, როგორც უკრაინული ხალხური სიმღერები, ისე იტალიური ოპერის არიები. მის კონცერტებს განსაკუთრებული ფასი აქვს სწორედ იმიტომ, რომ მომღერალი ქალი პირველად აცნობს საზოგადოებას ახალი უკრაინული მუსიკის—საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთ.

მომღერლის გამარჯვებას მოწმობს შემდეგი ცნობები: ხარკოვში გაიმართა მომღერლის 25 კონცერტი, კიევში—22, ოდესაში—20, ლენინგრადში—32.

ამიერ-კავკასიაში მომღერალი იწყებს პირველად თბილისს. შემდეგ ქუთაისს, ბათომს, ერევანს, ლენინაკანსა და ბაქოს. მომღერალს თან ახლავს ლიტერატორი ფ. ი. [illegible].

ა. რ.

სომხური დრამა

გ. სუნდუკიანცი—„დაქცეული ოჯახი“

სომხურმა დრამამ რუსთაველის თეატრში განაახლა (13 მარტი) სუნდუკიანცის ცნობილი პიესა „დაქცეული ოჯახი“, რომელმაც თეატრი მაყურებლებით გაავსო. ჩვენ სრულიად მიზანშეწონილად მივაჩნია ნიჭიერი სომეხი დრამატურგის (სომეხთა ოსტროვსკის, როგორც ჩვეულებრივ უწოდებენ) პიესების დადგმა, რომლებიც მკაფიოდ გვისახავენ თბილისელ სომეხთა ახლო წარსულ ყოფა-ცხოვრებას. ცხადია, ამ ყოფა-ცხოვრების ზოგიერთი მხარე ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ მრავალი უარყოფითი მხარე დღემდე არსებობს. გარდა ამისა სუნდუკიანცის ღრმა სიყვარული მაშვრალთა და „პატარა“ ადამიანთა მიმართ, ღარიბ მშრომელთა და ექსპლოატატორ-მევახშეთა დაპირისპირება სუნდუკიანცის პიესებს უეჭველად აძლევს რევოლუციონური სულისკვეთების ხასიათს.

„დაქცეული ოჯახი“ (პირველი მოქმედება) რამდენადმე გაჭიანურებულია, მაგრამ მკაფიო ფერადებისა და მოქმედების განვითარების შინაგანი დინამიურობის (მეტადრე მე-2 მოქმედებაში) წყალობით—ფრიად საინტერესო საყურებელია.

მაგრამ სამწუხაროა, რომ სუნდუკიანცის ძალოვანი, ფერადოვანი ენა სომეხ მსახიობთა უმრავლესობისათვის დაუძლეველ დაბრკოლებას წარმოადგენს. ამ ენისა და ამ ძველებური ინტონაციების საიდუმლოებას მთლიანად ჰფლობს დამსახურებული მსახიობი ქალი ვარდუი, რომელმაც საუცხოოდ შეასრულა მამიდას როლი.

საერთოდ სუნდუკიანცის პიესამ რიგიანად ჩაიარა, მაგრამ ნაკლიც ჰქონდა. ტიპიურმა სალომემ—მარიამ ბერიანმა მშვენივრად ჩაატარა ჩხუბის სცენა მე-2 მოქმედებაში, მაგრამ 1-ლ მოქმედებაში გადააჭარბა—მეტის მეტად ფაციფუცობდა. ნიჭიერი და კარგი ხმის პატრონი არუს ასრიანი (ნატო) ბუნებრივად და ძალდაუტანებლად თამაშობდა, მაგრამ ზოგჯერ ავიწყდებოდა, რომ ის გვისახავდა არა თანამედროვე ქალიშვილს, არამედ ავტორის მიერ დახატული პერიოდის ახალგაზრდა ქალს (დაახლოვებით 40—50 წლის წინად). მამიკონიანმა, რომელიც ერთ დროს წარჩინებით ასრულებდა გიჟ—მოზის ეფექტიურ როლს, თავდაჭერილად და მოხერხებულად ჩაატარა ოსეფას როლი, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ეს დრამატიული როლი მისი ნიჭის შესაფერი არ არის. ურიგოდ არ თამაშობდნენ: ბეროიანი (ფასო), ფიოუმიანი (გიჟ—მოზი) და გალსტიანი (მარმარჯი). ტემპერამენტით თამაშობდა ქალიას როლის შემსრულებელიც, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი და ზოგიერთი სხვა მსახიობის გვარი ვერ გავიგეთ, რადგან სომხური დრამის ადმინისტრაციას უცნაური ჩვეულება დასჩემდა—აფიშებს არ უშვებს.

მე-3 მოქმედებაში ლოტოს საკმაოდ ხმაურიანი თამაში ხელს უშლიდა სიტყვების მოსმენას.

დ.

ხელოვნების ქრონიკა

მწერალთა დელეგაციის გაგზავნა სომხეთში. სომხეთის მწერალთა კავშირის მიწვევით ახლო ხანში სომხეთში მიემგზავრება საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაცია 15 მწერლის შემადგენლობით.

— **პროლეტარული ლიტერატურის კვირეული.** ახლო ხანში თოთში გაემგზავრება პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი პროლეტარული ლიტერატურის კვირეულის ჩასატარებლად.

თათბირი სათეატრო საკითხებზე

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა კულტგანყოფილებების გამგეების თათბირი, რომელზედაც გარჩეული იქნა საკითხი რუსთაველის თეატრის წარმოდგენების შესყიდვის შესახებ კავშირების მიერ.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. პ: კ. ს. კულტგანყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ა. ფანცულაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ გასული წლის შემოდგომაზე, სეზონის დამდეგს, პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ ხელშეკრულება დასდო რუსთაველის თეატრთან, რომლის ძალით კავშირებს უნდა შეესყიდათ 50 მიზნობრივი წარმოდგენა, მაგრამ დღემდე შესყიდულია მხოლოდ 22 წარმოდგენა. კავშირებმა ვერ გამოიჩინეს საკმაო თაოსნობა ამ საქმეში. ზოგიერთი კავშირი უარს აცხადებს ბილეთების შესყიდვაზე და თავს იმით იმართლებს, რომ თეატრში წასვლის მსურველი არ ჰყავს კავშირში და ბილეთების უფასოდ დარიგება კულტფონდს ძლიერ ტვირთად დააწვება. აქედან ირკვევა, რომ კავშირები არავითარ ზომებს არ ღებულობენ ბილეთების გასავრცელებლად. წარმოუდგენელია, რომ კავშირს გაუძნელდეს 10—15 ბილეთის გავრცელება თავის წევრთა შორის. საქმე მარტო ბილეთების განაწილებაში როდია. კულტგანყოფილების გამგეს ევალება მუშა-მაყურებლის დარაზმვა თეატრის გარშემო და მუშების მოზიდვა საბჭოთა თეატრში. საჭიროა მუშებს გავაცნოთ ამ თეატრის მიღწევები, მით უმეტეს, რომ რუსთაველის თეატრს მრავალი ახალი დადგმა აქვს.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგაც თათბირმა მიიღო შემდეგი დადგენილება:

ვინაიდან თეატრის რეპერტუარი შევსებულია ახალი რევოლუციონური პიესებით და თვითონ თეატრის მუშაობის შინაარსი ბევრადაა გაჯანსაღებული, ამიტომ თათბირი აუცილებელ საჭიროდ სცნობს მიღებული იქნეს ზომები, რომ ფართოდ იქნეს მოზიდული მუშა-მაყურებელი თეატრის დადგმებზე.

კულტგანყოფილების მიერ შემუშავებული განაწილება ბილეთებისა—დამტკიცდეს და დაევალოს კავშირებს გაავრცელონ მუშებში მიცემული ბილეთები.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ორი წარმოდგენის შეყიდვა კვირაში, რომელიც კავშირებზე განაწილდება შემუშავებული ცხრილის მიხედვით.

ბილეთების გავრცელების ტექნიკური მხარის გასაადვილებლად შესაძლებლად ჩაითვალოს ბილეთების განაწილება ფაბქარხადგილკომებზე კულტგანყოფილების მუშათა ზოლის სალაროს საშუალებით, უკეთუ კავშირები გარანტიას მისცემენ კულტგანყოფილებას, რომ გადადებული ბილეთების საფასური განაღდებული იქნება.

დაევალოს კავშირებს განუმარტონ ფაბქარხადგილკომებს, რა მნიშვნელობა აქვს რუსთაველის თეატრის დადგმებზე მუშათა მაყურებლების ფართო მასის მიზიდვას და საერთოდ თეატრის მუშაობასთან დაახლოვებას.

დაევალოს თეატრის დირექციას ჩვეულებრივ აფიშებთან ერთად გაავრცელოს ფაბქარხადგილკომებში სპეციალური აფიშები თეატრის დადგმების შესახებ, რომ მუშებმა თავის დროზე იცოდნენ, როდის რა დადგმა მიდის თეატრში.

აბჰესის ენერგია ქუთაისს

ქუთაისში დამთავრდა მთავარი საქალაქო ქვე-სადგურის შენობის აგება. ქვესადგურში სათანადო ელექტრო-მოწყობილობების დადგმა მინდობილი აქვს სახელმწიფო ელექტრო ტრესტს, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. ქვესადგურის სრული მოწყობა და ტრანსფორმატორების დადგმა დასრულდება ერთ თვეში.

ქვესადგურის მოწყობის შემდეგ გაყვანილი იქნება ქალაქში ორი ქსელი. მაღალი ძაბვის ქსელით ქვესადგურიდან ენერგია გადაეცემა წარმოებებს. დაბალი ძაბვის ქსელით კი ენერგია გამოყენებული იქნება განათებისათვის. ქალაქში ახალი ქსელის გასაყვანად ქუთაისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება უკვე შეუდგა სათანადო პროექტის დამუშავებას.

აღნიშნულ სამუშაოებთან ერთად დაწყებულია შესაფერი სამზადისი აბაშის ჰიდრო-ელსადგურის ძალოვნების გასადიდებლად. მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა მოესწროს სადგურზე მეორე აგრეგატის დადგმა. აგრეგატის მთელი მოწყობილობა შეკვეთილია ლენინგრადში. საიდანაც უკვე მოსულია ცნობა, რომ აგრეგატის მოწყობილობები გამოგზავნილია. ჯერ-ჯერობით აბაშაში მიღებულია მეორე აგრეგატის ზოგიერთი ნაწილი; ყველა ნაწილების მიღებისთანავე დაიწყება მათი აწყობა.

უახლოესი თვეების განმავლობაში გადაწყვეტილია დამთავრდეს აბჰესის ენერგიის დამცემი ხაზის გაყვანა; ხონიდან სამტრედიამდი. ახალი ხაზით ენერგია მიეცემა სამტრედიის სადგურს.

ხაზის გაყვანა უნდა დამთავრდეს ზაფხულისთვის, რომ ამავე ხნიდან შესაძლებელი გახდეს ენერგიის გადაცემის დაწყება.

რკინის გზებზე

თესვის კამპანიისა და აღმშენებლობისათვის საჭირო მასალების გადაზიდვის უზრუნველსაყოფად

ზამთრის პერიოდში ცუდი ამინდების გამო რკინის გზების მუშაობა მეტად შეფერხდა. მთელ რიგ გზებზე ადგილი ჰქონდა ტვირთგზიდვის და მოძრავი შემადგენლობის ბრუნვის შეფერხებას.

ამის გამო სადგურების საწყობებში დაგროვდა დიდძალი გადასაზიდი ტვირთი. მათ შორის ისეთი მასალები, რომლებიც დანიშნულია გაზაფხულის თესვისათვის და აღმშენებლობისათვის.

ყველა გზების გამგეობებს მიცემული აქვთ წინადადება მიიღონ სასწრაფო ზომები დაგროვილ ტვირთების გადასაზიდად და მოძრავ შემადგენლობის ბრუნვის დასაჩქარებლად ისე, რომ გაზაფხულის თესვისათვის და აღმშენებლობისათვის საჭირო მასალები გადაზიდულ იქნეს დანიშნულ დროზე.

ხარკოვის მუშების ექსკურსია

ა.-კ. რკინის გზების გამგეობაში მიღებული ცნობებით, ბაქოში მოემგზავრება ხარკოვის მუშათა ორგანიზაციების ექსკურსია.

ექსკურსანტები ხარკოვიდან წამოვლენ 28 აპრილს და დარჩებიან ბაქოში 4 მაისამდე.

ექსკურსიის მიზანია გაცნობა ბაქოს ნავთის სამრეწველოებთან.

რელსის გახეთქა

13 მარტს სადგ. კერარში გასასვლელ ისრებსა და სემაფორის შუა აღმოაჩინეს გახეთქილი რელსი.

ამ მიზეზით კერარ-სალიის შუა მოძრაობა შეწყვეტილი იყო რელსის გამოცვლამდე.

ამ შემთხვევამ გამოიწვია მთელ რიგ მატარებლების დაკავება გზაში.

ჭადრაკი

თბილისის ჩემპიონატი

მერვე ტური

მერვე ტურში სრულიად მოულოდნელად ვეიზერმა მოუგო სმაროდსკის, ეს მოგება მოულოდნელი იყო მით უფრო, რომ დასვენებას წინ სმაროდსკის ბევრად უკეთესი მდგომარეობა და ფიგურათა განწყობა ჰქონდა. მაგრამ, შემდეგში მოგებისთვის სწორი გეგმა არ აირჩია, თამაშს აწარმოებდა ლაზიერის ფრთაზე, ვეიზერმა კი თამაში გადაიყვანა მეფის ფრთაზე, მიიტანა მძლავრი იერიში და მალე შამათის დამუქრებით აიძულა მაისტრო დანებებულიყო.

აღსანიშნავია თბილისის ფალავანის ტალვეიკის მეტად უიდეო და უსისტემო თამაში მთელი შეჯიბ. განმავლობაში, მირზაევს წინააღმდეგ უიდეო და პასიურ თამაშით. ტალვეიკმა შესაძლებლობა მისცა მირზაევს. თავიდან აღებული ინიციატივა ხელიდან არ გაეშვა და მალე ფიგურის მოგების ან და მთლიანად განადგურების დამუქრებით იძულებული იყო პარტია დაეთმო.

დანილოვმა მალუნცევის წინააღმდეგ თეთრებით სიცილიურ პარტიაში, სანამ შეიძლებოდა თამაში თეორიის კარნახის მიხედვით, თანასწორი მდგომარეობა მიიღო. შუა თამაშში პაიკის შეწირვით მოისურვა მალუნცევის ლაზიერის მოგება. ვერ შეამჩნია უშრალო პასუხი. შეწირულმა პაიკმა უქმად ჩაიარა და მალე პარტია წააგო.

წერეთელმა ჰოლანდიურ პარტიაში კასპარიანის წინააღმდეგ სწორი არ გაითამაშა დებიუტი გააკეთა გრძელ მხარის როქი, რითაც მისცა კასპარიანს მძლავრი იერიშის მიტანის შესაძლებლობა და მალე იძულებული იყო იარაღი დაეყარა. ლევიტასს შიშოვის წინააღმდეგ თანასწორ მდგომარეობაში გამოეპარა მათის მიღება და დანებდა.

მაესტრო ნენაროკოვის და საროკინის პარტია გადადებულია საროკინისთვის უიმედო მდგომარეობაში.

თარაიანის და გოგლიძის პარტია გადადებულია საყაიმო მდგომარეობაში.

—:—

მერვე ტურის შემდეგ შეჯიბრების მდგომარეობა ასეთია:

საროკინი+6½ (1 დაუმთავ.), ლევიტასი+5½, ნენაროკოვი+5 და 2 დაუმთავ., გოგლიძე+4½ (2 დაუმთავრებელი). მალუნცევი+4, (1 დაუმთავ.) კასპარიანი+4, მირზაევი+3½ (3 დაუმთავ.), შიშოვი და ვეიზერი+3½, სმაროდსკი+2½ (1 დაუმთავ.), ასლავსკი+2 (1 დაუმთავ.), წერეთელი და ტალვეიკი+2, თარაიანი+1½ (1 დაუმთავ.), დანილოვი 0.

ვ. გოგლიძე.

ავიახიმში

ქალთა აქტივის მოსამზადებელი კურსები

თავდაცვა-ავიახიმის თბილისის საბჭო აწყობს კურსებს, ქალთა აქტივის მოსამზადებლად.

კურსებზე მიღებული იქნება 60 ქალი. მეცადინეობა კურსებზე გასტანს 2 თვეს.

დახმარება წითელ არმიელებს

ავიახიმის თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა დაარსოს ფონდი წითელ-არმიელთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

საჰაერო თავდაცვის სექციაში

ავიახიმის თბილისის საბჭოსთან არსებულ საჰაერო თავდაცვის სექცია აწყობს კურსებს ინსტრუქტორების და საჰაერო თავდაცვის წრეების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად.

მოკლე ხანში სექცია გამოსცემს წიგნს საჰაერო თავდაცვის საქმის ორგანიზაციის შესახებ ქალაქად.

შემთხვევები

ხულიგნები

უკანასკნელ დროს სამეანო ინსტიტუტში (ლენინის ქ.) საღამოების გამართვის დროს გახშირდა წესრიგის დარღვევის შემთხვევები. ამას წინად ერთ-ერთი მოხსენების დროს დარბაზში შეიჭრა მთვრალი ვლადიმერ მათესაშვილი, შიროზია და კონსტანტინე დიმიტრისძე ბახტაძე (სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები) და ასტეხეს დებოში. 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო სხდომაზე დარბაზში ძალით შეიჭრნენ: ირაკლი ლევანტისძე ხაჩიძე (სამიწათმოქმედო ტექნიკუმის მსმენელი), გალაქტიონ ვასილისძე შეყლაშვილი (ლენინის სახელობის პოლიტექნიკუმის სტუდენტი), ალექსანდრე მოსესძე ნანობაშვილი, ვახტანგ მიხეილისძე ანანიაშვილი, კოტე დავითისძე გრძელიშვილი (სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები), რომლებმაც ასტეხეს ჩხუბი და აურ-ზაური. აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ ხაჩიძე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის ორი თვით გაგზავნა გამასწორებელ სახლში, გრძელიშვილს მიუსაჯა ერთი თვის ციხე, ანანიაშვილს მიუსაჯა ორი კვირით თავისუფლების აღკვეთა, ნანობაშვილს ერთი თვით, შეყლაშვილს 10 დღით, შიროზიას და ბახტაძეს ორ-ორი კვირით. აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების ცნობით, ხაჩიძეს აქვს ქურდობის 5 რეგისტრაცია, ნანობაშვილს აქვს ქურდობის 2 რეგისტრაცია, ხულიგნობის კი ერთი. გრძელიშვილს აქვს ხულიგნობის ერთი რეგისტრაცია.

მოწამვლა

გუშინწინ, ღამით, ვახშმობის დროს მოიწამლა როზა აბდულა-ოღლი (მცხ. კომუნალური ქ., 9), რომელიც გადაიყვანეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. მოწამვლის მიზეზებს არკვევენ.

ორი კაცის მოკვლა

სერგო პაშაკოვმა მანგლისში რევოლვერის ტყვიით მოჰკლა უმუშევართა კოლექტივის რესტორანის მზარეული—ივანე ისაევი და მძიმედ დასჭრა ადგილობრივი კოოპერატივის მოსამსახურე—არტაშ გარიბოვი, რომელიც საავადმყოფოში მოყვანისას გარდაიცვალა. პაშაკოვი დაპატიმრებულია. მკვლელობის დაწვრილებით მიზეზების გამოსარკვევად ადგილობრივ გაემგზავრა გამომძიებელი მ. ნოზაძე.

დაჭრა

შალვა სილოვანისძე თხილაძემ (მცხ. ხუდადოვის ქ. 58), დანით მძიმედ დასჭრა ივანე ვასილისძე ბაქრაძე (მცხ. ორჯონიკიძის ქ. 76), თხილაძე დაპატიმრებულია.

— მირზა კარაგინ-ოღლიმ ხანჯლით დასჭრა სოხა ალი-კიზი (სოღანლუღში მცხოვრები). მირზა-ოღლი დააპატიმრეს.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა მიხეილ მიხეილისძე ნაზარაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები.

ქურდობა

გ. ფადარიძის ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს სახაზინო 195 მანეთი.—ლევან ისაკოვს მუშკოოპის მაღაზიაში (აბანოს ქ., № 1), ჯიბიდან ამოაცალეს ფული და 300 მანეთის თამასუქი. გიორგი ჭოლოკაძის ბინიდან (მე-9 სამილიციო უბანი) მოიპარეს 200 მანეთის ნივთები.—გაქურდეს მიხეილ ჭრელაშვილის ბინა (ყუბანის ქ., 3), წაიღეს 300 მანეთის საოჯახო ნივთები.

ვისია იარაღი?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი ნაგანის და ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში. ოთახი № 4, გ. ხელაძესთან.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების გადიდების აკრძალვის შესახებ

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ყველა უწყებასა და დაწესებულებას სათანადო ხარჯთაღრიცხვით სახარჯთაღრიცხვო დანაყოფიდან კრედიტის გადანაცვლება საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების სახარჯთაღრიცხვო დანაყოფში.

2. აეკრძალოს აღნიშნულ უწყებათ და დაწესებულებათ სპეციალური წყაროებიდან (სპეციალური და ბიუჯეტ-გარეშე სახსარი) საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების დასაფარავად სახსრის გამოყენება, გარდა საკანონმდებლო წესით ნებადართული ხარჯებისა.

3. აეკრძალოს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ უწყებათ და დაწესებულებათ, აგრეთვე ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საბჭოებს შუამდგომლობის აღძვრა საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის დამატებითი ასიგნების დადების შესახებ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული თანხის ზედმეტად.

4. დაევალოს საქართველოს ს. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს, 1928—29 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების აღსრულების დროს, დაამყარონ სისტემატიური მეთვალყურეობა, რათა საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების საერთო თანხა არ აღემატოს 1928—29 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ რაოდენობას.

5. დაევალოს იმავე ორგანოებს დაამყარონ მეთვალყურეობის წესი ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

6. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს აფხაზეთის ს. ს. რ-კასა, აჭარისტანის ს. ს. რ-კასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქზე.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
ვ. მეგრელიშვილი.

1929 წ. იანვრის 8
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ჯგუფური კრებების ჩატარების გეგმა 15 მარტისათვის — შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ

1-ლი ჯგუფი—ავტოკლუბი. უჯრედები: საკარტონაჟო ფაბრიკის, „ავტოპრომტორგის“, ლუდის ქარხნის, ტრანსპორტის, მუშკოოპის, კავკ. წით. დრ. არმიის სტამბისა და ლიტოგრაფიის, თემქასის, მშენებელ მუშათა კავშირის, მუშ. და გლ: ინსპექციის, ფოლაქების ფაბრიკის.

მომხსენებელი ამხ. გენკინი, საღ. 6 საათზე.

მე-2 ჯგუფი—მუშათა ახალი კლუბი. უჯრედები მე-2, მე-3 და მე-6 სტამბების, „ზარია ვოსტოკა“-ში, კავკ. წით. დრ. არმიის სტამბის, სავეჯო ფაბრიკის, პოლიგრაფტრესტის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის, თბ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის.

მომხსენებელი **რუბენი**, საღ. 6 საათზე.

მე-3 ჯგუფი—აღმასკომი. უჯრედები—აღმასკომის, „სამშენის“, 1-ლი სტამბის, მე-5 სტამბის და გემო-კვების მუშათა კავშირის.

მომხსენებელი **სუხიშვილი**, საღ. 7 საათზე.

მე-4 ჯგუფი—ქართული მუშფაკი. უჯრედები—ქართული მუშფაკი, მუშკოოპის, სახმედვაჭრობის და ცეკავშირის.

მომხსენებელი **გ. სტურუა**, საღ. 7 საათზე.

მე-5 ჯგუფი—თელასი (წითელი კუთხე). უჯრედები—თელასი, მეხანძრეთა რაზმის, გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი.

მომხსენებელი **ლისოვსკი**, საღ. “ საათზე.

შენიშვნა: ჯგუფური კრებები დახურული იქნება და ამხანაგებს შეუშვებენ მხოლოდ პარტიულ და საკანდიდატო ბილეთების წარდგენის შემდეგ.

—

შაბათს, 16 მარტს, დილის 11 საათზე, **საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება **თათბირი**, რომელსაც უნდა დაესწრონ ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები: **ბედია, გობეჩია, ტ. ადამიძე, სალუქვაძე, გეგენავა, ფანცულაია და ბარნაბიშვილი.**

დასწრება სავალდებულოა.

—

დღეს, საღ. 7 საათზე პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში შესდგება ფაკულტეტებთან არსებული კომუჯრედის დახურული კრებები.

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

—

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. გაბრიელ ლეშკაშელს გამოცხადდეს ცენტრალურ კომისიაში სამი დღის ვადაში (რუსთაველის პროსპ. № 24, მესამე სართული, ოთახი № 11).

—

ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება იუწყება, რომ შაბათს, 16 მარტს, დღის 12 საათზე, შესდგება თათბირი. ქვემოდ ჩამოთვლილ ამხ. დასწრება დაუგვიანებლივ სავალდებულოა: ჯუღელი, ქურდაძე, ძამანაშვილი (მიწსახკ), ნაფეტვარიძე (სოფლ. კავ.), კალატოზოვი (საქ. სას.-სამ: ბანკი), რასულზადე (საქ. მ. გ: ინსპექ.), ადიკაშვილი (აღმ. საადგილმამ: განყ.), ტყაბლაძე (ტ. კ.), სარუხანოვი (საქ. საგეგმო კომის:), ქუჩულორია (საქ. ცაკი), სიხარულიძე (მიწა-ტყ. კავ.), არრ. გიორგაძე (ახალი სოფელი), სვანიძე, მირიმანოვი, ვ ჯაფარიძე, ეუფიკაშვილი (ცეკა), სტეფანოვი (თბ სამ. სხზ-ბა), კარლო ორაგველიძე (სახ. უნივერს.), ცაგარელი (კოლმეურნეტრ).

—

სახ: უნივერსიტეტის ოდონტოლოგიური ინსტიტუტთან არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება შესდგება დღეს, პარასკევს, 15 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე. უჯრედის წევრ. კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ. დღის წესრიგში სდგას ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

—:—

სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ: კ: ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, პარასკევს, საღამოს სრულ 6 საათზე ბიურო-კოლექტივში დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდეს პედ. ფაკ. 1-ლი და მე-2 კურსთან არსებული ა. ლ. კ: კ: უჯრედის ყველა წევრი და კანდიდატი.

—:—

სახ. უნივ. სამკურნალო ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 15 მარტს, საღამოს 6 საათზე ზოგად ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) ბიუროს წევრების გარდა სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე: ვარლამ გიორგაძე და ლავრენტი დადუნაშვილი.

—:—

სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ: კ: ბიურო-კო. ლექტივის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, დღის სრულ 12 საათზე, გარდა წევრ-კანდიდატებისა სხდომას უნდა დაესწრნენ 1) რობაქიძე სევერიანე, 2) ცაგარეიშვილი გიორგი, 3) მაჩალაძე ეკენია, 4) ხარაბაძე ქეთო, 5) ჯვაბავა, 6) ხუნჯუა და ყველა ის ამხანაგები, ვისაც შემოტანილი აქვს განცხადება პარტიაში გადასარიცხად ან კომკავშირში მიღების შესახებ.

—:—

დღეს, 15 მარტს, საღამოს 6 საათზე რკ. გზის მე-8-ე სკოლაში, (პლეხანოვის გამზირი, № 136) დანიშნულია ლენრაიკომის განათლების მუშაკთა კომუჯრედის ღია კრება. ამხ. მარიამ ორახელაშვილი გააკეთებს მოხსენებას კულტურულ რევოლუციისა და ახალი ყოფა-ცხოვრების შესახებ. კომუნისტების, კანდიდატების და კომკავშირელების დასწრება სავალდებულოა. უპარტიო მასწავლებელთა დასწრება სასურველია.

—:—

ს. ს. პ. ი: სამთო ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო იწვევს კომუჯრედის კრებას, პარასკევს, საღამოს 7 საათზე.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთათვის სავალდებულოა. დღის წესრიგი: ბიუროს ანგარიში.

გულდათუთქული მშობლები: კოლია და თამარა კახაძეები, ბაბუა და ბებია: ივანე და ევდოკია ნინუები, დუდუ და პაშა ახობაძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პატარა ნათიკო (ნათელა)

გამოსვენება დღეს, 4 საათ. შერემეტევის ქ. № 55. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 836

დამწუხარებულნი: მშობლები აკვირინა და ამბაკო, ძმები: მავრი და ვლადიმერ კახეთელიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი პატარა

ზინა

გამოსვენება პარასკევს, 15 მარტს, ნაშუადღევის სრულ 4 საათზე გაბაშვილის შესახვევი № 8. (შ)

სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრი
ქუთაის-ბათომის სახელმწიფო თეატრის გასტროლები
კ. ა. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
15 მარტს იწყება 1-ლი მე-2 და მე-3 აბონემენტების დარჩენილი ადგილების საერთო გაყიდვა
17 მარტისათვის შეტანილ უნდა იქნას 1-ლი ორი აბონემენტის მე-2 და მე-3 გადასახადები და მე-3 აბონ. მე-2 გადასახადი
ის აბონემენტები რომლების ფასიც გადახდილი არ იქნება, გაიყიდება საერთო წესით 20 მარტიდან.
ფულის გადახდა და აბონემენტის გაყიდვა მხოლოდ 10 ს. 2 ს. სალარო № 2-ში
ნ. 2393 2—2

იყიდება კოსტა ხვიჩიას ძე კილასონიას ხეული სახლი
ქ. ზუგდიდში, შაუმიანის ქ. № 14
ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში თბილისი, რუსთაველის პროს. № 34.
0—1 გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა

სახკინმრეწვის კინოები
განთიადი
აპოლო
სოლეი
არფასტო
მინიონი
კალასი
დარბაზი
პროლეტარი ავლაბარი
მხატვრული ფილმი თუშეთის ცხოვრებიდან
ღრუბლების თავშესაფარი
სულაკაურის სცენარით
რეჟ. შ. ბერიშვილი, ოპერატ. ა. პოლიკევიჩი
სეზონის ახალი სურათი 6 ქალიშვილი ეძებს თავშესაფარს
პატი და პატაშონი სურათში პატი-არისტოკრატი
მონტი ბენქსი კომედიაში ნამდვილი ჯენტლმენი
ტარზან—ჯუნგლების მბრძანებელი 5 და 6 სერია
კვირას დღის სეანსები „განთიადში“ და „სოლეიში“.

ოზურგეთის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებ.
გ. დ. ჭეიშვილი
აცხადებს, რომ ის 1929 წ. 20 მარტს დღის 12 საათზე რკინის გზის სადგურზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის გურიის კოოპერატიულ არტელის კუთვნილ 56 ცალ ნიგვზის ხეებს შემდეგი ზომისას: სიგრძით 1 ნახ.—8 არშინამდე, სისქით 6×12 ვერშოკამდე, ოზურგეთის სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის ვალის დასაკმაყოფილებლათ, თანახმად ოზურგეთის უბნის სახალხო სასამართლოს მიერ გაცემულ ბრძანების ფურც. 1928 წ. დეკემბერში და აგვისტოში №№ 1073 და 2465. ქონება შეფასებულია 600 მანეთი, რომელ თანხიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს ღირებულების 10 პროც. სასამართლოს აღმასრულებელთან, თუ რომ რაიმე მიზეზის გამო აღნიშნულ რიცხვისათვის საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, მეორე ვაჭრობის დღეთ დანიშნულია 25 მარტი 1929 წელი. 837

ცირკი კოლოსი
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევისა
ტელეფ. № 8—64
3—1 ს. 2396

დღეს ახალი პროგრამის სანახაობანი
იაპონელი მსახიობი მაცაურა, იაპონელი მსახ. ქალი ისაიმა, აგრეთვე მთელი დასი და გასტროლიორები. გარდა ამისა, დარიგებულ იქნება მრავალი საჩუქარი, მათ შორის მთავარი საჩუქარი—
ნაღდ ფულად 115 მანეთი.
კვირას, 17 მარტს,
დღის დიდი სანახაობანი ახალი პროგრამით,
მონაწილეობს მთელი დასი და ყველა ახლად ჩამოსული გასტროლიორები. დასაწყისი დღის 2 საათზე. ბავშვები 8 წლამდე დიდებთან—უბილეთოდ ან 2 ბავშვზე ერთი ბილეთი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ანა ვასილის ასული მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 25—

ექიმი პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-8

თმის მკურნალობა ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—6

კალინინის ქუჩა № 33 (ყოფ. ნიკოლოზის)
ექ. ი. დ. თოფურიძე
კანის, ვენერიული და სიფილისი (გონორეიის გართულებები)
მამაკაცები 8—10 დილით—6—8 საღ. ქალები 10—11 დილით

კბილის ექიმი დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

მათემატიკის მასწავლებელი
ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.)
მათემატიკასა და რუსულ ენაში
უმაღლეს სასწავ., 10 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა სასწავლებში შემდეგ ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტს და ჩამორჩენილ მოწაფეებს.
პლეხანოვის ქ. კუთხე 25 (შესავალი ჩერნიშევის ქუჩ. № 5)
ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ. 831 3—1

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
კონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ქ. ქუთაისი
ექიმი ი. ხ. შველიძე
კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეშხაპუნება „914“, ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ. ქალები და ბავშვები დღისით 2—4 საათამდე
მისამართი: პუშკინის ქუჩ. № 14
25—3 806

ექიმი ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)
მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მეჭეჭების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირისახის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის [illegible]
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78. 18—5. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

დაკარგვა: უვადო პასპორტი, გაცემული 1925 წლის მარტში ყოფ. მე-8-ე უბნის კომისარიატის მიერ № 204 იაგორ ნიკოლოზისძე გიორგაძის სახელზე, ჩ. გ. (გ)
დაკარგვა: კავშირის წიგნაკი № 13098 ამბროსი ივანეს ძე გობრონიძის სახელზე, ჩ. გ. 830
დაკარგვა: მუშკოოპის წიგნაკი № 9642 ნეონილა ვეფხვაძის სახელზე, ჩ. გ. 829
დაკარგვა: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 1869 ალექსანდრე ანდრიაძე ბლიაძეს სახელზე, ჩ. გ 828
დაკარგვა: სამხედრო წიგნაკი შალვა შუბლაძეს სახელზე, ჩ. გ. 827
დაკარგვა: კოოპერატივის წიგნაკი № 16982 ელენე რაზმაძის სახელზე, ჩ. გ. 832
დაკარგვა: სანგარიშო წიგნაკი № 9 და რძის მისაღები წიგნაკი ბორის გუსევის სახელზე, ჩ. გ. 833
დაკარგვა: პარტიული ბილეთი № 864325 დიომიდე სოფრომის ძე ღლონტის სახელზე, ჩ. გ. 834
დაკარგვა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 1611 შალვა ვლადიმერის ძე მერაბიშვილის სახელზე, ჩ. გ 838
დაკარგვა: პირადი საქმე ა. ლ. კ. კ. მცხ. პანასკევიჩის ქუჩა № 50 ივანე ლ. გიგაურის სახელზე, ჩ. გ. 839

ტირაჟი—38.850
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.